ოღუზ ათაი

Oğuz Atay

ცხოვრება თამაშით

(პიესა ორ მოქმედებად)

Oyunlarla Yaşayanlar (1975)

თურქულიდან თარგმნა

ირინე ჯავახიძემ

2018

მოქმედი პირები

ჯოშქუნ ერმიში, პენსიაზე გასული ისტორიის მასწავლებელი (45-50 წლის)

ჯემილე, მისი მეუღლე (იმავე ასაკის)

უმითი, მათი ვაჟიშვილი (16 წლის)

საფეთ სოილემეზოღლუ, თეატრის მსახიობი (30 წლის)

სერვეთ დუიგულუ, თეატრის მეპატრონე და მსახიობი (50 წლის)

ემელ სევინირი, თეატარის მსახიობი ქალი (25 წლის)

საადეთ ბებო, ჯემილეს დედა

მეზობელი ქალი, მიმტანები, მუსიკის მასწავლებელი, კომისარი, ექიმი, აღსრულების ბიუროს ინსპექტორი.

შენიშვნა: მიმტანების, მუსიკის მასწავლებლის, კომისრის, ექიმისა და აღსრულების ბიუროს ინსპექტორის როლს ერთი მსახიობი ასრულებს.

მოქმედება დიდ ქალაქში ხდება.

სცენა ორ ნაწილად არის გაყოფილი. მაყურებლებისგან მარცხნივ სცენის ერთი ნაწილი ჯოშქუნ ერმიშის სახლია. სცენის მარჯვენა ნაწილი ცარიელია და, როცა მოქმედება ჯოშქუნის სახლში ხდება, ეს ნაწილი ჩაბნელებულია. ჯოშქუნის სახლის გარეთ მიმდინარე მოქმედებები სცენის მარჯვენა ნაწილში სრულდება და ამ დროს ჯოშქუნის სახლია ჩაბნელებული. ზოგჯერ, პარალელური მოქმედებების დროს, ორივე ნაწილი ნათდება.

ჯოშქუნ ერმიშის სახლი სხვადასხვაგვარი ნივთებითაა გადატვირთული; სახლს გარეთ სცენები კი უკიდურესად სადა და მარტივი დეკორაციებით არის წარმოდგენილი; ამ სცენებში განათებაც იმდენად სუსტია, რომ სიზმარეულ შეგრძნებას ბადებს.

პირველი მოქმედება

დიდი ქალაქის პატარა უბანში მდებარე ჯოშქუნ ერმიშის ხის სახლი: სადარბაზოში გამავალი კარი პირდაპირ შედის დიდ ოთახში, რომელიც სასადილო ოთახიცაა, სასტუმროც და კაბინეტიც. ოთახის შუაში დიდი სასადილო მაგიდა დგას, მარჯვნივ (მაყურებლის მხრიდან) პატარა საწერი მაგიდა, მარცხნივ კი - წიგნების კარადა, ასევე დივანი, ორი სავარძელი, რამდენიმე სკამი და ჟურნალის მაგიდაა. ავეჯი და ნივთები ძირითადად ძველია. ყველაფერი თითქოს ერთმანეთზეა ახორხლილი. კედლები სავსეა სურათებით: წინაპრების ჩაჟამებული, ყავისფერი ფოტოები; ცნობილი ადამიანების პორტრეტები: ნაპოლეონი, ალექსანდრე მაკედონელი, ჰინდენბურგი (ან რომელიმე სხვა გერმანელი სახელწიფო მოღვაწე), ნელსონი (ან რომელიმე სხვა ქერათმიანი დასავლელი სარდალი), სულთანი მეჰმეთ ფათიჰი, სულეიმან ქანუნი, ვინმე გამოჩენილი არაბი, ინდოელი პოეტი და ჩინელი ფილოსოფოსი... ერთი-ორი მინიატურა, რამდენიმე ფერწერული ტილოს რეპროდუქცია: ოსმან ჰამდი-ბეის,[1] ნამიქ ისმაილის[2], რემბრანდტის, ვან გოგის, დიურერის... კედელზე დაკიდებულ პატარა თაროებზე თერმომეტრი, მომცრო ფიგურები და კერამიკული ნივთები აწყვია. კედლებზე დასურათხატებული ანდაზები კიდია. საწერ მაგიდაზე უწესრიგოდ ყრია ფურცლები და ძველი წიგნები, ცხადია, რომ მაგიდას დიდი ხანია არავინ მიჰკარებია. სადარბაზოში გამავალი კარის გვერდით პალტოების საკიდი დგას, ზედა ნაწილში ბოხოხი, ჩაფხუტი, ფეტრისა და კეპიანი სპორტული ქუდები აწყვია. ერთ-ერთ საკიდზე ვიოლინოს ჩასადები ყუთი კიდია, ფეხსაცმელების ტუმბოზე ვიოლინო დევს, საწერი მაგიდის გვერდით პიუპიტრი, მაგიდაზე კი ნოტების რვეული დევს. კარების სიახლოვეს კედლის მაღალი სარკეა მიყუდებული. საწერი მაგიდის მოპირდაპირე კედელზე ფანჯარაა.

ჯოშქუნი დივანზე ზის, ხელში წიგნი უჭირავს და ძალდატანებით კითხულობს. მის გვერდით მჯდომი საადეთ ბეგო ალბომს ათვალიერებს. საფეთს ნიკაპი ხელებზე აქვს ჩამოყრდნობილი და თავი – სასადილო მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებში ჩარგული. თითქოს ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს, შიგადაშიგ თავს აქნევს და ჭერში იყურება. მის წინ მჯდომი უმითი სერიოზული გამომეტყველებით რაღაცას წერს. სარკის წინ ჯემილე მეზობელ ქალს ნემსებით დალამბულ კაბას აზომებს.

ჯოშქუნი წიგნს დებს, დგება, წიგნების კარადასთან მიდის, ათვალიერებს, თავს აქნევს, ირგვლივ იყურება, მზერას საწერ მაგიდაზე აჩერებს, მასთან მიდის, ქაღალდებქვეშ ერთ გადაშლილ წიგნს ირჩევს და ცდილობს გამოაძვრინოს.

---

[1] თურქი მხატვარი, არქეოლოგი, სტამბოლის არქეოლოგიური მუზეუმისა და ხელოვნების მუზეუმის დამაარსებელი. (1842-1910)

[2] თურქი იმპრესიონისტი მხატვარი (1890-1935)

უმითი *(მამას მიმართავს, ისე რომ არ უყურებს):* საფრანგეთის რევოლუციის თარიღი რომელია?

ჯოშქუნი *(მართალია, წიგნი წარმატებით გამოუძვრენია ქაღალდებიდან, მაგრამ რამდენიმე ქაღალდი ძირს გდია. ჯოშქუნი გახარებული დასცქერის წიგნში გადაშლილ გვერდს):* სამას ოცდაორი!

უმითი*:* მამა, ხომ არ გააფრინე?

ჯოშქუნი *(სიბრაზისგან უცებ ენთება):* შენ აფრენ, თუ კარგია! *(თავს ზევით სწევს).* იმის თქმა მინდოდა, რომ ამ წიგნის სამას ოცდაორი გვერდი წამიკითხავს. *(დამშვიდებული).* შენ რას ამბობდი?

უმითი: საფრანგეთის რევოლუციის ტელეფონის ნომერს გეკითხებოდი.

ჯოშქუნი *(გაბრაზებული):* ისტორიის მასწავლებლის ვაჟი ცოტა მეტი სერიოზულობით უნდა ეკიდებოდეს ამ საკითხს.

უმითი *(გაბუტული):* როცა არ გაწყობს, არ გეხუმრება, ხომ! *(საფეთი ფურცლებიდან თავს სწევს და უმითს უღიმის).* ჩვენი ისტორიის სახელმძღვანელოსა და ტელეფონების წიგნს შორის განა რა განსხვავებაა?! ორივე ციფრებითა და სახელებითაა გავსებული.

ჯოშქუნი: რამდენჯერ გითხარი, რომ ადამიანმა თავისი ხუმრობა არ უნდა განმარტოს. *(საფეთს შეხედავს).* თეატრალები, რა თქმა უნდა, არ გაიზიარებენ ამ მოსაზრებას.

საფეთი *(ვითომ გაბრაზებული):* ჯერ ეგ ერთი, რამდენჯერ უნდა გითხრა, მე თეატრალი არ ვარ, თეატრის მსახიობი ვარ.

ჯოშქუნი *(საფეთს ყურს უყრუებს და უმითისკენ ბრუნდება):* ეს საფრანგეთის რევოლუცია საიდან გაგახსენდა?

უმითი: რევოლუციებზე დავალებას ვწერ და საფრანგეთის რევოლუცია მინდოდა მაგალითად ამეღო.

ჯოშქუნი: რა დავალებაა?

უმითი: თურქულში მაქვს დავალება.

ჯოშქუნი *(იმედგაცრუებული):* თურქულში? მოიცა, შენ ისევ საშუალო სკოლაში[3] ხარ?

---

[3] 1997 წლამდე თურქულ საგანმანათლებლო სისტემაში საშუალო სკოლა ხუთწლიანი დაწყებითი სკოლის შემდგომი სამწლიანი სასწავლო ეტაპი იყო, რომელის დასრულების შემდეგ სწავლა ლიცეუმში გრძელდებოდა.

უმითი: აი, შედეგი, ასე ძალიან რომ გაინტერესებს საკუთარი შვილის ამბები..... გასულ წელს ხომ გავჭედეთ.

ჯოშქუნი *(ბრაზით):* უზრდელი!

უმითი: უტვინო, რომ გეთქვა, კიდევ გასაგები იქნებოდა. უზრდელობა რა შუაშია?

ჯოშქუნი: რამდენჯერ გითხარი, ამ ქუჩურ გამოთქმებს ნუ ხმარობ-მეთქი? გავჭედეთ?! და მე რა შუაში ვარ? რა, გამოცდებს ერთად ვაბარებდით?

უმითი: ჩვენი თურქულის მასწავლებელი ამბობს, თავის თავზე მრავლობითში მოლაპარაკე ადამიანები თავმდაბლები არიანო.

(ჯოშქუნი ვაჟიშვილის ნაწერებს ამოწმებს. შუბლს ჭმუხნის. ჯემილე თან კაბას აზომებს მეზობელ ქალს, თან შიგადაშიგ მათკენ იყურება).

ჯემილე: ამ საწყალ ბავშვებს გაუთავებლად აძლევენ და აძლევენ დავალებებს. *(ჯოშქუნს)* იქნებ, ცოტათი მაინც დაეხმარო უმითს.

ჯოშქუნი *(თავს ასწევს და შვილს შეხედავს):* რატომ მოგცეს ეს დავალება? რაში გჭირდებათ?

უმითი: რევოლუციის იუბილე ახლოვდება, რა. ვინც ყველაზე კარგად დაწერს თემას, საზეიმო ცერემონიაზე წაიკითხავს.

ჯემილე *(გაბრაზებული, რომ ჯოშქუნი ინტერესს არ იჩენს):* გესმის ჩემი?! კარგი იქნება თუ უმითს დაეხმარები.

ჯოშქუნი *(გაბეზრებული): აჰა... მომიტევეთ. (ვაჟიშვილს)* რომელი რევოლუცია ახლოვდება?

საფეთი *(ფურცლებს თავს ანებებს, თავს ასწევს და ყალბი გაკვირვებით ამბობს):* ისევ რევოლუცია მოდის? *(სკამიდან ოდნავ წამოიწევს)* თქვენი ნებართვით, მე....

ჯემილე *(გაბრაზებული საფეთს სიტყვას აწყვეტინებს):* თუ შეიძლება, რაღაცების მიმართ სერიოზულობა გამოიჩინეთ!

საფეთი: ამას რატომ ამბობთ? მეც რევოლუციის პირმშო ვარ.

ჯემილე *(საფეთს არ უსმენს):* ჯოშქუნ! ეს სარკე ცოტა ასწიე! ქვედაბოლოს გაზომვა გვინდა.

(ჯოშქუნი მეუღლესთან მიდის და კედელზე მიყუდებულ სარკეს ზემოთ სწევს. მეზობელი ქალი ქვედაბოლოს ირგებს, ჯემილე კაბის სიგრძეს და სიგანეს ზომავს. ჯოშქუნი სარკეს არის ამოფარებული).

საფეთი *(შეწუხებული):* რა სამწუხაროა, რომ რევოლუციის პირმშო ვარ და პირველი დღეებით გამოწვეულ აღმაფრენას ვერ დავესწარი. როცა აზრზე მოვედი, ყველა რევოლუცია უკვე

მომხდარი და დასრულებული იყო. *(ჯოშქუნს გასძახებს)* ვერცერთ რევოლუციას ვერ მოვუსწარი, უფროსო.

ჯოშქუნი *(სარკის უკნიდან თავს გამოყოფს):* მე ზოგს დავესწარი*(ისევ ეფარება სარკეს).*

ჯემილე *(აღელვებული):* უვარგისები ხართ, ერთადერთი ის გეხერხებათ, რომ ბავშვს ტვინი აურიოთ. *(ჯოშქუნს მიმართავს)* სარკე ცოტა კიდევ ასწიე! *(მკვეთრი მოძრაობებით კაბის გაზომვას აგრძელებს).*

ჯოშქუნი *(სარკის გვერდიდან თავს ყოფს):* უმით, რომელი რევოლუცია ახლოვდება? *(უმითი მამას გახედავს).* ხომ იცი, რომ ბევრი სახეობის რევოლუცია არსებობს: სპონტანური რევოლუცია, პერმანენტული რევოლუცია...

საფეთი *(ფურცლებს დახედავს და დაამატებს):* საჩვენებელი რევოლუცია. გახსოვთ რა თქვა ჯენაფ შაჰაბეთინმა[4]: ,,ლამაზი ჩაცმულობა, საუკეთესო სარეკომენდაციო წერილიაო''.

ჯოშქუნი: ამ რევოლუციების გვერდით საფრანგეთის რევოლუცია ბავშვების თამაშს ჰგავს. ამიტომ, შეგვიძლია დასკვნაში ჩავწეროთ: ყველამ თავის რევოლუციას მიხედოს!

ჯემილე *(მოთმინებადაკარგული):* გეყოფა, ჯოშქუნ! ყველაფერი სპექტაკლს ნუ დაამსგავსეთ.

საფეთი: მაგრამ, ჯემილე, ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენი მეუღლე მალე დიდი დრამატურგი გახდება და დრამატურგიაში რევოლუციასაც მოახდენს.

ჯოშქუნი: რა თქმა უნდა! იმიტომ, რომ რევოლუცია ჩვენი ერის ხასიათში ზის. დიახ, რევოლუცია ჩვენი ნაციის ბუნებაა და ამავე დროს, მის ხასიათს ცვლის. შეცვლილ ხასიათს კი ახალი რევოლუცია სწყურია. ახალი რევოლუცია ამ შეცვლილ ხასიათს კვლავ ცვლის. ამიტომაც რევოლუცია უწყვეტი პროცესია.

ჯემილე *(შეწუხებული):* რა სამწუხაროა, რომ ყველამ დაგარკეთ რწმენა.

ჯოშქუნი *(მოჩვენებითი მღელვარებით):* რწმენის რევოლუციაც არსებობს. არა, არ არსებობს. განა შეიძლება ყველაფრის რევოლუცია არსებობდეს? არა, არ შეიძლება! მაგალითად, რელიგიაში არ შეიძლება რევოლუცია, შეიძლება რეფორმა. რადგან არის საშიშროება, რომ რელიგია თუ ერთხელ ხელიდან გაგისხლტა, უკან ვეღარ დაიბრუნო. კიდევ მიწაზეც რეფორმა უნდა იყოს - მიწის რეფორმა, რადგან აქაც იგივე საშიშროებაა, ერთხელ დაკარგულ მიწას უკან ვეღარ დაიბრუნებ. ხან რევოლუციას ვახდენთ, ხანაც რეფორმას ვატარებთ, მაგრამ მთავარია, რომ სულ აქეთ-იქით დავრბივართ. *(პათეტიკურად)* დილას, მზის ამოსვლამდე რომ გვაღვიძებს, ნეტავ, რა არის? რევოლუცია მაშინ არის რევოლუცია, თუ გაუჩერებლად დარბის.

ჯემილე *(იმედდაკარგული):* თქვენთან ლაპარაკი შეუძლებელია.

---

[4]თურქი პოეტი და მწერალი (1870-1934)

საფეთი: არადა, სწორედ ახლა იწყებდა სერიოზულ ლაპარაკს.... *(ფურცლებში რგავს თავს).*

(მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდება. ჯემილე კაბას ზომავს, ჯოშქუნს გადაღლილი გამომეტყველებით უჭირავს სარკე, საფეთი ფურცლებს დაჰყურებს, უმითი დავალებას წერს. საადეთ ბეგო, რომელიც სიჩუმის ჩამოვარდნას ამჩნევს, ალბომიდან თავს ასწევს და აქეთ-იქით იყურება).

საადეთ ბეგო: არ უნდა ვისადილოთ? მომშივდა.

ჯემილე *(გაბეზრებული):* შენღა გვაკლდი. ახლახან არ ავდექით სუფრიდან?

საადეთ ბეგო: აი, სულ ასე მექცევით. სულ ასე ამბობთ, ყველაფერი უკვე იყო, ყველაფერი ახლახან გავაკეთეთო. გონებას მირევთ. დაძინება მინდა, ახლახან გაიღვიძეო, მეუბნებით. თქვენ რომ დაგიჯეროთ კაცმა, ყველაფერი უკვე მომხდარა. აი, რომ გეკითხებით, ხალიფა სად არის-მეთქი, უკვე წავიდაო, მპასუხობთ. ყველა ფაშა და ნაზირ-ვეზირი, მთელი სასულთნო თან წაიყვანა-მეთქი, გეკითხებით და კი, ყველა თან წაიყვანაო, მპასუხობთ. მთელი საგანძურით, ეტლებით, მუსიკოსებით, მსახურებით, მეჩეთებით, შადრევნებით, მედრესეებით წავიდა-მეთქი და მაქმანებიანი ტანსაცმელი და ხანჯლებიც კი არ დარჩენიაო, მეუბნებით. აა, ესე იგი, ახლა ურწმუნო ფაშებმა და ფრანკმასონებმა რაღაც საკონსტიტუციო მონარქია გამოაცხადეს და ფრანკმასონთა მეჯლისებიც ტარდება-მეთქი, ვამბობ და ეგეც უკვე ამასწინათ იყოო მეუბნებით. *(ხმას დაუწევს).* არა, ეს თქვენ გძინავთ, თქვენ არ გაგიგიათ, რომ ხალიფა დაბრუნებულა და სულთან ეუფის მავზოლეუმთან თეთრი ცხენით დასეირნობს. მართალია, სხვა ხალიფა ყოფილა, მაგრამ მაინც ხალიფაა.

ჯოშქუნი *(სარკის გვერდიდან):* ეგეც დიდი ხნის წინ იყო, საადეთ ბეგო.

საადეთ ბეგო *(ბრაზით):* არაფერიც არ იყო დიდი ხნის წინ, გუშინ მითხრა გვერდითა სახლის კარისკაცმა.

ჯოშქუნი *(ინტერესით):* კარისკაცს აქ რა ესაქმებოდა?

საადეთ ბეგო: რაღაცის გარკვევა უნდოდა.

ჯოშქუნი *(სარკეს ძირს დებს):* რისი გარკვევა?

საადეთ ბეგო წიგნების ამბავს არკვევდა. წინასწარ იღებენ ზომებს, რომ ახალი ხალიფაც აბდულჰამითის[5] მსგავსად ხათაბალაში არ გაებას წიგნიერი ხალხის გამოისობით. როგორც ყვებოდნენ, დედა ხალიფას თავისი სიძის ალყაშემორტყმული სახლი და ქვემეხის ლულა რომ დაუნახავს, ფანჯრიდან ყვირილი დაუწყია, ჩაბარდი, შვილო, ჩაბარდიო.

ჯოშქუნი: კარგი და შენ რა უთხარი?

---

[5]ოსმალეთის იმპერიის 34-ე სულთანი (1876-1909)

საადეთ ბებო: ჩვენი სიძე წიგნებით ვაჭრობდა და მაგაშიც არ ივარგა-მეთქი.

ჯემილე *(აღელვებული):* დედაჩემი, მგონი, დაიღალა ამ აურზაურში. უმით, დროა ბებიაშენი თავის ოთახში წაიყვანო. *(მეზობელ ქალს მიუბრუნდება, ცდილობს გაიღიმოს)* ჯოშქუნი რაღაც წიგნების ბიზნესში იყო ერთ დროს.

საადეთ ბებო *(ხელს ჰკრავს მასთან მიახლოებულ უმითს):* ჯერ არ მეძინება. ახლახან არ გავიღვიძე?!

უმითი: ცოტა ხანში ჯემილ ფაშა[6] მოვა შენ სანახავად, საადეთ ბებო, შენს ოთახში წავიდეთ, თავი უნდა მოიწესრიგო.

საადეთ ბებო *(თვალები უბრწყინდება და ჯოხზე დაყრდნობილი ოთახისკენ მიდის):* მალე მოვაო?! *(სიამაყით)* აკი, უკვე მოვიდაო, ცოტა ხნის წინ მოვიდაო. დღისით? ესე იგი ცოტა ხნის წინ კი არა, ცოტა ხნის მერე...*(უმითის მხარზე ჩამოყრდნობილი კორიდორში მიდის. თვალს ეფარებიან. საფეთი სერიოზული სახით აგრძელებს ფურცლების თვალიერებას, შიგადაშიგ ჩაიღიმებს ხოლმე. ჯოშქუნი შეშინებული ადევნებს თვალს საფეთს, როცა საფეთი იღიმის, ჯოშქუნიც მშვიდდება. უცებ საფეთს სახე ეღუშება და ჯოშქუნი აფორიაქდება).*

საფეთი: ბატონო ჯოშქუნ... *(გაღიზიანებული)* ერთი გამაგებინეთ, ეს რანაირი ბულვარული კომედიაა? მთელი რვა გვერდი დაგიწერიათ და ქალების მუსუსი ქმრის ცოლი ჯერ არ გამოჩენილა. ორი საათია სულმოუთქმელად ველი ამ სიტყვებს*: ,, ვაიმე, ჩემი ცოლი მოდის!''*

მეზობელი ქალი *(საფეთის სიტყვების გაგონებაზე გაოცებული მისკენ ბრუნდება):* ბატონო?

ჯემილე *(მეზობელ ქალს ძალით უღიმის):* ყურადღება არ მიაქციო... პიესას წერენ....

ჯოშქუნი *(გაცხარებული ჯემილეს):* დიახ, პიესაა, სინამდვილე არ არის, თამაშია. ჩვენთვის კარგად ნაცნობი თამაში.

ჯემილე *(გაბრაზებული):* ჩვენ თითქმის მოვრჩით. *(მეზობელ ქალს)* თუ გნებავთ, იქით გავიდეთ *(ჯოშქუნს ამრეზით გახედავს, მეზობელ ქალთან ერთად დერეფნისკენ მიდის და ორივენი თვალს ეფარებიან).*

ჯოშქუნი: საფეთ, რატომ მიგდებ მასხრად სხვების თვალწინ!

საფეთი *(გულგრილად):* თქვენ თავად იმასხარავებთ თავს ასეთი პიესების წერით. *(ფურცლებს შლის).* ვინმე მუსუსი მასწავლებელი კაცი ვიღაც ქალის სახლში მოკალათებულა, ქალს რაღაცებზე გაუჩერებლად ეწუწუნება და თითსაც კი არ აკარებს.

---

[6]ქურთული წარმოშობის პოლიტიკური მოღვაწე (1891-1974), რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ათათურქის თანამებრძოლი იყო, მოგვიანებით კი ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისთვის იბრძოდა, რისთვისაც დააპატიმრეს და თურქეთიდან გააძევეს, გარდაიცვალა დამასკოში 1974 წელს.

ჯოშქუნი *(გაბეზრებული):* მორცხვია და იმიტომ.

საფეთი *(ფურცლებს შლის):* მერე ამ ქალის მკერავი მოდის, მერე კარისკაცი, მერე მერძევე... კი მაგრამ სად არის ეჭვიანი ცოლი?

ჯოშქუნი *(მორცხვად):* ისა... სიმართლე თუ გინდა, შემეცოდა ეს კაცი. კიდევ ისა... შესაფერისი შემთხვევა არ დამდგარა.

საფეთი: რა შემთხვევა?

ჯოშქუნი: ანუ ცოლმა შესაფერისი საბაბი ვერ იპოვა, რომ კარზე ზარი დაერეკა.

საფეთი: ბატონო, ჯოშქუნ! ცოლი თავს უნდა დაესხას, მეგობარო. კარს რომ შემოაღებს, მერე ხომ არ დაიწყებს თავის მართლებას, მაპატიეთ, დამნაშავე მე ვარო. *(შუბლს ჭმუხნის).* და მერე, გეყოფათ თქვენი გმირების შეცოდება. თუ საჭიროა, კიდეც უნდა მოკლათ ისინი!

ჯოშქუნი *(შეშინებული):* მოვკლა? ძალიან გთხოვ, საფეთ, სიტყვაც კი არ ახსენო სიკვდილზე.

საფეთ: და ვითომ რატომ?

ჯოშქუნი: საერთოდ დიდად არ მეპიტნავება ეგ სიტყვა. ახლახან დავიწყეთ ახალი პიესის წერა და რა დროს სიკვდილია?

საფეთი: ძვირფასო, ჩვენ მხოლოდ პიესის გმირებზე ვსაუბრობთ.

ჯოშქუნი: თუნდაც ეგრე იყოს. პიესებს ხომ სერიოზულობით ვეკიდებით*(ფიქრებში მიდის).*

საფეთი *(მოჩვენებითი მღელვარებით):* ღმერთო ჩემო, თავი დაანებე ფილოსოფოსობას!

ჯოშქუნი: ვიფილოსოფოსებ და ვიფიქრებ კიდეც. ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩვენს ქვეყანაში დანაშაულად ითვლება.

საფეთი: ღვთის გულისათვის, ფრთხილად იყავი!

ჯოშქუნი: დიახ, სწორედ ამისთვის გავედი პენსიაზე ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა *(იღიმის).* იმის თქმა მინდოდა, რომ პენსიაზე ასე ნაადრევად იმიტომ გავედი, რომ ფიქრი არ დამგვიანებოდა.

საფეთი: მაგრამ ხომ იცი, რომ ჩვენ პიესებს ვწერთ და ხალხს ფიქრი მაინცდამაინც არ ეხატება გულზე...

ჯოშქუნი: არა, ჩვენ პიესებს კი არ ვწერთ, პიესები ჩვენი ცხოვრებაა.

საფეთი *(დანაღვლებით):* მართალია, ამის მეტს არაფერს ვაკეთებთ. *(ძალას მოიკრებს).* რაც არის არის, ჩვენს საქმეს მივხედოთ. *(ფურცლებს დახედავს).* ისტორიული დრამა რა ეტაპზეა?

ჯოშქუნი *(დამნაშავე მოწაფესავით, რომელსაც დავალება არ შეუსრულებია):* ნაპოლეონს ჯერ არ დაუსრულებია ომისთვის მზადება.

საფეთი *(მოჩვენებითი სიბრაზით):* ქალი კარზე ზარს ვერ რეკავს, ნაპოლეონი უკვე თვეებია ოთახში ბოლთას სცემს და გადაწყვეტილებას ვერ იღებს... ბატონო ჯოშქუნ! სჯობს რომანი დაწეროთ.

ჯოშქუნი *(არტისტიზმით):* თქვენ დამაძალეთ. *(დაფიქრებული)* მე მერჩივნა ვიოლინოს სწავლა გამეგრძელებინა.

საფეთი: ხო, მართლა, მოუხერხეთ რამე ვიოლინოს მასწავლებელს?

ჯოშქუნი *(შეწუხებული):* ჯერ ვერ მოვიშორეთ. შესაფერისი შემთხვევა არ ჩაგვივარდა ხელში.

საფეთი*:* ბატონო ჯოშქუნ! ადამიანი ამდენი ყოყმანით დიდხანს ვერ გაიტანს თავს. თქვენი ცხოვრებაც თამაშად გიქცევიათ.

ჯოშქუნი: საფეთ, მიჭირს გადაწყვეტილების მიღება.

საფეთი: ამ თქვენს ნაკლს თქვენი პიესის გმირებს მაინც ნუ გადასდებთ.

ჯოშქუნი: იცი, რამდენი წელი ვიღებდი გადაწყვეტილებას პენსიაზე გასასვლელად?

საფეთი: მაგრამ აი, ნახავ, ვიოლინოს მასწავლებელს ხუთ წუთში გავაბუნძულებთ.

ჯოშქუნი (*იმედიანად):* როგორ?

საფეთი: პატარა სპექტაკლს დავდგამთ. აი, ნახავ, რა ოინს მოვუწყობთ.

(უმითი შემორბის. ხელში ორი ლიმონათის ბოთლი და გასახსნელი უჭირავს. ორივე ბოთლს გასახსნელით ხსნის).

უმითი: პიესებს ცოტა ხნით შევეშვათ, ბატონებო! ანტრაქტი გამოვაცხადოთ, ლიმონათი დავლიოთ. მიირთვით, ბატონო! ისეთი ცივია, რომ კბილებს კვეთს.

ჯოშქუნი *(შეწუხებული):* რეკლამების უარყოფითი გავლენა. *(თავს აქნევს).* ამ სახლში დალაგებული ჭკუით ერთადერთი ჯემილე დარჩა.

უმითი *(ყურადღების მისაქცევად შუა ოთახში დგას):* გულთეფეს სარეკლამო სააგენტო წარმოგიდგენთ: თხუთმეტი წუთი უალკოჰოლო სასმელების მოყვარულთათვის! *(რადიოსთან მიირბენს და ჩართავს, რადიოში პოპმუსიკას გადმოსცემენ).* ძვირფასო მაყურებლებო, ნუ გადააგდებთ ბოთლის თავსახურებს! *(რეკლამიდან სურათებს აცოცხლებს, თითოეული სურათის შემდეგ ერთხანს გაუნძრევლად დგას. წარმოსახვითი თავსახურიდან ელასტიკურ შუასადებს იღებს და თავსახურს გაფაციცებით ჩასჩერებია).* ეგებ, თავსახურზე ის ასო წერია, რომელიც თქვენი ბედნიერების გასაღებია.

საფეთი: ბრწყინვალეა! მამაშენი თუ არ გაბრაზდება, ახლავე წაგიყვან ჩვენს თეატრში მსახიობად.

ჯოშქუნი: იჩქარე, იჩქარე, გზად იქნებ, რესტორანშიც აქეიფო.

უმითი *(ბრაზდება, მამამისს მიმართავს):* პატივცემულებო, არ შეამოწმებთ რა ასო წერია თავსახურზე?

ჯოშქუნი *(თავსახურის ელასტიკურ შუასადებს იღებს და თავსახურში იყურება):* ქან!

უმითი *(უხარია, რომ მამამისიც აიყოლია თამაშში):* დიახ, ბატონებო და ქალბატონებო, აი, პირველი ასოც: ქანი! ახლა კი, ვინც შეძლებს, მოაგროვოს ყველა ასო ლექსისა: ,,ვიყავ პატარა, სულ ციცქნა, ბურთი ვითამაშე, წყალი მომინდა'', თავსახურები მოიტანეთ და ვინც კენჭისყრაში...

საფეთი: გაიმარჯვებს, რამდენი თავსახურიც მოაგროვა, იმდენივე ბოთლს მიიღებს საჩუქრად.

ჯოშქუნი: როგორც ჩანს, ჯემილეს გამოკლებით ყველანი კარგად ვუგებთ ერთმანეთს.

უმითი *(შეშინებული დერეფნისკენ იყურება):* დიახ. *(მოეშვება).* თქვენ გამოიცანით! ახლა მეორე კითხვაზე გადავდივართ. საჭიროდ მიგვაჩნია, შეგახსენოთ თქვენ მიერ აქამდე დაგროვებული ქულების რაოდენობა. დიახ, პენსიაზე გასული ისტორიის მასწავლებელი, ჯოშქუნ ერმიში უმაღლესი ქულებით აგრძელებს ასპარეზობას. გერმანელი ფალავანი ორი ქულით ჩამორჩება.

ჯოშქუნი: ნუ სულელობ რაღაცებს!

უმითი: და აი, მეორე კითხვა.

ჯოშქუნი *(ჰაერში ხელით ეძებს):* აბა, სად არის?

საფეთი: ეს თეატრი არ არის, წმინდა წყლის იმპროვიზაციაა.

უმითი: დიახ, ბატონო ჯოშქუნ ერმიშ, მეორე კითხვა: მართალია თუ არა, რომ მეორე მსოფლიო ომის ყველაზე მძვინვარე დღეებში გერმანიის საჰაერო ძალების გენერალი ფონ ჰინშონი დილას ყველაზე ადრე გადიოდა ბრძოლის ველზე და როგორ ახერხებდა იგი ამას?

ჯოშქუნი: გეყოფა ეს სისულელეები!

უმითი: დიახ, მივმართავ ჟიურის და განვმარტავ: პატივცემული მოასპარეზის პროტესტი მიღებულია. პატივცემულო ჯოშქუნ ერმიშ, პირადად თქვენთვის თავიდან ვრთავთ წამმზომს და უკანასკნელ შანსს გაძლევთ. დიახ, ხალხიც ღელავს. იჩქარეთ, ბატონო ჯოშქუნ, ყველას თავისი საქმე აქვს.

ჯოშქუნი: ნუ ჩმახავ!

უმითი: სამწუხაროდ, თქვენი დრო ამოიწურა და ამ ჯერზე თქვენი პრეტენზია ვერ მიიღება. ახლა კი მოისმინეთ სწორი პასუხი: იმიტომ რომ ბერენსონის ფირმის სამართებელს ხმარობდა. დიახ, პატივცემულო მაყურებელო! თქვენც, რათა დროულად ჩაერთოთ ბრძოლაში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, ნუ შედრკებით, გამოიყენეთ ბერენსონის ფირმის სამართებელი. კარგად პარსავს, კანს არ კაწრავს. *(პათეტიკურად)* ბოლობოლო დავდე ფსონი/ძლიერ მომწონს ბერენსონი. *(ჯოშქუნისკენ იხრება).* ახლა კი დიდი გულისტკივილით 10 ქულა უნდა მოგიშალოთ. *(ხელს ჯიბეში იყოფს და ჯიბიდან საშლელს იღებს).* ძვირფასო მაყურებლებო, აღარ შეგეშინდეთ შეცდომების დაშვების! აი, ეს საღმელექის ფირმის საშლელი, რომელიც ახლა ხელში მიჭირავს, უკვალოდ წაშლის ყველა თქვენს ცოდვას.

ჯოშქუნი: გეყოფა ბოდვა!

უმითი: ამ ახირებული მოასპარეზის პრეტენზიის თაობაზე კვლავ მივმართავთ ჩვენს ჟიურის. პატივცემული ჟიურის წევრი, ბატონი ადილ ჰიჯაბი უთანჩი ამბობს, რომ თქვენი პრეტენზია ვერ მიიღება, რადგან ის დროის გასვლის შემდეგ გამოთქვით. თქვენ გაქვთ საშუალება, მოისმინოთ ადილ ჰიჯაბის განცხადების ჩანაწერი: მთელი ცხოვრება შეცდომებს ვუშვებდი და აი, ბოლოს მოსამართლე გავხდი.

ჯოშქუნი: გეყოფა! *(უმითს უცებ სახე ეღუშება და თავს ჩაქინდრავს).* რა მოხდა?

უმითი: პატივცემულო მაყურებლებო, მოედანზე არსებული სიჩუმით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენი პირდაპირ ეთერში ყოფნის დროს, ჩვენი ეროვნული ნაკრების კარში გოლი გავიდა. *(თავს უკრავს წარმოდგენის დამთავრების ნიშნად).*

საფეთი *(ტაშს უკრავს):* ბრწყინვალეა. შენ მოიგონე ეს ყველაფერი?

უმითი *(დაღონებული):* არა, კვირის გასართობ პროგრამაში მოვისმინე. აფიფ ქესინს დაუწერია.

ჯოშქუნი *(ვაჟიშვილს მხარზე ხელს არტყამს):* ნუ დაღონდები, მართლა ასე ძალიან კი არ მოგვწონებია.

საფეთი: მამაშენში ისევ პროფესიულმა შურმა გაიღვიძა, ყურადღებას ნუ მიაქცევ.

ჯოშქუნი *(დაღონებული სავარძელში ეშვება):* ნეტავ, შეგვეძლოს რეალობასაც ასე დავცინოთ.

საფეთი: რამ შეგაწუხა ასე?

ჯოშქუნი: ცოტა ხანში მუსიკის მასწავლებელი მოვა.

საფეთი *(აღტყინებული):* ჰოდა, კარგ სპექტაკლს მოვუწყობთ. *(უმითი გახარებული უახლოვდება მას).* არა, შენი როლი უკვე დასრულდა. *(უმითი დანაღვლიანებული აგროვებს ლიმონათის ბოთლებს და სცენიდან გადის).* ეჰ, რა კარგი იქნებოდა, ყველას რომ შეეძლოს

საკუთარი როლის შესრულების შემდეგ ასე უპრობლემოდ დატოვოს სცენა. *(უმითს უკნიდან თვალს აყოლებს).* ჯოშქუნ! *(სავარძელზე გადაწოლილი ჯოშქუნი შეკრთება).* შენ ამ პიესებს სერიუზულად ეკიდები?

ჯოშქუნი *(აღელვებული):* კი, სერიოზულად, ნამდვილად. გეფიცები, რომ...

საფეთი: კარგი, კარგი. ამ მუსიკის მასწავლებლის საქმე მოვაგვაროთ და... ყურადღებით მისმინე!

(ჯოშქუნი საფეთს უახლოვდება. სცენა ბნელდება. სცენის მეორე ნაწილი ნათდება. თეატრის კულისები. საგრიმიორო ოთახი. ერთი დივანი, ერთი სარკე და ორი ტაბურეტი. სერვეთი და ემელი. ემელი სარკის წინ ზის. სერვეთი დივანზეა გადაწოლილი).

სერვეთი: მთლად კარგად ვერ მიდის საქმე, თეატრის ოქროს ხანა დასრულდა.

ემელი: ხალხიც ვერ ცხოვრობს მაინცდამაინც კარგად *(გრიმს იკეთებს).*

სერვეთი: რისთვის ემზადები ასე? ხომ იცი, რომ დღეს რეპეტიცია არ არის.

ემელი: რეკლამაში მიღებენ. *(სერვეთი წარბებს კრავს).* როგორც მოგეხსენება, თეატრის ოქროს ხანა დასრულდა, ხალხთან ურთიერთობისა და ქაღალდის ფულის ხანა დაიწყო. *(სერვეთისკენ გრუნდება).* მალე ახალ პერსონაჟებს განვასახიერებ. ჯერ მაცივრის წინ აღფრთოვანებული გავქვავდები, მერე დაუღალავად მომუშავე სარეცხ მანქანასთან ვიცეკვებ. ოჰ, რა რომანტიკაა! ვგრძნობ როგორ მეხვევა სარეცხი ფხვნილის ქათქათა მკლავები. აი, უკვე მევსება სული სითეთრით. *(უცებ ხმას უმაღლებს).* ათ წელიწადში მთლიანობაში მილიარდი ლირის ღირებულების საქონელი ვაწარმოეთ. სულ რაღაც ნახევარ საათში ამდენი პერსონაჟის განსახიერება ნამდვილი სიკვდილია ხელოვანისთვის*(ამოიხვნეშებს).*

სერვეთი: თეატრი თანდათან შორდება თავის წმინდა და დიად მიზნებს.

ემელი *(იღიმის, თითქოს რაღაც გაახსენდა):* ისეთებიც არიან, ვინც ამ ხელოვნების დარგს სერიოზულობით ეკიდებიან. საფეთის მეგობარი გავიცანი ერთი... *(უცებ ჩუმდება).*

სერვეთი: მერე?

ემელი: კარგი ადამიანია. *(პაუზა)* პიესებს წერს.

სერვეთი: პიესებს წერს? მერე რატომ არ მითხარით? არ იცი, ადგილობრივი პიესების რა ნაკლებობაცაა?

ემელი *(მორიდებით):* ჯერჯერობით პატარა საცდელ რაღაცებს წერს. *(თავის თავს ეკითხება)* რატომ დავიწყე ამაზე ლაპარაკი?

სერვეთი: საცდელ რაღაცებს წერს? თითქოს სხვები რამე განსხვავებულს აკეთებდნენ. *(გადაწყვეტილად)* მაგ ახალგაზრდის გაცნობა მინდა.

ემელი *(ღიმილით):* მთლად ახალგაზრდად ვერ ჩაითვლება.

სერვეთი: მით უკეთესი. იმიტომ, რომ ახლა ყველა ახალგაზრდა ხელოვნებას ებრძვის. *(პაუზა).* და ის მოხუცებიც, რომლებსაც თავი ახალგაზრდები ჰგონიათ. და საერთოდაც, ყველა ებრძვის ხელოვნებას. ჯერ ლექსში აზრი მოსპეს, მერე მუსიკაში მელოდია მოკლეს. და მხატვრობა? ერთი ხაზის გავლება არ იციან და უმალვე ცნობილები ხდებიან. დიახ, ხელოვნება მოკლეს!

ემელი: ეტყობა, თავადაც არ აპირებდა სიცოცხლის გაგრძელებას.

სერვეთი: გუშინ ერთი ახალგაზრდა კაცი გამომიგზავნეს. პიესებს წერს თურმე. აბა, სად არის თქვენი პიესა-მეთქი და არ მაქვსო. ასე მითხრა, პიესაში დიალოგების საჭიროება აღარ არისო.

ემელი: პანტომიმა.

სერვეთი: არა, ძვირფასო, რაღაც ,,შინაგანი გაგების'' თეატრი ყოფილა. ეს ახალგაზრდა ერთი საათი ნოტაციას მიკითხავდა *(ახალგაზრდას ბაძავს):* ,,ეი, მოკლე ჭკუის, წვრილო ბურჟუა მაყურებელო! ბილეთი ვიყიდე და სავარძელში მოვკალათდები - ფიქრობ შენ. ვინ მოგცა ასე მოდუნების უფლება? ზარმაცი მაყურებლის დრო წავიდა. შენნაირი მაყურებლისთვის, რომელსაც ჩვენი, მსახიობების შინაგანი სამყარო არ ესმის, დიდი ხანია კარი დავკეტეთ.'' *(ჩერდება და შეწუხებული აგრძლებს).* რა უნდა ვქნა? *(ხელებს შლის და გაუნძრევლად ზის).* მეც ხომ არ გამოვიდე საფრთხობელების რეკლამაში?

ემელი: თეატრში რევოლუცია მოახდინეთ.

სერვეთი: რევოლუცია? *(შეშინებულივით აქეთ-იქით იყურება).* არ არსებობს. არ გამომივა, იმიტომ, რომ მე რომანტიკული თეატრის ეპოქის, გრძნობებითა და სევდით სავსე თეატრის ეპოქის ადამიანი ვარ.

ემელი*(ირონიულად):* რეალურ ცხოვრებაში უკვე იმდენი მწუხარება და სევდაა, მის სანახავად თეატრში ვინღა მოვა. *(ხმას იმაღლებს).* თანაც რომანტიკული გრძნობები და სევდა მოკვდა, ადამიანებს ნაღდი პრობლემები უფრო აინტერესებთ.

სერვეთი *(აღელვებული):* არა! რომანტიკოსები არასდროს მოკვდებიან, გრძნობები და სევდა არ მოკვდება! ადამიანები არასდროს იყვნენ გულგრილები დიდი ტკივილის მიმართ. დიდი ადამიანები და დიდი სევდა! აი, თეატრის ორი მთავარი საყრდენი. *(უიმედოდ)* მაგრამ სადღაა ის ძველი ტკივილი, სადღაა მეფეების ტანჯვა? სადღაა დიდი ღალატი და დიდი ერთგულება? *(სახე ემანჭება).* ახლა მაყურებელში თანაგრძნობის გაღვიძებას იმ სადარდებლით ვცდილობთ, რიგითი მოქალაქეების რედაქციისადმი მიწერილ წერილებში რომაა. *(ემელს თითს უქნევს).* ანუ, ვცდილობთ მაყურებელს თავისი თავი დავანახოთ. უჩნდება კი ოდესმე ადამიანს თანაგრძნობა თავისნაირების მიმართ? მოგვიწევს, რომ სცენა მათხოვრებითა და

წარჩინებულებით გავავსოთ. იმიტომ, რომ ადამიანს ან უკიდურესად გაჭირვებული ეცოდება, ან უკიდურესი სიმდიდრე შურს. *(დაღონებული).* ადრე ღმერთები ყოფილან, ღმერთები, რომლებიც ადამიანის ბედს განაგებდნენ. მეფეები და იმპერატორები კი ამ ღმერთების აჩრდილები იყვნენ დედამიწაზე. ისინი რომ ამოიოხრებდნენ, მთელი ერი ძირს ემხობოდა.

ემელი: თქვენ ძველ საბერძნეთში უნდა გეცხოვრათ.

სერვეთი *(აღტყინებული):* დიახ, სწორედ ამიტომაც ყოველ წელს ვსტუმრობ ჩვენს ისტორიულ ადგილებს. ძველისძველ, მიწასთან გასწორებულ ქვებს შორის გულის ფანცქალით დავსეირნობ. ჩემს წარმოსახვაში ამ ქვებს ერთმანეთზე ვაწყობ და თითქოს ცხადად ვხედავ თეატრს ღია ცის ქვეშ, ათასობით მაყურებლით გადავსებულს.*(ხელით შუბლს იჩრდილავს და უსასრულობაში იცქირება).* მაშინ წარმოდგენებში ღმერთები წყვეტდნენ წარჩინებულთა ბედს; რიგითი ადამიანების ადგილი ჯერ კიდევ არ იყო მათში. *(ხელებს ზემოთ სწევს).* პირდაპირ ქვის სავარძლებზე დაბრძანებული მეფეების პირისპირ ვთამაშობდით წარმოდგენებს. მერე ბნელი დასავლეთიდან მოსულმა ბარბაროსებმა ქვემოთ ჩაიტანეს სცენა მდაბიური წარმოდგენებისთვის. განგების ღმერთისგან განწირული, წარჩინებული მსახიობების ადგილი კი ლომის კლანჭებში ჩავარდნილმა საწყალმა მონებმა დაიკავეს. *(წარჩინებულებს და მონებს ასახიერებს).* და იმ დღიდან მოყოლებული ამ არენამ მრავალი მსხვერპლი შეიწირა ხალხის გასართობად. სიღატაკის მარწუხებში მოქცეული ათასობით საბრალო კი მსხვერპლად შეწირულებს შორიდან უმზერდა და ერთობოდა. *(ხელით შუბლს იჩრდილავს და შორს იყურება).* არენაზე დაღვრილი სისხლის მდინარეებს ბრბო აღტაცებული შეძახილებით ხვდებოდა. აი, ისევ გადადიან შეტევაზე. *(ხმას იცვლის).* იმის გამო, რომ შორს ვზივარ, კარგად ვერ ვხედავ: მგონი, ვიღაც დაასახიჩრეს. ვიღაც ძირს გდია. არენის კუთხეში მდგომებს არბიტრი ანიშნებს: ,,დაჭრილი გამოიყვანეთ, წარმოდგენას მაგის გამო ვერ გავაჩერებ, ყველაფრისდა მიუხედვად წარმოდგენა უნდა გაგრძელდესო.'' დიახ, სელიმი ძირს წევს, მაყურებელი ყვირის: გარეთ გაიტანეთ დაჭრილი! არბიტრი იხრება: საათს დასჩერებია? არა, მაყურებლის სურვილის წინაშე ქედს იხრის. სელიმი არენიდან გაყავთ. სელიმი ნახევრადმკვდარია. მსაჯი მკვლელს, ვინც ამ ყველაფერში დამნაშავეა, წითელი ბარათით აჯარიმებს. *(ხმას იმაღლებს).* წარმოდგენა გრძელდება. მარცხნიდან უტევენ. შეტევა! წინ! სირბილით იარ! *(ძირს ეცემა).*

ემელი *(იცინის და ტაშს უკრავს):* ბრავო!

სერვეთი: გოოოლ! *(უცებ დაღონდება).* აი, რატომ აღარ მოდიან ჩვენს საყურებლად. *(ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებს და ოფლს იწმენდს).* და კიდევ *(ცხვირსახოცს აფრიალებს)* ცხვირსახოცისხელა პლასტმასის ფარდები გაჩნდა; ზედ ბუნდოვანი გამოსახულებებით.... *(ხელით საკუთარ თავს აჩვენებს).* ეშინიათ ჯან-ღონით და სიცოცხლით სავსე ძლიერი ადამიანების, ვინც კიდეც იცინის და კიდეც იტანჯება, სამაგიეროდ, სახლებში გამოკეტილან და წინდების რეკლამებს შორის ჩაკვეტებულ ფილმებში ციხიდან გაქცეულების აჩრდილებს უყურებენ. დიახ! *(ყვირის)* აჩრდილებს!

(სცენა ბნელდება. ჯოშქუნის სახლი ნათდება. სუსტი შუქი. სცენაზე მარტო ჯოშქუნია, რომელიც მაგიდასთან ზის, თან წერს და თან დაწერილს ხმამაღლა თამაშობს).

ჯოშქუნი: და ამაზე ნაპოლეონმა თქვა: მეც მსურს ამ ახალგაზრდასთან შეხვედრა. ნაზირი: მაგრამ, როგორ მოხერხედება ეს, ვალდიუ, ბავშვი სულ დასისხლიანებულია. ვალდიუ: თავად მზად არის დაიკითხოს. (ნაპოლეონს ახალგაზრდა კაცთან ერთად ეახლებიან). ნაპოლეონი (სისხლში ამოსვრილი ახალგაზრდის დანახვაზე აბობოქრდება): ეს რა უბედურებაა? ახალგაზრდა (სარკასტული ღიმილით): მოწინააღმდეგე მხრის ყაჩაღმა დამკითხა. ვალდიუ (ვითომ არ ესმის): ტყუის, მრძანებელო, თავად დაკითხა საკუთარი თავი.

(ჯოშქუნი დაფიქრდება) მოიცა, რა გვესაქმება ნაპოლეონთან? ნეტავ, რას ავყევი საფეთს?! *(შეწუხებული აქეთ-იქით იყურება, პალტოების საკიდზე ვიოლინოს მიაშტერდება).* ვაიმე! სადაცაა მოვა ეს კაცი. *(დერეფნის მხარეს გაჰყვირის).* უმით!

(უმითი მორბის).

უმითი: რა მოხდა, მამა? ჩვენებმა გოლი გაიტანეს?

ჯოშქუნი: ნუ გააჭირე საქმე! *(უმითს დაკვირვებით ჩასცქერის თვალებში).* ხომ იცი, მუსიკის მასწავლებელი მოვა თუ არა, შეუმჩნევლად უნდა წახვიდე და საფეთს შეატყობინო.

უმითი *(სევდიანად):* მა, მეც მომცემთ ერთ როლს?

ჯოშქუნი: გეყოფა ბევრი ლაპარაკი! აი, შიკრიკის როლი გერგო.

(თავჩაქინდრული უმითი დერეფნისკენ მიდის და თვალს ეფარება. ჯოშქუნი კვლავ მიუჯდება საწერ მაგიდას და წერას განაგრძობს. შიგადაშიგ მაგიდიდან რამე წიგნს, ან ფურცელს იღებს, კითხულობს და თავს აქნევს. მოწყენილობისგან ოთახის კედლებს ათვალიერებს, თვალები სარკისკენ გაურბის; ცალი თვალით ვითომ წიგნს კითხულობს, მეორე თვალით კი სარკეში იყურება და სახეს მანჭავს. ფეხზე დგება, პალტოების საკიდიდან ვიოლინოს ყუთს ჩამოიღებს, ცოტა ხნით შეყოვნდება, მერე ყუთიდან ვიოლინოს ამოიღებს; ხელში უჭირავს და ერთხანს ოთახის შუაგულში დგას, მერე სარკესთან მიდის და საკუთარ თავს აკვირდება. ზედმეტად სერიოზული გამომეტყველება აქვს. სარკეში ჩანს, რომ უკმაყოფილოა. ვიოლინოს დივანზე დებს. მაგიდას გახედავს, კვლავ თავის ადგილზე ჯდება, ვითომ რაღაცას წერს და ცალი თვალით ისევ სარკეში იყურება, არ მოსწონს თავისი თავი, ამოიხვნეშებს და წერას აგრძელებს. სადარბაზოში გამავალ კარზე აკაკუნებენ).

ჯოშქუნი *(წერას აგრძელებს):* კარზე აკაკუნებენ. ნაპოლეონი: შემოდით! *(კვლავ ისმის კარზე კაკუნი).* ნაპოლეონი: ვალდიუ შენ ხარ?

მუსიკის მასწავლებლის ხმა: მე მუსიკის მასწავლებელი ვარ, ბატონო ჯოშქუნ.

ჯოშქუნი *(თავაუღებლივ):* ნაპოლეონი: მუსიკის მასწავლებელი? ახლა დაკავებული ვარ, ვალდიუ. *(კარზე კვლავ აკაკუნებენ. უმითი მოდის და კარისკენ მირბის).*

უმითი: მამა, კარზე აკაკუნებენ.

ჯოშქუნი (*ფურცლებში ჩაფლული):* ახალგაზრდა კაცი: ვაიმე, ჩემი ცოლი მოვიდა!

(უმითი კარს აღებს, კარებში მუსიკის მასწავლებელი დგას: საშუალო ასაკის, გამხდარი, აღგზნებული გამომეტყველებით, თავზე ძველი ფეტრის ქუდი ახურავს. უმითი ქუდს ჩამოართმევს).

უმითი *(მამას გასძახის):* მამა, მუსიკის მასწავლებელი მოვიდა!

ჯოშქუნი *(თავაუღებლივ):* მანამდე მერძევე მოვიდა *(გონს მოეგება).* ბატონო? *(თავს ასწევს და თვალებით მუსიკის მასწავლებელს შეეჩეხება).* ბოდიშს მოვითხოვ. *(სწრაფად დგება და დივანზე დადებულ ვიოლინოს იღებს).* ახლავე გნებავთ მომისმინოთ? *(როცა დაინახავს, რომ მუსიკის მასწავლებელი გაოცებული შესჩერებია, ხემს დებს და მასწავლებელს ხელს ართმევს).* კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

მუსიკის მასწავლებელი *(დანაშაულზე წასწრებულივით იღიმის):* ბონჟუღ. ცოტა ადრე მომიწია მოსვლა და შეგაწუხეთ, როგორც ჩანს.

ჯოშქუნი *(კისრის ქვეშ ნაჭრის ხელსახოცს იფენს, ტლანქი მოძრაობებით მხარზე ვიოლინოს ირგებს და ხემს იმარჯვებს):* არა, ისეთი არაფერი... რაღაცას ვწერდი.

უმითი *(მამამისს უყურებს):* მამა, ნაღდ თურქულ ყაიდაზე გიჭირავს ეგ ვიოლინო.

(ჯოშქუნი თითქოს შვილის ხუმრობას ყურადღებას არ აქცევს, პიუპიტრისკენ იყურება. ვიოლინოს მასწავლებელი ცოტა გაღიზიანებული ჩანს. პიუპიტრს გადახსნის და ზედ ნოტების რვეულს დებს).

მუსიკის მასწავლებელი *(უმითს ალმაცერად გახედავს):* ერთი და იგივე იარაღი, როგორც კარგი, ასევე ცუდი მიზნებისთვის შეიძლება გამოიყენო. მამათქვენი ნამდვილი მევიოლინე გახდება და არა თურქული ყაიდის.

ჯოშქუნი *(უმითს ცოტა უხეშად მიმართავს):* რა გითხარი მე შენ?

(უმითს უცებ რაღაც ახსენდება, თავში ხელს ირტყამს და კარისკენ მირბის).

მუსიკის მასწავლებელი *(უყურებს ჯოშქუნს, რომელიც გაშმაგებით ჩაფრენია ვიოლინოს და ხემს):* ცოტა უფრო თავისუფლად დაიჭირეთ ვიოლინო. ნაზად უნდა მოჰკიდოთ ხელი. ინსტრუმენტის წონას ვერ უნდა გრძნობდეთ.

ჯოშქუნი *(ამოიხვნეშებს):* ახლა მნიშვნელობა არ აქვს. დაკვრას რომ ვიწყებ, მაშინ მძიმდება. *(ნოტებს შეხედავს, დაღონდება).* ტაქტში უნდა დავუკრათ? *(მუსიკის მასწავლებელი თანხმობის ნიშნად თავს უკრავს).* ისა... ხომ იცით, ჩვენი სახლი ხის არის და *(იატაკს დახედავს),* ამიტომ ვიკითხე. *(მუსიკის მასწავლებელი ამ სიტყვებს ყურადღებას არ აქცევს და ჭერზე მიშტერებული ელოდება, როდის დაიწყებს ჯოშქუნი დაკვრას).* როგორც ინებებთ.

(ბედს დამორჩილებული ჯოშქუნი ვიოლინოზე ხემის ხახუნს იწყებს, ვიოლინო ყალბ ნოტებს გამოსცემს. ცოტა ხანში ნოტების ერთი გვერდი სრულდება, ჯოშქუნი ხემით ფურცლის გადაშლას ცდილობს და პიუპიტრს გადააბრუნებს. მუსიკის მასწავლებელი ცდილობს სიბრაზე დამალოს, პიუპიტრს წამოაყენებს და რვეულს ასწორებს. ჯოშქუნი ისე იქცევა, თითქოს გაკვეთილის დამთავრებამდე აკრძალული აქვს ვიოლინო მხრიდან მოიშოროს. ყველა დაბრკოლების დროს ვიოლინოს კიდევ უფრო მაგრად იხუტებს. მისი ქცევა ხალხური თეატრის მსახიობების გაზვიადებულ თამაშს წააგავს. დაკვრის დროს ოფლი ჩამოსდის, პიჯაკის ზედა ჯიბიდან ჯერ ხემით, შემდეგ კი კბილებით ცდილობს ცხვირსახოცის ამოღებას, მაგრამ არ გამოსდის და მხარზე დაფენილი ნაჭრის ხელსახოციც ძირს უვარდება. იგი დამწუხრებული დაჰყურებს ხელსახოცს. მუსიკის მასწავლებელი მოჩვენებითი გულგრილობით ჯოშქუნს თითქმის ძალით ართმევს ვიოლინოს, ყველაფერს თავიდან ასწორებს და ჯოშქუნი დაკვრას აგრძელებს. ჯოშქუნი თანდათან უმატებს ხმაურიან ტემპს. შიგადაშიგ ცალი თვალით კარისკენ იყურება. ცოტა ხანში კარზე კაკუნი ისმის, მაგრამ ვიოლინოს ხმაურში ჯოშქუნი კაკუნის ხმას ვერ იგებს. კარებზე კაკუნი ძლიერდება, რაც მალევე ბრახუნში გადადის. ჯოშქუნი ცდილობს თავისი სიხარული მასწავლებელს დაუმალოს, დაკვრას წყვეტს, მაგრამ ისე, რომ ვიოლინოს ხელს არ უშვებს, კარისკენ მიდის და აღებს. კარებში საფეთი დგას).

ჯოშქუნი *(თვალთმაქცური გაკვირვებით):* რა ხდება, რა ამბავია?

საფეთი *(ომახიანად):* რა ხდება? ეს თქვენ უნდა მიპასუხოთ, რა ხდება!

(საფეთისგან ვითომ დამფრთხალი ჯოშქუნი მას ცხვირწინ უკეტავს კარს და სწრაფად გარბის კაბინეტისაკენ, რა დროსაც ვიოლინო ხელიდან უვარდება. მუსიკის მასწავლებელს ინსტრუმენტის მიმართ უპატივცემულობა არ მოსწონს, დასწვდება და ვიოლინოს აიღებს. კარებზე ისევ იწყება ბრახუნი და მუშტის ცემა. ჯოშქუნი თაროებიდან ჩქარ-ჩქარა იღებს წიგნებს).

ჯოშქუნი *(გაოგნებულ მუსიკის მასწავებელს):* ახლა ხელოვნებაზე ფიქრის დრო არ არის, მაესტრო, ჩხრეკაა, ჩხრეკა.

მუსიკის მასწავლებელი *(ვერ ხვდება, რა ხდება):* რა ჩხრეკა?

ჯოშქუნი *(თაროებიდან ჩამოღებულ წიგნებს მასწავლებელს აძლევს):* ინტელიგენციის ჩხრეკა.

მუსიკის მასწავლებელი: ააა, ეგ ჩხრეკა?

ჯოშქუნი *(მუსიკის მასწავლებელს წიგნებს ართმევს):* დიახ, ეგ ჩხრეკა. *(წიგნებს სასწრაფოდ ღუმელში შეუძახებს).*

მუსიკის მასწავლებელი: ღვთის გულისათვის, კარი გავაღოთ!

(ჯოშქუნი მაგიდიდან ასანთის კოლოფს იღებს, ღუმელს უახლოვდება და ასანთს ანთებს. ამასობაში მუსიკის მასწავლებელს კარი უკვე გაღებული აქვს. საფეთი მუსიკის მასწავლებელს ხელს ჰკრავს და შემოდის, თითებში გარჭობილ სიგარეტს პირში იდებს და ჯოშქუნის მიერ ანთებული ასანთიდან უკიდებს).

საფეთი: გმადლობთ *(ჯოშქუნსა და მუსიკის მასწავლებელს წარბშეკრული მისჩერებია).*

მუსიკის მასწავლებელი *(მორიდებით):* ჩხრეკის ნებართვა გაქვთ?

საფეთი: ჩხრეკის? *(ერთხანს ჩუმად არიან)* ჰა-ჰა. მე ვინ გგონივართ? *(უცებ დასერიოზულდება).* ეს უბედურება თუ არ დამთავრდება, ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ შემდეგ მოსვლაზე პოლიციელი ვიქნები.

მუსიკის მასწავლებელი: რა უბედურება?

საფეთი: ვიოლინოს უბედურება. *(მუსიკის მასწავლებელს უახლოვდება და უყვირის).* ვგონებ, თქვენ ხართ მუსიკის მასწავლებელი, არა? *(წარბებს კრავს).* პირადობა გაქვთ?

მუსიკის მასწავლებელი: ოფიციალური საბუთი გაქვთ?

საფეთი: რა უფლებით მისვამ კითხვებს, შე ბეთჰოვენა?

მუსიკის მასწავლებელი: საიდან მოიტანეთ, რომ ბეთჰოვენს ვგავარ?

საფეთი: ერთადერთი უცხოელი კომპოზიტორია, რომელიც გამიგია. თუ ადგილობრივი კომპოზიტორი გნებავთ, მაშინ შემიძლია ჰაჯი არიფ ბეი[7] დაგიძახოთ.

მუსიკის მასწავლებელი: გეთაყვა, შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ!

საფეთი *(მუსიკის მასწავლებელისკენ იწევს):* ჩვენს კომპოზიტორთან მსგავსებას შეურაცხყოფად იღებთ? ახლა ... *(ჯოშქუნი საფეთსა და მასწავლებელს შორის დგება)* ახლა ოქმი რომ შევადგინო *(მუსიკის მასწავლებელი კარებისკენ მიიძურწება).*

ჯოშქუნი *(საფეთს მკლავზე ეჭიდება):* კეთილი, მაგრამ თქვენ ვინ ხართ?

საფეთი *(სალმის ნიშნად წელში იხრება):* ,,მეგობრები და ფაქტები'' თეატრის მსახიობი საფეთ სოილემეზოღლუ.

---

[7] თურქი კომპოზიტორი (1831-1895). მე-19 საუკუნის თურქული კლასიკური მუსიკის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ჯოშქუნი *(ვითომ დაწყნარდა):* ცოტა შემაშინეთ *(ღუმელთან მიდის და წიგნებს გამოიღებს).*

საფეთი *(გაზვიადებულად იცინის):* შესანიშნავია! ,,შეშინებული ინტელიგენტი''. ბრწყინვალე კომედიაა.

ჯოშქუნი: მთლად კომედია არ არის. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ არ დაუდგამთ როგორც კომედია.

მუსიკის მასწავლებელი *(შედარებით დაწყნარებული ჩანს, მაგიდას უახლოვდება):* ცუდად გვეთამაშეთ, ბატონო საფეთ. ამის უფლება არ გქონდათ.

საფეთი *(უცებ ვითომ განრისხდება):* თქვენ რა უფლება გაქვთ, ჩემს თამაშს ცუდს რომ უწოდებთ?! გემოვნების ნატამალიც არ გაქვთ. *(ჯოშქუნზე ანიშნებს).* არ გრცხვენიათ, რომ ამ უნიჭო მხერხავს ახალისებთ, ეს გულისგამაწვრილებელი ხმები რომ გამოსცეს? აფსუს! სამი ყურუშის[8] გულისთვის ღირს განა ამ ზნედაცემულობაში მონაწილეობა?

მუსიკის მასწავლებელი *(წყობიდან გამოდის):* შენი იმპროვიზაციის უფასოდ თამაშს...

საფეთი *(მუსიკსის მასწავლებლისკენ იწევს):* შენნაირ ყავლგასულ ყბედებზე იყო ეს სატირა...

ჯოშქუნი *(მათ შორის დგება):* გთხოვთ, ბატონებო...

საფეთი: თქვენთან დიდი ბოდიში..... სახელიც არ ვიცი თქვენი.

ჯოშქუნი: ჯოშქუნ ერმიში.

საფეთი: ვწუხვარ, ბატონო ჯოშქუნ. მეგონა, ჩემი წარმოდგენა მოგეწონებოდათ. მე *(თითს მკერდზე იდებს)* თქვენ *(თითს ჯოშქუნს ადებს)* მინდა გითხრათ, რომ *(ხელი პირთან მიაქვს)* ზედა სართულზე *(ხელს ჭერისკენ იშვერს)* ისეთი *(ფეხს აბაკუნებს)* ხმაური ამოდის... არ ვიცი, გესმით თუ არა ჩემი? *(ჯოშქუნი იღიმის).* გავიგე, რომ პენსიონერი იყავით და ვიფიქრე ეს მოძველებული რაღაცები იმიტომ მოსწონს-მეთქი. *(ხმას იმაღლებს).* მაგრამ, თვალი არ გეცეთ და საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურებით.

ჯოშქუნი: ნაადრევად გავედი პენსიაზე. შინაგანმა ხმამ მაიძულა, ასე მოვქცეულიყავი...

საფეთი *(საუბარს აგრძელებს):* როგორც ჩანს, ეს შინაგანი ხმა ვიოლინოს წრიპინში აგერიათ, ხომ?!

მუსიკის მასწავლებელი: ერთი წუთით... ბატონო არტისტო, ზღვარს გადადიხართ!

ჯოშქუნი *(ვიოლინოს იღებს, მხარზე იკრავს და მუსიკის მასწავლებელს გვერდში ამოუდგება):* რა, ვიოლინოზე დაკვრა არ შეიძლება?

---

[8] ლითონის ხურდა ფული თურქეთში

საფეთი *(ორივეს დამამცირებელი ღიმილით მისჩერებია):* აბა, რა გითხრათ.... ვინც ორმოცს გადაცილებული იწყებს საზზე[9] დაკვრას, მათზე ერთი ანდაზაა, არც თუ მაინცდამაინც იმედის მომცემი.

ჯოშქუნი: მაგალითად... მაგალითად თქვენი აზრით, რა უნდა ვაკეთო? თქვენ რას მირჩევთ?

საფეთი: რა ვიცი.... *(ვითომ ფიქრობს)* ცოტა ნაკლებხმაურიანი რამ... მაგალითად... მაგალითად.... *(უცებ თვალები გაუბრწყინდება). პიესის დაწერა არ გიცდიათ, ბატონო ჯოშქუნ?*

ჯოშქუნი *(ვითომ ძალიან უკვირს):* პიესა? რას ამბობთ! *(ცალი თვალით მუსიკის მასწავლებელს აკვირდება).*

მუსიკის მასწავლებელი *(მოუთმენლად):* ბატონო ჯოშქუნ, გთხოვთ დაფიქრდეთ! *(საფეთს გაბრაზებული გახედავს).* მომიტევეთ, ბატონო, ეს სასაცილოა. ჯერ ერთი, პიესისთვის უზარმაზარი თეატრია საჭირო მთელი თავისი მსახიობებით, დეკორაციებით...

საფეთი: ბატონო ჯოშქუნ, ნუთუ გინდათ, რომ მთელი ცხოვრება სხვისი ნაწარმოებების დაზეპირებაში გაატაროთ?

ჯოშქუნი *(გულღიად):* მაგრამ სად არის თეატრი?

საფეთი: ჯერ თქვენ გადაწყვიტეთ და ყველაფერი მოგვარდება.

ჯოშქუნი *(ვითომ გაბრაზდა):* არა, ბატონო ჩემო, ასე არ გამოვა. გარანტია უნდა მომცეთ. იმიტომ, რომ ყველა ახალ სამსახურში ასე იწყება: ,,ბატონო ჯოშქუნ,'' მეუბნებიან ზედმიწევნით თავაზიანად, ,,თქვენ ახლა სამსახურს შეუდექით მეათე რანგიდან და პირველივე შემთხვევაში, როგორც კი ადგილი გათავისუფლდება, რაღაცას მოგიხერხებთო.'' *(მკაცრი ტონით).* არა, ბატონო, ასე არ გამოვა. წარსულთან იმიტომ კი არ გავწყვიტე კავშირი, რომ თაროზე შემოსადები პიესები ვწერო. დროა, ხალხმა ჩემი ხმაც გაიგოს! გნებავთ ვიოლინოს ხმა იყოს, გნებავთ პიესისა; რაღაც ახალი ხმა უნდა მივაწვდინო ქვეყნიერებას!

საფეთი *(მუსიკის მასწავლებელს წინ დაუდგება):* პიესის ხმა.

მუსიკის მასწავლებელი: თქვენ გაგიჟებულხართ *(ცდილობს საფეთს გაშორდეს და ჯოშქუნისკენ მიიწევს).*

(საფეთი მუსიკის მასწავლებელს ოდნავ ხელს ჰკრავს. ახმაურდებიან. ამ ხმაურზე დერეფანში ჯემილე გამოჩნდება).

ჯემილე *(გაოცებით):* საფეთ, რა ხდება?

---

[9] აღმოსავლური სიმებიანი საკრავი

(ყველა ჯემილეს მისჩერებია. მუსიკის მასწავლებელი ცდილობს ჯემილეს რაღაც უთხრას. საფეთი მას კარებისკენ მიათრევს მუჯლუგუნებით).

ჯემილე: საფეთ, რას შვრები?

საფეთი *(იმედგაცრუებული):* თამაში ჩაიშალა, ახლა რეალობას ვთამაშობ.

(საფეთი ცოტა ხნით თავს ანებებს მუსიკის მასწავლებელს, იგი ამით სარგებლობს და პალტოების საკიდიდან თავისი ქუდის ჩამოხსნას ლამობს, მაგრამ შეცდომით ბოხოხს ჩამოიღებს, თავზე იმხობს და სწრაფად მიდის გასასვლელი კარისკენ).

საფეთი *(მუსიკის მასწავლებელს სიცილით მიმართავს):* პატივცემულო ბეთჰოვენ, ხედავთ, დაბნეულობისგან ჰაჯი არიფ ბეის დაემსგავსეთ.

(ჯოშქუნი მუსიკის მასწავლებელს თავის ქუდს აძლევს. მასწავლებელი სწრაფად გადის კარებში).

ჯემილე: ჯოშქუნ, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს მასკარადი?

საფეთი *(დაბნეული):* სახელდახელოდ განვითარებული სპექტაკლის რეპეტიციას გავდიოდით.

ჯემილე: საწყალი კაცის გამასხარავებითა და გარეთ გაგდებით?

ჯოშქუნი: ჩვენ უფრო ცივილიზებული სპექტაკლი გვქონდა ჩაფიქრებული.

ჯემილე: სპექტაკლი სპექტაკლია. ცოტა ცხოვრებისეული და რეალური სპექტაკლებით თუ დაინტერესდები, აჯობებს. მაგალითად, ფულის საშოვნელად და ოჯახის სარჩენად ჩემ მიერ დადგმული ჭრა-კერვის სპექტაკლით. ან იქნებ იმ სპექტაკლის გამოსწორებაზე იზრუნო, უმითი ორი წელი რომ უნდება ერთი კლასიდან მეორეში გადასვლას, ანდა ფულის მთლიანად სასმელებში ხარჯვის სპექტაკლის. ან იქნებ იმაზე იფიქრო, რა დაგვიჯდა შენი დროზე ადრე პენსიაზე გასვლის სპექტაკლი.... რას იტყვი?

ჯოშქუნი *(მაგიდასთან მიდის და ქაღალდებს იღებს):* მაგრამ ამ ყველაფერს ერთ დღეს აუცილებლად ითამაშებენ და თანაც ნამდვილ თეატრში. იმ დროისთვის კი უკვე ყველა პრობლემა მოგვარებული იქნება....

(ოთახში საადეთ ბებო შემოდის. ხმაურით შეწუხებული ჩანს).

საადეთ ბებო: რაღაც ხმები მომესმა და ვიფიქრე, ჯემილ ფაშა ხომ არ მოვიდა-მეთქი.

ჯემილე *(უიმედოდ):* აი, ბატონო, კიდევ ერთი სპექტაკლი. ეს სახლი სულ აირია...

საფეთი: და თქვენი მისია მისი დალაგებაა.

ჯემილე: საკმარისია, აღარ მინდა თამაში! *(დედა ხელკავით დერეფნისკენ მიჰყავს).*

ჯოშქუნი *(საფეთს)*: მე გიხდი ბოდიშს, მის მაგივრად. ბევრი სამუშაო აქვს და ცოტა განერვიულებულია. ხომ მოგეხსენებათ, ეს ჭრა-კერვა, დაზომება-მოზომება...

საფეთი: ვიცი, ვიცი. *(დაფიქრდება).* ამ ქვეყანაში ვინც მუშაობს, ყველა განერვიულებულია.

ჯოშქუნი: მაგიტომაც არ ვმუშაობ. მაგიტომაც არ მინდა სახლიდან გასვლა. ადამიანი მდგომარეობიდან გამოჰყავს დაძაბულ სახეებსა და მტრულ გამოხედვებს, ყოველ დღე ქუჩებსა და ტრანსპორტში რომ გვხვდება...

საფეთი *(ჯოშქუნს სიტყვას აწყვეტინებს):* ბატონო ჯოშქუნ, საკმარისია! *(ჯოშქუნი გაოცებული შეხედავს).* აღარ შეიძლება ასე! თქვენ უკვე იმ წმინდა ოჯახში ჩაეწერეთ, ხელოვნება რომ ჰქვია. ამიერიდან თქვენი განცდები ასე ზეპირსიტყვიერად, რაც თავში მოგივათ, ისე არ უნდა დახარჯოთ. ამიერიდან თქვენი განცდები კაცობრიობას წერილობით უნდა ამცნოთ.

ჯოშქუნი *(ამოიხვნეშებს):* არ თქვა, ძმაო. ამასწინათ ერთ მეგობარს პიესის დაწერის ამბავი გავანდე. ახლა რამდენი დამინახავს, მთელი სერიოზულობით იწყებს: ,,ძვირფასო, გუშინ, იცი რა შემემთხვა, მისმინე, პიესაში შეიძლება გამოგადგეს სადმეო'' და ყვება და ყვება. *(პაუზა)* არადა, ეს საქმე თითქმის შემიყვარდა. ხანდახან ოცნებებში პიესის დაწერას ვასრულებ; რომელიმე თეატრის დირექტორი გვემუდარება, რომ პიესა მის თეატრში დავდგათ; შენ მთავარ როლს ასრულებ, რეპეტიციებზე ჩემს მოსაზრებებს დიდი პატივისცემით ისმენენ, ჩემს ყველა ნათქვამს საგულდაგულოდ იწერენ, მდივანსაც კი მინიშნავენ, ახალგაზრდა გოგოა, მაღმერთებს, ცოტა შეყვარებულიც კია ჩემში; რამდენადაც შენ გარდა სხვა მსახიობს არ ვიცნობ, ყველა როლში შენ წარმომიდგენიხარ...

საფეთი: ემელსაც რომ იცნობ, დაგავიწყდა?

ჯოშქუნი *(დადარდიანებული):* ხომ იცი, რომ ჯერჯერობით მხოლოდ მეგობრები ვართ. მოკლედ... პრემიერაზე სასწაული ხდება, ყველა მაყურებელი თვალცრემლიანი ზის...

საფეთი: ვგონებ, ეს ის კომედია არ უნდა იყოს, ეჭვიან ცოლზე... ალბათ, ნაპოლეონზეა...

ჯოშქუნი: არა, არც ერთია და არც მეორე. ეს ჯერ არ დამიწერია. სპექტაკლის შემდეგ ტაში არ წყდება, ფარდა ეშვება და ადის. ზოგჯერ ხომ არის, ფარდა ბოლომდე ჩამოშვებული არ არის და სწრაფადვე ადის... განგებ კი არა. ბოლოს, რა თქმა უნდა, მაყურებელი ყვირის: ,,ავტორი, ავტორი!'' ცხადია, მე თავიდანვე არ მიფიქრია, რომ სცენაზე მიმიხმობდნენ, სადღაც სულ უკანა რიგში ვზივარ, შენ სცენიდან ჩამოდიხარ და ძლივძლივობით მოიკვლევ გზას ჩემკენ და როცა მიახლოვდები...

საფეთი: ყველა როლს თუ მე ვთამაშობ, გამოდის, რომ სცენა დაცარიელებულა.

ჯოშქუნი: არა, კაცო, რამდენიმე საფეთია სცენაზე, მათგან ერთ-ერთი ჩემთან მოდის, მასთან ერთად სცენაზე ავდივარ, მქუხარე აპლოდისმენტი, თითქოს ერთარსად ვიქეცით, მაყურებელი-მსახიობი-დრამატურგი გაერთიანდა, მათ შორის არსებული ხელოვნური კედლები დაინგრა; „ძვირფასო მაყურებელო - ვეუბნები მათ - ეს ჩვენი ერთობლივი გამარჯვებაა, ეს სამყარო ერთად შევქმენით. მოდით, ყოველთვის ასე მოვიქცეთ: მოდით, მოვსპოთ ადამიანებს შორის არსებული ბარიერები, ყველა სპექტაკლი ერთად ვითამაშოთ, ერთად ვუყუროთ, სახელებს ნუ დავირქმევთ, ჩვენი საქმეებით ვიარსებოთ, აინუნშიც ნუ ჩავაგდებთ ამ ჩვენი სამყაროს მიღმა არსებულ ყველა ყალბ ტიტულს, დაწესებულებას და იმ რეჟიმებს, ადამიანებს განდიდების მანიისკენ რომ უბიძგებს...

საფეთი: მერე შენ ხელში აგიტაცებენ და წაგიყვანენ.

ჯოშქუნი *(თვალცრემლიანი):* აი, ასეთ რაღაცებზე ვფიქრობ და თვალები ცრემლებით მევსება. და ამ დროს მინდა ხოლმე, რომ ყველა ადამიანი ჩემსავით პიესებს წერდეს და ყველას ტაშს უკრავდნენ. *(პაუზა)* ჯემილე მართალია, ჩვენგან არაფერი გამოვა.

საფეთი: მთელ ერს გულისხმობ?

ჯოშქუნი *(დერეფნისკენ იყურება):* ცოტა ამოსუნთქვის საშუალება თუ მოგვეცა, მერე ერზე ფიქრის თავიც გვექნება. ახლა ჩვენი სადარდებელიც გვეყოფა. *(ისევ დერეფნისკენ იყურება).* ხომ ხედავ, ვის ხელშია ჩვენი ხალხის ბედი. უბედურ დღეში ვართ, საფეთ, ყველა მხრიდან საფრთხე გვემუქრება.

საფეთი: ხომ გითხარი, ისე უნდა დაწერო, თითქოს ყველა ეს უბედურება ნაპოლეონის თავს მოხდა და არავინ მიიღებს საკუთარ თავზე.

ჯოშქუნი: დავწერე, დავწერე. *(დაღონებული)* მაგრამ სულ რამდენიმე სტრიქონი. *(მაგიდაზე ფურცლებში ეძებს).* აი, შეხედე! *(კითხულობს).* ახალგაზრდა კაცი ნაპოლეონს უახლოვდება. *(საფეთს მიმართავს)* აიღე, ერთი ეგზემპლარი კიდევ არის, ერთად წავიკითხოთ. *(საფეთს ერთ ფურცელს აძლევს).*

საფეთი: ახალგაზრდა კაცი: ღმერთმა დასწყევლოს თავისუფლების მტრები! გაუმარჯოს სრულიად დამოუკიდებელ, სრულიად თავისუფალ და უცხოური სამხედრო ბაზებისგან გათავისუფლებულ საფრანგეთს! ძირს ჩოსე!

ჯოშქუნი: ნაპოლეონი: რისი თქმა უნდა ამ კაცს?

საფეთი: მსოფლიო ომის მინისტრი: ჩოსეო, ამბობს, ბატონო ჩემო, ანუ ჩრდილოეთ ოკეანის აუზის სამხედრო ერთობაო.

ჯოშქუნი: ნაპოლეონი განრისხებული მიუბრუნდება ახალგაზრდას: ეი, შე ბოთე, მემანქანე ხარ?

საფეთი *(ფურცლიდან თავს წამოწევს):* მომიტევეთ, ბატონო ჯოშქუნ, მაგრამ სიტყვები ასე თუ შეცვალეთ, დარბაზში სპეციალურად შემოგზავნილი მაყურებელიც ვერ გაიგებს. გარდა ამისა, ნაპოლეონისგან ,,შე ბოთეს'' თქმაც არ არის მისაღები.

ჯოშქუნი: საფეთ, მგონი ამ ნაპოლეონის ამბებს უნდა შევეშვათ. კარგად არ გამოდის ჩვენი პრობლემების ამ ფორმით გადმოცემა.

საფეთი *(ფურცლებს დასჩერებია):* თანაც, ჩემო კარგო, ამ პიესაში, ,,ნაპოლეონის აღსასრული'' რომ დავარქვით, სტატისტების გარდა, ზუსტად 44 მსახიობია.

ჯოშქუნი *(დარცხვენილი):* მინდოდა, რევოლუციის ყველა თავისებურება აღმეწერა. *(ფეხზე წამოდგება).* იქნებ, ჯობდეს პიესებს საერთოდ დავანებოთ თავი. სხვების საქმეების ჩხრეკას, ხომ არ ჯობია....

საფეთი (*აღელვებული):* არა, არა. აი, სწორედ ამიტომ უნდა წერო პიესები. *(მსუბუქი დაცინვით).* ამიერიდან ადამიანებს პიესებში შეხვდებით, ბატონო ჯოშქუნ. აწ უკვე თქვენ დაიმორჩილებთ მათ. ამასწინათ ერთი მეგობარი ამბობდა... *(ჩუმდება, თითქოს დაავიწყდა).* სამწუხაროდ, სიტყვებს, რომლებიც მაღელვებს, როცა საჭიროა ვერ წარმოვთქვამ. *(სევდიანად იღიმის).* ისე შევეჩვიე სხვისი სიტყვების უაზროდ დაზეპირებას, რომ.... *(ისევ რაღაცას იხსენებს).* ისიც დამავიწყდა, რისი თქმა მინდოდა. *(პაუზა).* ანუ, იმის თქმა მინდა, უფრო სწორად, იმ მეგობარს იმის თქმა უნდოდა, კიდევ უფრო თუ დავაზუსტებ, ამ მეგობრის მიერ წაკითხული წიგნის ავტორი ასე ფიქრობს, რომ: ადამიანების ცხოვრება სულაც ადრე დაწერილი პიესების მიხედვით მიდისო. იქნებ ჩვენ, ანუ, იმის თქმა მინდა, რომ თქვენ, ჩვენზე დაწერილი პიესების შესაცვლელად, ანუ ჩვენი ბედის შესაცლელად, ანუ ჩვენი პიესებისთვის აზრის მისაცემად, ისინი თავიდან რომ დაგვეწერა ჩვენებურად... *(კარებზე აკაკუნებენ).*

მუსიკის მასწავლებელის ხმა: ბატონო, ჯოშქუნ!

ჯოშქუნი *(ცოტა დაბნეული):* მობრძანდით!

მუსიკის მასწავლებლის ხმა: რაღაცის თქმა მინდოდა... ის უხეში ბრიყვი წავიდა?

ჯოშქუნი *(სიცილით)*: ის რისი წამსვლელია! უფრო დიდი სიბრიყვისთვის ემზადება.

(სცენა ბნელდება. სცენის მეორე ნაწილი ნათდება. თეატრის კულისები. ემელი და სერვეთი).

ემელი: როგორც ამბობს, წლების განმავლობაში არ ასვენებდა შინაგანი ხმა. ,,ჯოშქუნ'', ეუბნებოდა ეს ხმა, ,,გეყოფა, შეეშვი მაგ საქმეს, თორემ ძალიან დაგაგვიანდება!'' მაგრამ როცა პენსიაზე გავიდა, ამ ხმას აღარ უთქვამს, სად აგვიანდებოდა. *(სერვეთი იცინის).* თავადაც იცინოდა ამაზე, მაგრამ თან სერიოზულიც ჩანდა. *(იღიმის).* მერე ვიოლინოს სწავლა დაუწყია.

სერვეთი: ვიოლინოს სწავლა? აკი, პიესებიო?

ემელი: თავიდან თურმე ძალიან ეშინოდა პიესების წერა. ეშინოდა, რომ ახლობლებს გამოამზეურებდა. პირველი ნაწერები წამიკითხა; მე ვუთხარი, მგონი, უფრო თქვენი თავის გამომზეურების გეშიანიათ-მეთქი. ძალიან აღელდა. მერე სასტიკად შემეწინააღმდეგა. მისთვის თურმე ასეთი პრობლემა აღარ არსებულა, გადაუწყვეტია, რომ თავისი ცხოვრება ადამიანებს გაუზიაროს. მეორე მხრივ, სიკვდილივით ეშინოდა მის ნაწარმოებებში სხვებს თავის თავი არ ამოეცნოთ.

სერვეთი *(აღელვებული):* ხომ გითხარი, რომანტიკოსები არ გადაშენდებიან-მეთქი. აი, ვიოლინოზე უკრავს, ყველაზე მგრძნობიარე სიმებიანი საკრავით დაინტერესებულა. *(ომახიანად).* დიახ, რომანტიზმი არ მოკვდება! სულ რომ არ ელი, სწორედ მაშინ იბადება თავიდან. *(ფეხზე დგება).* დროზე წავიდეთ, გამაცანი ეს ახალგაზრდა კაცი.

ემელი *(იცინის):* ხომ გითხარი, ახალგაზრდა არ არის-მეთქი.

სერვეთი: შენ მაგას ვერ გაიგებ. რომანტიკოსები არ ბერდებიან.

ემელი: ჯერ რეკლამაში გადასაღებად უნდა წავიდე. *(შეწუხებული).* სიმართლე გითხრა, ძალიან მიჭირს.

სერვეთი: ამასწინათ თქვენ არ იყავით გრძელთმიან მეგობართან ერთად რომ გაჰყვიროდით, ხელოვნება პროპაგანდაო.

ემელი *(სიცილით):* ო, ეგ სხვა საკითხია. კეთილი, ჯერ რეალისტური ფილმებით დავკავდეთ, შემდეგ უკვდავ რომანტიკოსებს შევხვდეთ. *(უცებ აფორიაქდება).* მაგრამ ჯოშქუნის სახლში არასდროს ვყოფილვარ.

სერვეთი: არ იცი, სად ცხოვრობს?

ემელი: არა, კი ვიცი...*(ყალბი ღიმილით).* თქვენ, რომანტიკოსებს, რატომღაც ზოგი სათუთი გრძნობის არ გესმით. კარგი, წავედით!

(სცენა ბნელდება. ჯოშქუნის სახლი ნათდება. საფეთი და ჯოშქუნი სასადილო მაგიდას მისჯდომიან და მუშაობენ).

საფეთი: ჩემი აზრით, ეს მერძევე მაინც უნდა ამოვიღოთ. *(კარზე ზარი ირეკება. ჯოშქუნი წამოდგება).*

ჯოშქუნი: ალბათ, მერძევე მოვიდა. არ იდარდო, ვეტყვი, რომ პიესიდან ამოვიღეთ.. *(კარს აღებს. კარებში სერვეთი და ემელი დგანან).* თქვენ.... *(გაოცებისგან ჩუმდება).*

სერვეთი *(თითქოს ბოდიშს იხდის):* მგონი მუშაობდით და ხელი შეგიშალეთ.

საფეთი *(სკამიდან დგება):* გამარჯობა, ბატონო კაპიტალო.

სერვეთი *(შეწუხებული ჯოშქუნს):* როგორც ვხვდები, საჭირო აღარ არის გითხრათ, რომ თეატრის მეპატრონე სერვეთ დუიგულუ ვარ.

საფეთი: მაინც გაგაცნობთ ერთმანეთს. ისტორიოგრაფი, ბატონი ჯოშქუნი...

ჯოშქუნი: საფეთ, მე ისტორიოგრაფი არ ვარ, მხოლოდ პენსიონერი ისტორიის მასწავლებელი ვარ.

ემელი: სერვეთს ძალიან უნდოდა შენი გაცნობა.

სერვეთი: თურმე რომანტიკულ პიესებს წერთ.

ემელი *(გაწიწმატებული):* მე ასეთი რამ არ მითქვამს.

სერვეთი: მაშ როგორ პიესებს წერთ?

ჯოშქუნი: ჯერჯერობით ნაკლებ ზარალის მომტან პიესებს ვწერთ, ანუ უსაფრთხოს.

სერვეთი: როგორს? ანუ მე მაინტერესებდა, რა ჟანრის?

ჯოშქუნი: რამდენადაც წინასწარ არ ვიცით, რომელი მოგეწონებათ, ჯერჯერობით ყველა სახის პიესას ვწერთ: ისტორიულ ტრაგედიებს, ბულვარულ კომედიებს...

ემელი *(მაგიდიდან ფურცლებს იღებს):* ესენი რომელია?

ჯოშქუნი *(ფურცლების გამორთმევა უნდა):* ჯერ არ დამისრულებია...

ემელი: საჩემო როლი არის?

საფეთი *(აგდებით):* არის, არის. *(ჯოშქუნს)* ტყუილად ნერვიულობ. ჩვენ რომ გავითამაშებთ, უკეთ გაიგებ შენს შემოქმედებას. *(ემელს გვერდით ამოუდგება და ფურცლებს არჩევენ).*

სერვეთი: ჩემი აზრით, ისტორიული დრამები უნდა წეროთ, ძლიერი და შეუპოვარი ხასიათის პერსონაჟებით. ჩვენთან ჯერ კიდევ....

საფეთი *(სერვეთს სიტყვას აწყვეტინებს):* გვისმინეთ!

(ემელს და საფეთს ხელში ფურცლები უჭირავთ და კითხულობენ).

ემელი: ტყუილად შემაშინეთ, მკერავი მოსულა.

საფეთი *(აღელვებული):* რამე ხომ არ გითქვამთ მისთვის?

ემელი: ქორჰან, ცოტა მეტი გამბედაობა გმართებთ.

საფეთი *(ემელთან მიდის):* არა, *(ემელს ფურცელს ართმევს და ზედ რაღაცს წერს)* ეს სახელი არ ვარგა.

ემელი: ჯემილ, ცოტა მეტი გამბედაობა გმართებთ.

საფეთი: მე მთელი ცხოვრება რაღაცის მეშინოდა, ფილიზ. განსაკუთრებით კი, სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნის მეშინოდა.

ემელი: ჩემი არსებობა ამ შიშს არ გინელებთ?

საფეთი: არა, ჯობს არც თქვენ შეგიყვაროთ. რადგან, როგორც ყოველთვის, გულგატეხილობა მელის. ისევ მეშინია, რომ სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდები. *(ხმას იმაღლებს).* სასტიკი, გულქვა ადამიანები! ცხოვრება ცრემლებს არაფრად დაგიდევთ. არადა, მე ძალიან მჭირდება ადამიანებისგან თანაგრძნობა. *(საფეთი ფურცლებიდან თავს ასწევს და ჯოშქუნს მიმართავს)* ჯოშქუნ, დარწმუნებული ხარ, რომ ეს ბულვარული კომედიაა?

ემელი: გავაგრძლოთ, რა!

საფეთი *(კითხვას აგრძელებს):* აი, ასეთი არეული სულიერი მდგომარეობა მქონდა, როცა დავქორწინდი და ჩემს ცოლს ჩავბარდი. ყველაფრის ნება მივეცი, ბავშვის ყოლის, ქოთანში ყვავილის გაზრდისაც კი. მაშინ, როდესაც, მოგეხსენებათ, მცენარეებს მწერები ესევა, მიწიდან კი ჭიაყელები... ღმერთო, რაებს გიყვებით. *(კარზე ზარს რეკავენ).* ვაიმე, ჩემი ცოლი მოვიდა.

ჯოშქუნი: ნუ იგონებ. ასეთი წინადადება, მანდ არ წერია. *(კარზე კვლავ ზარს რეკავენ).*

სერვეთი: მაგრამ კარზე ზარს რეკავენ.

(ჯოშქუნი აფორიაქებული მიდის კარისკენ და აღებს. კარში ჯემილე დგას. ხელში ჩანთები და პარკები უჭირავს, უხერხულობისგან ყველა ჯემილეს უღიმის. ჯემილე ღონეგამოცლილი და უხალისო ჩანს).

საფეთი *(დაბნეული):* გაიცანით ერთმანეთი. ბატონი ჯოშქუნის მეუღლე ჯემილე. ქალბატონი ემელ სევინირი, როცა გაიზრდება, მსახიობი გამოვა.

ემელი *(დამარცვლით):* გამოთაყვანებულო!

საფეთი: ბოლო სპექტაკლში ამ სიტყვით მომმართავდა. მოგეხსენებათ, ცუდ მსახიობებს ერთხანს უჭირთ როლიდან გამოსვლა. *(სერვეთს მიუბრუნდება).* ჩვენი პატრონი და შესაბამისად მთავარი მსახიობი სერვეთ დუიგული.

სერვეთი *(წყნარად საფეთს):* ჭირს წაუღიხარ. *(ოდნავ შეწუხებული ჯემილეს მიმართავს)* გულთან ნუ მიიტანთ, ყოველთვის ასეთები არ ვართ.

ჯოშქუნი *(საუბარში ერთვება):* წარმოიდგინე, ჯემილე, ხომ არსებობს ნამდვილი თეატრები. *(თვალებს ხუჭავს).* ნამდვილი თეატრი: ფარდით, სავარძლებით... ყველა გმირისთვის თითო მსახიობით.

ჯემილე: ძალიან დავიღალე. *(ხელებზე დაიხედავს).* ჯოშქუნ, იქნებ, გამომართვა ესენი!

(ჯოშქუნი ჯემილეს არც თუ დიდი ხალისით ართმევს ჩანთებს. დერეფანში საადეთ ბებო გამოდის).

საადეთ ბებო: რაღაც ხმაური შემომესმა და ვიფიქრე, ჯემილ ფაშა ხომ არ მოვიდა-მეთქი.

ჯემილე: დედა, გთხოვ, გეყოფა! *(ჯოშქუნს უკან ართმევს ჩანთებს და პარკებს).* დედაჩემი ცოტა შეუძლოდ არის, თქვენი ნებართვით, დაგტოვებთ. *(დედამისს შეხედავს).* წავედით, დედა!

(საადეთ ბებო ამოიხვნეშებს, ოთახში მყოფებს გადახედავს და ჯემილეს მიჰყვება).

ჯოშქუნი: ბოდიშს გიხდით, ჩემს სახლში ცოტა ისეთი მდგომარეობაა...

სერვეთი: გასაგებია. *(აქეთ-იქით იყურება. ემელი აღელვებული ჩანს.)* რა უნდა მეთქვა...

საფეთი: უფროსო, რეპეტიციის დროს ყელი გამიშრა. რამე სასმელით ხომ არ გაგვიმასპინძლდებოდი ავანსად?

სერვეთი *(გახარებული):* სიამოვნებით. *(ჯოშქუნს უყურებს).* ეს დაგვეხმარება, რომ არ გაგვინელდეს ჩვენი გაცნობით გამოწვეული აღფრთოვანება. *(აღტაცებული)* ჩემო დანო და ძმანო, ყველანი მიყვარხართ! მთელ დედამიწაზე სხვაგან არსად ასე მოულოდნელად არ გეწვევა აღმაფრენა.

საფეთი *(დაცინვით):* მართალია. მთელ დედამიწაზე სხვაგან სად ნახავთ, თავისუფალი მეწარმე უცებ ისე აღფრთოვანდეს, რომ თავისი ხელქვეითები რესტორანში დაპატიჟოს.

სერვეთი *(აღტაცებით):* ჩვენ გარდა ამას ვინ გააკეთებს!

საფეთი *(თავს წინ ხრის):* და განა ჩემ გარდა დედამიწაზე მოიპოვება ისეთი მსახიობი, რომელსაც ორი თვეა წესიერად ანაზღაურება არ მიუღია, მაგრამ იმით აღფრთოვანებული, რომ პატრონი საქეიფოდ პატიჟებს, ყველაფერს ივიწყებს და გული უჩუყდება. *(კარებისკენ იშვერს ხელს).* მარცხნიდან გავდივართ.

(ემელი, საფეთი, სერვეთი და ჯოშქუნი სცენიდან გადიან. ცოტა ხანში დერეფნიდან ჯემილეს ხმა ისმის).

ჯემილეს ხმა: ჯოშქუნ! შეგიძლია მოხვიდე? *(პაუზა).* ჯოშქუნ!

(ჯემილე ოთახში შემოდის).

ჯემილე: ჯოშქუნ! *(გაოცებული).* სად გარბიხარ სულ, ჯოშქუნ? *(დივანზე ეშვება).* არ იცი, რომ ისევ ამ სახლში დაბრუნდები? *(კარებს გახედავს).* არ იცი, რომ დამოუკიდებლად ვერაფერს აკეთებ?

(საადეთ ბებო გამოჩნდება).

საადეთ ბებო: ვის ელაპარაკები? ჯემილ ფაშას?

ჯემილე *(თვალებს ხუჭავს):* დედა, გთხოვ, მარტო დამტოვე.

საადეთ ბებო: რატომ მატყუებთ? ცოტა ხნის წინ უმითმა ხომ მითხრა, დღეს ჯემილ ფაშა მოვაო. რამდენი დღე გავიდა და რატომ არ მოდის ჯემილ ფაშა? გასულ კვირას რომ მიდიოდა, ,,ისევ მოვალ, საადეთ, ჩემო გოგონაო'', მითხრა. კიდევ მობრძანდით, ჩემო ფაშა-მეთქი...

ჯემილე *(ხელს უქნევს):* კარგი, კარგი. *(თავს ძლივძლივობით მიაბრუნებს დერეფნისკენ).* უმით!

(უმითი მორბის).

უმითი: რა ხდება?

ჯემილე *(თავით დედამისზე ანიშნებს):* ჯემილ ფაშას ელოდება. *(საადეთ ბებოს ხელკავს გამოსდებს, დივანზე თავის გვერდით დასვამს და თვალებს ხუჭავს).* დაჯექი დედა, მოვა.

უმითი *(გახარებული):* უკვე მოდის მისი აღმატებულება ჯემილ ფაშა. *(პალტოების საკიდთან მიდის, თავზე ბოხოხს ჩამოიცვამს, დედამისის გრძელ პალტოს იცვამს. ხმას იცვლის).* მე ჯემილ ფაშა ვარ. აი, მოვედი! *(საადეთ ბებოს უახლოვდება).* როგორ ხარ, საადეთ, ჩემო გოგო?

საადეთ ბებო *(წამოწითლდება და პატარა გოგონასავით დაიმოცხვებს):* კარგად ვარ, ჩემო ფაშავ, გმადლობთ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, აქეთ მობრძანდით...

(სცენა ბნელდება).

(რესტორანი. მოგრძო მაგიდასთან ემელი და ჯოშქუნი გვერდიგვერდ, საფეთი და სერვეთი კი მაგიდის კუთხეებში, ერთმანეთის პირისპირ სხედან. შიგადაშიგ სცენაზე მიმტანი გამოდის და მათ ემსახურება. მიმტანის როლს ის მსახიობი თამაშობს, რომელიც მუსიკის მასწავლებელს თამაშობდა. მუსიკის მასწავლებელივით შავებშია ჩაცმული, ყელზე კი ბაფთა უკეთია. მაგიდაზე ჭიქები, ბოთლები და თეფშებია დახვავებული. მაგიდასთან მსხდომების გამომეტყველებიდან ჩანს, რომ ბევრი დაულევიათ).

ჯოშქუნი *(მიმტანს უყურებს და საფეთს ეუბნება):* ეს კაცი თითქოს საიდანღაც მეცნობა. თითქოს ეს კაცი ადრე სულ სხვა საქმით იყო დაკავებული. *(ამოიხვნეშებს).* ბოლო ხანს რაღაც ყველა ერთმანეთში მერევა.

საფეთი *(სასხვათაშორისოდ):* პიესის წერამ იცის ეგ.

ჯოშქუნი *(თითქოს ვერ იგებს):* იქნებ არც მერევა. იქნებ, ადამიანები ერთსა და იმავე სპექტაკლს თამაშობენ, ერთნაირი თამაშებით გაჰყავთ ცხოვრება.

საფეთი: მაგრამ ჩვენ სხვანაირები ვართ, ხომ?

ჯოშქუნი *(აღელვებული):* დიახ, დიახ, ჩვენ ყველასგან განსხვავებულები ვართ, იძულებული ვართ, ასეთები ვიყოთ. *(სევდიანად იღიმის).* შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც უცნაური ფიქრები მომდის თავში. *(ჩუმდება).* არა, ვერ მოგიყვებით.

ემელი *(ჯოშქუნს ინტერესით უსმენს):* აუ, მოგვიყევი, რა!

ჯოშქუნი: არ ვიცი, როგორ გითხრათ, თითქოს პენსიაზე ჩემი ნებით არ გავსულვარ. თითქოს პენსიაზე საერთოდ არ გავსულვარ, უბრალოდ ახალ თანამდებობაზე დავინიშნე. *(აღელვებული).* და რატომ დამეკისრა ეს მოვალეობა? ძალიან ჭკვიანი რომ ვარ, იმიტომ? ძალიან მცოდნე რომ ვარ, იმიტომ?

საფეთი *(ვერ იგებს):* და რა თანამდებობა?

ჯოშქუნი: კვლავ მესმის ხმები. *(შორიდან ისმის თურქული მუსიკა, რომელსაც ანსამბლი აღმოსავლურ საკრავებზე უკრავს. ჯოშქუნი თვალებს ხუჭავს და მუსიკას უსმენს).* თითქოს ეს ხმები მარტო მე მესმის.

საფეთი: მუსიკის ხმაზე ამბობ?

ჯოშქუნი: დიახ, მაგრამ მათი მოსმენისას, მგონია, რომ მას ჩემნაირად ვერავინ გრძნობს. *(კვლავ გაისმის თურქული სიმღერის ხმა: ,,რაც შეგიყვარე, მას მერე ცეცხლზე ვიწვი და ვდუღვარ'').* ეს ხმა წლებია მესმის, მაგრამ არანაირ გრძნობას არ იწვევდა ჩემში. რა უცნაურია. ანდა, ვცდებოდი და მეგონა, რომ რაღაც სულ სხვა გრძნობას იწვევდა. *(იღიმის).* ადრე ერთი მეგობარი მყავდა. ამ სიმღერის გაგონებაზე წუხდა ხოლმე: ,,რა იქნება, ამ კაცის ფეხქვეშ ცეცხლი ჩააქრეთო". ჩვენც ბევრს ვიცინოდით. რატომ გვეცინებოდა, ნეტავ? თურგუთ, მე უკვე აღარ მეცინება!

საფეთი: მე თურგუთი არ ვარ.

ჯოშქუნი *(თვალებდახუჭული):* თურგუთ, მე უკვე აღარ მინდა ამ კაცის ფეხქვეშ აგიზგიზებული ცეცხლის ჩაქრობა. *(ხმას უმაღლებს).* თურგუთ, აზრზე მოდი, საქმე ისე არ არის, შენ რომ გგონია. *(ხმა აუკანკალდება).* ჩემი ერის განსაცდელის მოწმე ვარ, თურგუთ, თუ მის განცდებს ვერ გადმოვცემ, მგონია, რომ იმ ხმებს ვუღალატებ.

ემელი *(ინტერესით):* ვინ არის ეს თურგუთი?

(რადიოდან დიქტორის ხმა ისმის: ,,ახლა კი მუსტაფა ჩავუშის ერთ ნაწარმოებს მოისმენთ. მართალია, ამ დიდი კომპოზიტორის ნაწარმოებების უმრავლესობამ დღემდე მოაღწია, მაგრამ ძალზე სამწუხაროა, რომ მისი ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით'').

ჯოშქუნი: თურგუთი?! მუსტაფა ჩავუშის მსგავსად, იმ ადამიანებიდან ერთ-ერთია, ვისი ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცით. აი, როგორც ხედავთ, ჩვენი ისტორია სავსეა გმირებით, რომლებიც არ ვიცით, როგორ ცხოვრობდნენ. *(ყვირის).* საფეთ!

საფეთი *(უცებ ფიქრებიდან გამოერკვევა):* გისმენთ!

ჯოშქუნი: საფეთ, აღარ მინდა ნაპოლეონზე პიესის დაწერა.

საფეთი: და რა მოხდა ასე უცებ, ბატონო ჯოშქუნ?

ჯოშქუნი: ჩემი თავი ვიპოვე, საფეთ.

საფეთი: გასაგებია.

ჯოშქუნი: ჭეშმარიტებას მივაგენი, საფეთ.

საფეთი: რომელ ჭეშმარიტებას?

ჯოშქუნი: ჩვენს ჭეშმარიტებას.

საფეთი: ააა, მაგ ჭეშმარიტებას?

ჯოშქუნი: დიახ, მაგ ჭეშმარიტებას.

საფეთი: ხომ იცით, მაესტრო, ჩვენში ვინც ჭეშმარიტებას აგნებს, საერთოდ აღარ ლაპარაკობს. *(დაფიქრდება).* მოიცა, როგორ ამბობდა იუნუსი?[10] აუცილებლად რაღაც ექნება ამაზე ნათქვამი. *(პაუზა).* ნუ, როგორც არ უნდა იყოს, ჩვენში წესია: თუ ჭეშმარიტებას მიაგენი, გაჩუმდი.

ჯოშქუნი: არა, მე არ გავჩუმდები. გაუჩერებლად ვილაპარაკებ. ის ჭეშმარიტება, რომელსაც მე მივაგენი, სულ სხვანაირია. არ შეიძლება, არ ითქვას.

საფეთი: კარგი და რა არის ასეთი?

ჯოშქუნი *(თითქოს საიდუმლოს ანდობს):* ჩვენ დიადი ერი ვართ, საფეთ.

საფეთი *(ყალბი აღფრთოვანებით):* ეს უკვე მრავალჯერ ითქვა ცერემონიებზე, დღესასწაულებზე, ბევრ ადგილას და ბევრი თარიღის აღსანიშნავად.... რომელი თარიღების?! მოითმინეთ... *(უბიდან წიგნაკს ამოიღებს და ფურცლავს).*

ჯოშქუნი *(მოუთმენლად):* არა, ესე არ არის. დიადი ერი-მეთქი როცა ვამბობ, იმის თქმა მინდა, რომ, დიახ, ამავე დროს ბავშვობის ასაკში დარჩენილი ერი ვართ, საფეთ! იმიტომ, რომ ყველაფერი ბავშვივით გვიხარია, ყველაფერზე ბავშვივით ვბრაზდებით.

---

[10] თურქი პოეტი და სუფი მისტიკოსი (1238-1320)

საფეთი *(უბის წიგნაკს აფრიალებს):* კეთილი, ბევრ მნიშვნელოვან თარიღზე, ბევრ ცერემონიაზე თქმულა...

ჯოშქუნი *(საფეთს სიტყვას აწყვეტინებს):* არა, ეგენი ბავშვები არ არიან. ეგენი...ის უცხოები არიან, რომლებიც ისე გვექცევიან, როგორც ბავშვებს. როცა ეგენი ჩვენ გვერდით ჩნდებიან, ჩვენი შინაგანი ხმების ჩახშობას ცდილობენ.

საფეთი: ანუ, სრულიად დამოუკიდებელ და ...

ჯოშქუნი *(საფეთს აწყვეტინებს):* არა, ეგეც არა. იმის თქმა მინდა, რომ დედამიწაზე სხვა ვერცერთი ერი და ჩვენ შორის მყოფი უცხოები ამას ვერ იგრძნობენ. ჩვენ ქვეყნიერების წინაშე მისია გვაკისრია, საფეთ!

საფეთი: ანუ, იმისი თქმა გინდა, რომ ყველანი შენსავით პენსიაზე უნდა გავიდეთ?

ჯოშქუნი: საფეთ, ძალიან კარგად გესმის, რისი თქმაც მინდა, მაგრამ გეშინია. გეშინია, რომ სერიოზული იყო, კიდევ უფრო მეტიც, სხვების თვალში რომ სერიოზული ჩანდე. *(იცინის)* კეთილი, ისე გავაკეთოთ, როგორც შენ გსურს: სპექტაკლი ვითამაშოთ. *(ხმას უმაღლებს)* ქალბატონებო და ბატონებო! ვისარგებლებ შემთხვევით და გეტყვით ლექსს, რომელიც აქ და ამ წუთს ჩემში იბადება. *(ფეხზე დგება).*

საფეთი *(ვითომ აღელვებული):* ბატონო ჯოშქუნ, ღვთის გულისათვის, არ თქვათ!

ჯოშქუნი: რომელი გადარეული მიბედავს...

საფეთი: ვაიმე!

ემელი: აუ, გთხოვ, თქვი!

ჯოშქუნი *(ჭიქას სწრაფად ცლის ბოლომდე):* აი, ქალბატონსაც სურს. საფეთ, ჭეშმარიტება არ იმალება.

საფეთი: დიახ, უდროო დროს გამოყოფს ხოლმე თავს.

ჯოშქუნი *(ემელს შეხედავს, თავს ასწორებს):* ჭეშმარიტება შიგნეულს მწვავს, საფეთ. *(საფეთი რაღაცას ჩაიბურტყუნებს).* არა, სასმელი კი არა, ჭეშმარიტება მიდაგავს გულს. აი, ინებეთ:

ხმა, რომელიც ჩემში ჩასახლებულა,

უცხოა და ყალბი, მოჩვენებითი,

ხმა, რომელიც თქვენ გესმით,

ისტორიის ყოფილი მასწავლებლის ჩივილი,

კაცისაა, რომელიც მიელტვოდა დიდებას,

და რომელიც სურვილების ასრულების ფიცს სდებდა,

უცებ ჩაქრა ოცნება და დავიდე ბორკილი,

მსურდა ვყოფილიყავი დიდებული, ცნობილი,

მაგრამ გავხდი არარა, კაცთგან მოძულებული,

პენსიაზე გასული ზურგშექცევით ვდგავარ,

არა ჯოშქუნ ერმიში,

ცერემონიაზე მოლაპარაკე ხმა ვარ.

საფეთი: მაესტრო, ბოლოში ცოტა დაულაგებელია, მგონი.

ჯოშქუნი *(სკამზე ჯდება):* ვერაფერს ვერ ვაბოლოვებ კარგად. ამის ჩვენება მინდოდა.

ემელი: ძალიან კარგი იყო, ანუ ნამდვილად გულიდან იყო. *(ჯოშქუნს ხელზე ხელს კიდებს).*

ჯოშქუნი *(ხმაწასული):* ახლა რა უნდა ვქნა?

ემელი: რაც გენებოს. შენი სმენა საამოა. შენში...

საფეთი: ბავშვური სიდიადეა *(იღიმის).*

ჯოშქუნი *(აღლვებული საფეთს):* თავი შევირცხვინე? *(ლექსს ამბობს):*

გულქვა ადამიანებო, თქვენ წინაშე შერცხვენილი ვდგავარ?

რა მესაქმება მე ჭეშმარიტებასთან, არა?

საფეთი *(ანერვიულებული):* არა, ლექსი აღარ თქვა.

ჯოშქუნი: მაშ რა გავაკეთო? თავს ვეღარ ვიმორჩილებ. გაუჩერებლად მოქმედების საჭიროებას ვგრძნობ.

საფეთ *(წყნარად):* აბა, რა ვიცი, უფრო ადვილი რამე გააკეთე. *(თითქოს მიაგნო).* კარგი! სიტყვა წარმოთქვი. გარითმვაც არ დაგჭირდება.

(ჯოშქუნი ფეხზე დგება).

ემელი *(ჯოშქუნს):* ყველაფერი კარგად არის.

(საფეთი ჭიქებს ერთმანეთს უჭახუნებს, *მაგიდა შეყანყალდება. სერვეთი, რომელსაც მთელი ამ ხნის მანძილზე ეძინა, ფხიზლდება და თვალებს იფშვნეტს).*

სერვეთი: რა ხდება?

საფეთი: აღსდექ ნაიარევო პატრონო!... *(პაუზა).* აუჰ, დამავიწყდა, ლექსებს აღარ ვამბობთ. ცერმონია იმართება, პატრონო!

სერვეთი: რა ცერემონია?

საფეთი: ჩვენი საკუთარი ძალებით მოკრძალებულ საზეიმო ცერემონიას ვმართავთ კაცობრიობის გამოღვიძების აღსანიშნავად. არ შეგეშინდეს, დასწრება უფასოა.

სერვეთი *(იღიმის):* კარგი, მაშინ მეც დავიკავებ ჩემს კუთვნილ ადგილს. *(სკამზე სწორდება).*

ჯოშქუნი: ეი, ჩემო საწყალო ხალხო, მისმინე! *(პაუზა).* ახლა აქ ყველანი შენს გადასარჩენად შევიკრიბეთ. ეს იმიტომ, რომ შენ შესახებ ხმები დადის, ნაკლებად განვითარებული, ჩამორჩენილიო. ეი, საყვარელო მამულო! რა გჭირს, რატომ ვერ ვითარდები? რატომ ჩამოგვრჩები ჩვენ, განვითარებულებს? არ გრცხვენია, რომ ვერ გვეწევი? ნუთუ, არც იმაზე ფიქრობ, რომ ჩვენც, სულ შენი განუვითარებლობის მიზეზებზე ფიქრით გართულები, სასურველ წინსვლას ვერ ვაღწევთ? რა ეშველება ამ ქვეყანასო, აი, ამ ფიქრით სიცოცხლე გვაქვს მოშხამული. ჩვენს მდიდარ მწერლებს, ღარიბების ცხოვრებას რომ აღწერენ, შხამად ერგებათ ღამის კლუბებში დალეული ვისკი. ჩვენი გაჭირვებული მწერლები კი, მდიდრების ცხოვრებაზე რომ უნდათ მოგვიყვნენ, ისევ სიღარიბეზე ფიქრის გამო, პატარა სამიკიტნოებშიც ვერ ატანენ სასმელს გემოს. ეი, ჩემო ღარიბო ხალხო! სინამდვილეში, შენზე კი არ ვლაპარაკობდი, არამედ ჩვენი ბეჩავი სულის საშიშ სიბნელეზე. აი, რატომ ვერ ვამყარებთ შენთან კავშირს. შენ გვერდით პარაზიტებივით ვცხოვრობთ. ნუთუ, ოდნავ მაინც არ გვრცხვენია? სულ არ გვრცხვენია. აი, მაგალითად, მე.

საფეთი *(ნამდვილად შეწუხებული):* არა, არ გინდა შენი თავის მაგალითად მოყვანა! *(ჯოშქუნს მკლავზე ექაჩება).*

ჯოშქუნი *(მკლავს ითავისუფლებს):* არა, ჩემს ხალხს ანგარიში უნდა ჩავაბარო, ჩემ თავთან ანგარიში უნდა გავასწორო. არა იმ ზერელე პიესებით, რომელთა დაწერას ვცდილობ, არამედ მართლა. მაგრამ როგორც ხედავ, ჩემო ძვირფასო ხალხო, ინტელიგენტები მკლავზე მექაჩებიან და ჩემი ადგილზე მოსმა უნდათ. ეშინიათ, რომ ანგარიშსწორების დრო მათთვისაც დადგება. ეშინიათ, რომ მათთვის ცუდი მაგალითი ვიქნები. ეი, საწყალო ინტელიგენციავ, მისმინე!

საფეთი *(შეურაცხყოფილი ჩანს):* არ გისმენთ. *(ჯოშქუნის სკამზე დასმა უნდა).* ბატონო ჯოშქუნ, კმარა...

ჯოშქუნი: არ კმარა! ასეთი შემთხვევა ხელში აღარ ჩამივარდება. საკუთარ თავს მეც აღარ მივცემ მეორედ ამ შესაძლებლობას. საყვარელო თანამემამულეებო, ჩემში ამ გამბედაობის საპოვნელად სულ მცირე დროში უამრავი სასმელი დავლიე.

საფეთი: ხალხი მაგ სიტყვებს ვერ გაიგებს.

ჯოშქუნი *(იმავე შემართებით აგრძელებს ლაპარაკს):* და ამგვარად გულწრფელობის ვირუსი შემეყარა. და იცოდეთ, რომ უკვე წლებია მთელ ჩემს შემოსავალს სასმელში ვხარჯავ, ახლა ამას ჩემი ცოლის ნაშოვნი ფულიც დაემატა. მე კი აინუნშიც არ ვაგდებ, რომ ჩემმა ცოლმა ოჯახის სარჩენად ჭრა-კერვა წამოიწყო, თითქოს ვერაფერს ვამჩნევ. არ ვაღიარებ, რომ უზრუნველი ცხოვრებისთვის დავქორწინდი, რომ ისეთ ქალს შევაფარე თავი, ვინც არ მიყვარდა, რომ ჩემი სიდედრი გამოჩერჩეტდა, რომ ჩემი შვილი ყალთაბანდია.

საფეთი: ჩვენც გვტანჯავთ და თავსაც იტანჯავთ.

ჯოშქუნი: შენ ნუ ერევი,საკუთარ თავთან ვასწორებ ანგარიშს.

საფეთი: ხომ არ ჯობდა, მარტო ყოფნის დროს გექნათ ეს?

ჯოშქუნი: არა. ადამიანი მარტო რომ რჩება, თავის თავი ეცოდება.

საფეთი: კეთილი, მაგრამ რა შედეგით დასრულდება ეს სასტიკი ანგარიშსწორება?

ჯოშქუნი: აღმოჩნდება, რომ დამნაშავე ვარ და საკუთარი ხელით დავასრულებ ჩემს სიცოცხლეს.

ემელი *(აღელვებული):* ღმერთო, ეს არ ქნათ...

საფეთი *(უცებ დასერიოზულდება):* ასეთი ანგარიშსწორება არ გამოვა. *(ჯოშქუნს)* ცდილობ მოგვაჩვენო, რომ სხვანაირი ხარ, მაგრამ სინამდვილეში თავს გვაცოდებ. *(ემელს მიუბრუნდება)* ნუ გეშინია. ჩვენნაირები მხოლოდ სპექტაკლებში კვდებიან, ჩვენნაირებს ფიქრები ვერ კლავს. ადამიანები ყოველთვის კლავენ ერთმანეთს, ჩვენ კი სეირს ვუყურებთ. *(ჯოშქუნისკენ იხრება).* ეს აზრები თავში პიესების გამო მოგივიდათ, ხომ?

ჯოშქუნი: ყველაფერი შენი ბრალია. ეს პიესები რომ არ მოგეხვია ჩემთვის თავს, სიკვდილზე ამდენს არ ვიფიქრებდი. *(დაფიქრდება)* ისე, ვინ იცის, დღემდე რამდენჯერ გარდავიცვალე. ქორწილის ღამეს, ეს ის ერთ-ერთი ღამეა, საშინლად რომ დავთვერი. დიახ, იმ ღამეს მოვკვდი, იმიტომ, რომ ძალიან მთვრალი ვიყავი, იმის წინა ღამესაც მთვრალი ვიყავი, ორი დღის მერეც... ჩემი ცოლის ქონება რომ სასმელში გავუშვი, საქმეებში ჩადებული ფულები რომ დავკარგე, მაშინაც.... და, საყვარელო მამულო, უკვე აღარ მრცხვენია. ყოველგვარი სირცხვილის გრძნობის გარეშე, თითქოს არასდროს მოვმკვდარვარ, ისე ვეგებები სტუმრებს, კეთილ მობრძანებას ვუსურვებ და წასვლისას კეთილ მგზავრობას და ისე ვეუბნები, კიდევ გვესტუმრეთ-მეთქი, თითქოს ჩემი ცოლი ჭრა-კერვით თვალებს არ იღამებდეს, ჩემი ძველი მევალეები კარს არ

მიმტვრევდნენ, მე კი თითქოს ადამიანი ვიყო. ,,როგორ ხართ? რა ხდება თქვენკენ? კარგად ვართ. ყველაფერი რიგზეა'', ასე ვთამაშობ ყოველ დღე. *(გაჭირვებით დგება ფეხზე)* არაფერი არ არის რიგზე, არც კეთილდღეობაა, არც ჯანმრთელობა და თქვენც ნუ მობრძანდებით.... *(უცებ ტკივილისგან სახე ემანჭება, ხელს გულზე იდებს და სკამზე ენარცხება).*

ემელი *(შეშინებული):* რა ხდება?

(მაგიდასთან მსხდომნი შეშინებულები ჯოშქუნს შემოჰხვევიან. ჯოშქუნი ძლივს სწორდება სკამზე და ცდილობს გაიღიმოს).

ჯოშქუნი: ნუ წუხხართ, ჩემნაირ მშიშრებს არაფერი ემართებათ.

საფეთი *(შეწუხებული):* მაგრამ ჩვენ გვიყვარხარ *(ხელს გადახვევს).*

ჯოშქუნი: ისევ დავისაჯე.

ემელი: ნუ სულელობ, ისეთი არაფერი გაგიკეთებია.

ჯოშქუნი: რომ არაფერი გამიკეთებია, სწორედ მაგის გამო დავისაჯე. დიდი კაცის როლს რომ ვთამაშობ და ჩემ საწყალ ხალხს სიტყვით რომ მივმართე, მაგის გამო დავისაჯე.

სერვეთი: მაგის გულისთვის რომ ისჯებოდნენ, ვინღა იქნებოდა დღეს შენი საწყალი ქვეყნის სათავეში.

ემელი: მართლა, გვიყვარხარ *(ჯოშქუნს ხელზე ხელს უჭერს).* მიყვარხარ.

სერვეთი: კი, ნამდვილად.

ჯოშქუნი: არა, ნუ შემიყვარებთ. მინდა, რომ გულისტკივილით ვიცხოვრო *(სკამის ზურგს ეყრდნობა).* ჩემთვის ასე ჯობს. *(საფეთს მიუბრუნდება)* მეშინია. სახლში მინდა დაბრუნება.

საფეთი*:* ვეღარ დაბრუნდებით, ბატონო ჯოშქუნ. ამიერიდან მთელი ცხოვრება უნდა ითამაშოთ. რახან ერთხელ დაიწყეთ, მაგალითი უნდა მისცეთ თქვენ საწყალ ხალხს. ერთხელ თუ მიაგენით ჭეშმარიტებას, ახლა სულ მას უნდა მისდიოთ. თქვენზე დამყარებული იმედები არ უნდა გაგვიცრუოთ.

ემელი *(ჯოშქუნს ლოყაზე კოცნის):* ცხოვრებისხელა დიადი პიესები უნდა დაწეროთ.

ჯოშქუნი *(გაოცებული და გახარებული):* მაკოცე?

საფეთი: პატარა საჩუქარი ჩვენი ქვეყნისგან.

ჯოშქუნი *(ძლივს დგება სკამიდან. ამაყად):* გამოდის, რომ მეც მაკისრია რაღაცის თქმის მოვალეობა. ესე იგი, ვიღაც მეც მომისმენს. მაშასადამე, ჩემს ცხოვრებას აზრი ჰქონია. *(სცენაზე წინ გამოდის)* ბოლო სიტყვით მოგმართავთ, რათა დღევანდელი დღის მნიშვნელობისა და

არსის შესახებ მოგახსენოთ. აქ ჩემს მეგობრებს შორის ვიმყოფები. ღმერთმა სიკეთე მისცეთ, მათთმა სიტყვებმა გამბედაობა შემმატა. ეჭვიც არ მეპარება, რომ ყველა თქვენგანი, ვინც გვიყურებთ, იზიარებთ ჩემს განცდებს, ჩემს უბედურებასა და ბედნიერებას. ოღონდ დაიმახსოვრეთ, რომ გმირები თავიანთ ბედისწერას და სპექტაკლს, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, მარტო თამაშობენ. გამოვხატავ რა პატივისცემას ყველა თქვენგანის მიმართ, სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენს ნდობას გავამართლებ. *(მაგიდასთან მსხდომები ჯოშქუნს ტაშს უკრავენ).* ბატონო საფეთ!

საფეთი: გისმენთ.

ჯოშქუნი: ჩაიწერეთ, ბატონო საფეთ, ჩემი მოკლე მიმართვა ადამიანებს. *(საფეთი ვითომ იწერს).* მწერალ ჯოშქუნის მიმართვა ძვირფას თანამემამულეებს: არ იჩქაროთ, არ დატოვოთ თქვენი ადგილები, დაელოდეთ ჩემს მეორე მიმართვას, ძალიან მალე დაგიბრუნდებით.

(სცენა ბნელდება)

მეორე მოქმედება

(ჯოშქუნის სახლი. ჯოშქუნი და საფეთი სასადილო მაგიდასთან სხედან და მუშაობენ).

ჯოშქუნი: გუშინ რესტორანში რომ სიტყვა წარმოვთქვი, მგონი, ყველაზე მეტად ჩემზევე იმოქმედა. უკვე ნამდვილი თურქული პიესების წერა დავიწყე.

საფეთი: აქამდე უცხოურს წერდი?

ჯოშქუნი *(ამოიხვნეშებს)*: დიახ, ისეთ პიესებს ვწერდი, რომელიც ჩემი საწყალი ხალხისთვის უცხო იყო. ნაპოლეონს შევეშვი. ახლა ჩვენი ფაშებით დავკავდები. *(იღუშება)*. არ ვიცი, რა მჭირს, ვერაფრით ვერ ვხსნი ბალთაჯი მეჰმედ ფაშას[11] ტრფობას ეკატერინესადმი.

საფეთი: შენ ეტყობა, თაჰლილიზადე ფიქრი ეფენდის წიგნი არ წაგიკითხავს, ,,ბალთაჯი მეჰმეთ ფაშას გრძნობები''.

ჯოშქუნი: რა სისულელეა!

საფეთი: რაა სისულელე? ამაზე იმდენი რომანია დაწერილი. ,,ბალთაჯი ეკატერინეს ჩაის საათზე ელოდა კარავში და ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა-დაევიწყებინა ოსმალოს სიამაყე და ქალს გაშმაგებული მიჯნურივით დალოდებოდა, თუ დიდი ოსმალეთის იმპერიისთვის შესაფერი დიდებულებით...

ჯოშქუნი: გეყოფა ეს სისულელეები! ჩაის საათი საიდანღა მოიტანე?

საფეთი: ინგლისელების მსგავსად ქალის მიმართ სინატიფის გამოჩენა სურდა. ,,მოთმინებადაკარგული კარვის წინ საგუშაგოზე მდგომ შიკრიკს იხმობს...''

ჯოშქუნი: გაუგებარია, ვინ დაკარგა მოთმინება?

საფეთი: ბალთაჯიმაც და შიკრიკმაც.

ჯოშქუნი: ეს შიკრიკი ნამდვილად რაღაც დიალექტზე უპასუხებს: ,,ფაშა-ჩემო, ეს გიაური მართლა შეგიყვარდათ?''

საფეთი: ნუთუ ისტორიულ დრამებში ეს დიალექტი ასეთი აუცილებელია?

---

[11] ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირი (1704-1706, 1710-1711), მეთაურობდა თურქეთის არმიას 1710-13 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. მეჰმედ ფაშასა და რუსეთის დედოფალ ეკატერინე I-ს შორის სასიყვარულო ურთიერთობის თემას თურქულ და რუსულ ლიტერატურაში რამდენიმე ნაწარმოები მიეძღვნა.

ჯოშქუნი: რა თქმა უნდა. *(ფურცლებს ჩაჰყურებს)* მისმინე! წმინდა ქალაქში, კლდის გუმბათთან[12] მომხდურ ჯართან შერკინებისას ჰუსეინ სითქი სერდარ ფაშა ერთ ჯარისკაცს ესაუბრება*(საფეთს ფურცელს აძლევს).*

საფეთი *(ფურცლიდან კითხულობს):* ეი, უმეცარო ჯარისკაცო! ამ დიადი და გაშმაგებული ბრძოლის დროს ამგვარი უსაქმურობით, უფრო სწორად ღალატით, რა ჯანდაბას აკეთებთ?

ჯოშქუნი: მტრის მეზარბაზნეს ვუთვალთვალებ, ფაშავ.

საფეთი *(იცინის)*: ეს ბრიყვი ჯარისკაცი. აი, როგორ გაიგო ფაშას სიტყვები!

ჯოშქუნი: საწყალი, ღარიბი ჯარისკაცის ყურამდე მხოლოდ ბოლო ორმა სიტყვამ მიაღწია. ნასწავლ-ნაკითხები, როგორც წესი, თავიანთი გამოსვლის ბოლოს ამბობენ ხოლმე ერთ-ორ სიტყვას ხალხისთვის გასაგებ ენაზე. *(დაფიქრდება)* რას ამბობენ ხოლმე? ჩვენსა და ხალხს შორის დიალოგი უნდა შედგესო. რაც არის, არის! *(ფურცლებს ალაგებს).* მოდი, ჩვენს დიალოგს მივხედოთ! *(ფურცლების ერთ ნაწილს საფეთს აძლევს).* ჯერ ერთი რამ უნდა აღვნიშნო: ამ პიესაში ზუსტად ისეთი რამ ხდება, რასაც ერთი ჩვენი პოეტი ამბობს: არც მთლად დროში ვარსებობ, არც მთლად მის მიღმაო. რაღაც მაგდაგვარი ხდება.

საფეთი *(ფურცლებიდან კითხულობს)*: დიდი მაგიდა. მინისტრი დიდ ზარს ხელს აჭერს. დიდი ზარის ხმა: ზრრრრ. შემოდის ზორბა კარისკაცი.

კარისკაცი: გისმენთ. მინისტრი: ვინმემ ხომ არ მიკითხა? კარისკაცი: თქვენ ვინ ხართ? მინისტრი: მე მინისტრი ვარ. კარისკაცი: თუ ასეა, მოსაცდელ ოთახში ვინმე ჰუსნუ ჯენაფი გელოდებათ, თქვენთან შეხვედრა უნდა.

(ჯოშქუნს მიმართავს): მოიცა, ბატონო ჯოშქუნ, მინისტრისა და კარისკაცის ურთიერთობა ცოტა უცნაურია...

ჯოშქუნი*(ჩქარ-ჩქარა)*: ე, ახალი პიესა რომ მომეცი წასაკითხად... არ გახსოვს, იქ ადამიანები ერთმანეთს რომ ესაუბრებიან, სიცარიელეში იყურებიან, თითქოს ერთმანეთს არც იცნობენ.

საფეთი: მაგრამ ის სიურრეალიზმია... პიესაში აბსტრაჰირებულია ყველაფერი. თქვენ კი, გაუგებარია, რა ჩანაფიქრი გაქვთ....

ჯოშქუნი: მეც მაქვს უფლება ჩემი ჩანაფიქრისაებრ ვიმოქმედო. მოკლედ..... ახლა მე ვიქნები მინისტრი, ანუ აჰმეთ ფეჰიმი და შენ იყავი ჰუსნუ ჯენაფი...

საფეთი: და მე რატომ არ ვარ მინისტრი?

---

[12] **კლდის გუმბათი**, იგივე გუმბათი კლდეზე (არაბ.მასჯიდ კუბატ ას-საჰრა) — მეჩეთი, წმინდა ტაძარი დაარსებული ძველ ქალაქ იერუსალიმში ტაძრების მთაზე.

ჯოშქუნი: ნუ ღელავ, ეს ორივე კაცი ერთი წონისაა. მისმინე: ჰუსნუ ჯენაფი შემოდის.

საფეთი*(ჯოშქუნს მიმართავს)*: დავიღალე! როგორც მივხვდი, ეს ორი კაცი ერთმანეთს იცნობს.

ჯოშქუნი: ისინი ძველი მეგობრები არიან.

საფეთი: რა ხდება, მეგობარო?

ჯოშქუნი: ქენან რეფაქს ისევ კრიტიკული სტატია დაუწერია.

საფეთი: ტრამვაის ხაზზე რომ ავარია მოხდა, იმის გამო გაკრიტიკებთ?

ჯოშქუნი: არა, ეს ტიპი პირდაპირ მთავრობას აკრიტიკებს.

საფეთი: დღეს საღამოს სტამბოლის ევროპულ ნაწილში ვნახავ კლუბში და დაველაპარაკები. არ იდარდოთ, ჩვენი კაცია.

ჯოშქუნი: ჰოო?

საფეთი: ძალიან შეწუხებული ვარ. ამ ჩვენს მაჰდუმს ისევ გაუვრცელებია პროკლამაციები ლალელიში.[13]

ჯოშქუნი: ჰოო?

საფეთი: პოლიციას მაჰდუმიც დაუკავებია და პროკლამაციებიც ამოუღია. გამოძიებას რეფი შეფაფი ხელმძღვანელობს.

ჯოშქუნი: დღეს საღამოს სტამბოლის აზიურ ნაწილში ვნახავ კლუბში და დაველაპარაკები. არ იდარდოთ, ჩვენი კაცია.

საფეთი: რასიმის ბოლო წიგნი ნახეთ?

ჯოშქუნი: ჩვენი რასიმის?

საფეთი: დიახ.

ჯოშქუნი: რომელი წიგნი?

საფეთი: ,,რევოლუციის სახეობები და სექსუალური რევოლუცია''.

ჯოშქუნი: აა, ეგ უკვე ვიშოვე კიდეც.

საფეთი: ვაა, მე ჯერ ვერ ვიშოვე.

---

[13] სტამბოლის ერთ-ერთი უბანი

ჯოშქუნი: არ იდარდო, ერთი ზედმეტი ეგზემპლარი მაქვს. გამომცემელი სალიჰი ჩვენი კაცია, ხომ იცი. ამ დილით შევუარე. აკრძალული ლიტერატურის გარდა, ყველა ახალი გამოცემული წიგნი აქვს.

საფეთი: კაცო, ყველა ეს წიგნი ერთ სტამბაშია დაბეჭდილი?

ჯოშქუნი*(ხვნეშით)*: საზოგადოებისათვის სასარგებლო წიგნები რომ გამოსცეს, იძულებულია, კარგად გაყიდვადი წიგნებიც ბეჭდოს.

(ჯოშქუნი და საფეთი ერთმანეთს უახლოვდებიან, წიგნების სათაურებს კითხულობენ და ხმას თანდათან ზევით უწევენ).

საფეთი: ნაწარმოებები, რომლებიც ხელს უწყობს საზოგადოების ჩამოყალიბებას

ჯოშქუნი: რევოლუციის სახეობები და სექსუალური რევოლუცია

საფეთი: განგსტერ ალ კაპონეს საიდუმლო სასიყვარულო კავშირები

ჯოშქუნი: რატომ სოციოლოგია?

საფეთი: თურგუთ რეისის ლაშქრობა მალტაზე

ჯოშქუნი: პარმის სავანე

საფეთი: სიყვარული და სიძულვილი

ჯოშქუნი: პალესტინის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ზნეობრივი პრინციპები

საფეთი: მიმართვა ინტელექტუალებს: ბატონებო, დასავლეთისგან მაგალითი უნდა ავიღოთ!

ჯოშქუნი: ,,ურმის ჭრიალი'' - სახალხო რომანი.

საფეთი: ისლამური რელიგიური ინსტიტუტების მოსაზრებები ევროპეიზაციის საფრთხეებზე

ჯოშქუნი: მითი ევროპეიზაციის უარყოფითი მხარეების შესახებ: ახალგაზრდა იდეალისტი თურქის მოსაზრებები

საფეთი: ჭარბი ტემპერამენტის უარყოფითი გავლენა ქორწინებასა და სქესობრივ ცხოვრებაზე

ჯოშქუნი: სოციოლოგიის ანბანი

საფეთი: სქესობრივი ცხოვრების საწყისები

ჯოშქუნი: ,,ქარხანას გასასვლელი არ ჰქონდა'' - ქალაქური რომანი

საფეთი: ჰამლეტი

ჯოშქუნი: ლუციფერი

საფეთი: ძროხა

ჯოშქუნი: რვაფეხა, ანუ ერთი მკვლელობის ანატომია

საფეთი: პოლიტეკონომიის ათი ძირითადი საფუძველი

ჯოშქუნი: ათი ძირითადი პოზა სექსში

საფეთი: ჯიჰადი ისლამში

ჯოშქუნი: მეკარე ჯიჰათის აღსარება: შეიძლებოდა, თუ არა იმ ბურთების აღება?

საფეთი: დიდი ფილოსოფოსების სასიყვარულო ისტორიები

ჯოშქუნი: სიყვარულის ფილოსოფია

საფეთი: ბრძოლა უნდა დამთავრდეს!

ჯოშქუნი: სამშვიდობო ინიციატივები

საფეთი: ომი და მშვიდობა

ჯოშქუნი: გულის მესაიდუმლე: ისპაჰანის მეჩეთი

საფეთი: ჩემი თავი ცაში ვიპოვე: სამხედრო მფრინავის ჟან ვან სოლის მოგონებები

ჯოშქუნი: თარიქ იბნ ზიადი

საფეთი: პარიზის დაუვიწყარი საოცრებანი

ჯოშქუნი: უცხოური კაპიტალისა და ოსმალეთის იმპერიის საგრეო ვალების კომისიის 1881 წლის დოკუმენტის კვლევა მიწის მესაკუთრეობის ჭრილში

საფეთი: სახალხო მღელვარება არგენტინაში

ჯოშქუნი: პარიები ინდოეთში

საფეთი: არიები ასი ყველაზე ცნობილი ოპერიდან

ჯოშქუნი: მუსიკა და ცივილიზაცია: საზანდარი ართინ ეფენდის ცხოვრება

საფეთი: ბერლინი მე დავბომბე

ჯოშქუნი: მოვდივარ ტანზანიიდან

საფეთი: ლას-სალინას ველებში

ჯოშქუნი: გავიცნოთ ჩვენი მამული

საფეთი: ჩუქუროვას პური

ჯოშქუნი: პური და ღვინო

საფეთი: სოფლის უხუცესი

ჯოშქუნი: პასტორალური სიმფონია

საფეთი: ბასთურმის შენახვის წესები

ჯოშქუნი: საწყალი სელიმი

საფეთი: შიშის ზარი ქალაქში

ჯოშქუნი: ფეხის მტვერი

საფეთი: პიერო და მერი

ჯოშქუნი: უკან მორჩენილი პრობლემები განვითარებად ქვეყნებში

საფეთი: სიყვარულით განვითარებული ქვეყნებიდან: ჯარისკაცის დღიურები.

ჯოშქუნი: ქილილა და დამანა

საფეთი: დანაშაული და სასჯელი

ჯოშქუნი: ხელოვნება და ფული

საფეთი: როცა ქათამი დაფრინავს

ჯოშქუნი: პროფკავშირული მოძრაობა მეთვრამეტე საუკუნის სელჯუკეთში

სეფეთი: ტექსტილის წარმოება მეცხრამეტე საუკუნის დოლმუჯაში

ჯოშქუნი: მეათე ფრონტზე სიჩუმეა

სეფეთი: მეოცე აგროსამრეწველო კონგრესის დოკუმენტები კაპიტალისტური და სოციალისტური ეკონომიკების დამცავი მექანიზმების შესახებ

ჯოშქუნი: მეთორმეტედ ვამბობ: ხალხის ლუკმა-პურით თამაში არ შეიძლება

საფეთი: როგორ გამოვიცანი ცამეტივე: ტოტალიზატორის მოთამაშე საიდუმლოს გვიმხელს

ჯოშქუნი: სენტიმენტალური გრძნობები

საფეთი: თვალთვალი და დევნა

ჯოშქუნი: შევისწავლოთ თურქული ენა

საფეთი: საიდუმლო სერობა

ჯოშქუნი: გაუმაძღართა სუფრა

საფეთი: რომელი კერძები უყვართ ბიზნესმენებსა და ხელოვანებს?

ჯოშქუნი: ტრადიციული წვნიანის უპირატესობა

სეფეთი: თავისუფლება უპირველეს ყოვლისა

(შემოდის სააადეთ ბებო. ხელჯოხს იატაკზე აბაკუნებს).

საადეთ ბებო: წვნიანი ისევ არ მაჭამეს. სად ქრება ეს საჭმელი?

ჯოშქუნი*(ნერვებაშლილი მიუბრუნდება)*: დედა, ხომ გითხარი, როცა ვმუშაობ ნუ მაწუხებ-მეთქი.

საადეთ ბებო *(ხელჯოხს აბაკუნებს)*: როგორ ბედავ ჩემთან ასეთი ტონით ლაპარაკს? ჯემილ ფაშასთან გიჩივლებ.

ჯოშქუნი: ჯემილ ფაშა აღარ არის.

საადეთ ბებო: როგორ თუ აღარ არის? გუშინ აქ იყო.

(საფეთი ჩუმად წამოდგება, პალტოების საკიდთან მიდის, სწრაფად იცვამს პალტოს და თავზე ფეტრის ქუდს იხურავს. ჯოშქუნი მას უყურებს და ეცინება).

ჯოშქუნი: ბოლოს რომ ნახე, მას მერე ჯემილ ფაშა ძალიან შეიცვალა.

საეთ ბებო: რა დაემართა?

ჯოშქუნი: პრეზიდენტი გახდა.

საფეთი *(საადეთ ბებოს უახლოვდება)*: საადეთ, ჩემო გოგო, მე ჯემილ ფაშა ვარ.

საადეთ ბებო: ეს რანაირი ჯემილ ფაშაა, ჯოშქუნ? რა დაუხურავს თავზე?

ჯოშქუნი: შეიცვალა-მეთქი, ხომ გითხარი.

საფეთი*(ბაძავს უმითს, როცა იგი ჯემილ ფაშას ასახიერებს)*: როგორ ხარ, საადეთ, ჩემო გოგო?

საადეთ ბებო *(იმორცხვებს)*: კარგად ვარ, ბატონო ჩემო, გმადლობთ. *(ჯოშქუნს)* ღვთის წყალობით, ქუდის გარდა სხვა არაფრით შეცვლილა ჩვენი ფაშა. *(საფეთს)* ცოტა შეცვლილი მეჩვენებით, ფაშავ.

საფეთი: პრეზიდენტი გავხდი, საადეთ.

საადეთ ბებო: არა, არა, ნამდვილად არაფერი დაგმართნიათ.

საფეთი: არჩევნებში მივიღე მონაწილეობა და ყველა დავამარცხე.

საადეთ ბებო: თქვენ ხომ არ დაშავდით?

(ჯოშქუნი ნელ-ნელა ოთახიდან იპარება).

საფეთი: არ ინერვიულოთ, მე კარგად ვარ. შენც ხომ კარგად გივლიან, საადეთ? ხომ მშვიდად ხართ?

საადეთ ბებო: კარგად ვარ, ბატონო, გმადლობთ. თან მყვებიან. *(აქეთ-იქით იყურება. ჯოშქუნს რომ ვერ დაინახავს, შვებით ამოისუნთქავს).* ერთადერთი ის მინდა გითხრათ, რომ ეს ჩემი სიძე დიდი უვარგისი ვინმე აღმოჩნდა, ფაშავ. მთელი ფული სასმელში დახარჯა. ჩემი ოქროებიც დაახურდავა, რაღაც წიგნების საქმეში ჩადო და დაკარგა. თავის დროზე მეზობლები და ნათესავები მევედრებოდნენ, გოგო მასწავლებელს არ მიათხოვოო. ანონიმურ წერილებსაც კი მწერდნენ. ასობით მოსწავლეს ასწავლიდა თურმე ეს ჩემი სიძე. ჩემს განკარგულებაში ბევრი მოწაფეაო, ამბობდა. დიდი ამბავი, ჯემილ ფაშას განკარგულებაში მინისტრები არიან-მეთქი, ვუთხარი. ჩემი ქალიშვილი კი ტიროდა, მაგ კაცს არ მიმათხოვოთო. ვინ მოუსმენდა მას? მაშინ უფროსების პატივისცემა იყო. დედა, მე სწავლის გაგრძელება მინდა, რატომ მატოვებინებთ სასწავლებელს, რატომ მათხოვებთ ამ კაცზეო, ასე მეუბნებოდა და ტიროდა. ინსტიტუტში სწავლობდა და დამთავრება უნდოდა. ინანებთ, ამ კაცზე რომ მათხოვებთო - ამბობდა. დიახ, ასე მელაპარაკებოდა, ანდა როგორ ბედავდა ჩემთან ასე ლაპარაკს. ჩვენ ჯემილ ფაშას მმართველობის დროს გავიზარდეთ-მეთქი, ვუთხარი. სიტყვა მქონდა ამ კაცისთვის მიცემული და ვერ გადავთქვამდი. ჰოდა, ახლა ამ უვარგის სიძესთან ერთად ვცხოვრობთ, ბატონო. ყველაფერთან ერთად კიდევ პენსიაზე გავიდა. გესმით?... ყველაფერზე ხელი დაიბანა. ჩემი გოგო მუშაობს, კერავს და ჩემთან ტირის ხოლმე. მე ადრიანად მაწვენენ, მაგრამ ხმას არ ვიღებ. დილას ველოდები, რომ ჯემილ ფაშა მოვიდეს...

(შემოდის ჯოშქუნი, გრძელი პალტო ჩაუცვამს, სათვალე გაუკეთებია და ულვაშები დაუხატავს. თავზე ჩაფხუტი ახურავს).

ჯოშქუნი: პრეზიდენტო, თქვენი ადიუტანტი მოვიდა, ფრონტზე გიხმობენ.

საადეთ ბებო: ეს პრეზიდენტი არ არის, ჩვენი ჯემილ ფაშაა. *(ჯოშქუნს ყურადღებით აკვირდება და საფეთს მიმართავს)* კი მაგრამ თქვენს ადიუტანტს ჩაფხუტი რატომ ახურავს, ფაშავ?

საფეთი: კოალიცია შევქმენით და...

საადეთ ბებო: ფაშავ, ასე ნუ იქცევით, თქვენც უნდა დაიხუროთ ჩაფხუტი!

საფეთი *(ხმადაბლა ჯოშქუნს)*: რაღაც არ მომწონს ეს სპექტაკლი. ცოტა პრიმიტიულია, არა?

(ჯოშქუნი სასადილო მაგიდასთან მიდის, ფურცლებს შლის, ნაწილს საფეთს აძლევს, ნაწილს იტოვებს. ორივენი ფურცლებიდან კითხულობენ).

საფეთი: ადიუტანტო, ახლახან დავბრუნდი ბრძოლიდან, დაღლილი ვარ. მდგომარეობის შესახებ ფადიშაჰს აცნობეთ.

საადეთ ბეგო *(გახარებული)*: ესე იგი, ბატონი ფადიშაჰიც აქ არის?

ჯოშქუნი: თუ გავიმარჯვებთ, ცოტა გავახალისებთ სულთანს, თორემ ძალიან გაბრაზებულია.

საფეთი: რატომ არის სულთანი გაბრაზებული?

ჯოშქუნი: თოფკაფიდან რომ მოდიოდა, მის ეტლთან ვიღაც მაწანწალამ მიირბინა და გვერდიდან სამჯერ ესროლა.

საადეთ ბეგო: ვაიმე!

საფეთი: ვაიმე! სულთანი ალი ოსმანი აღარ გვყავს?

ჯოშქუნი: არა, ტყვია მხოლოდ ერთ ბებერ ცხენს მოხვდა, სულთნის ეტლს ერთი-ორი ნაკაწრი აქვს მხოლოდ. და კიდევ, ადიუტანტმა თავდამსხმელის დასაჭერად გაიწია და მუნდირი გაეხა.

საფეთი: ბრძოლას ჩვენც მოუმზადებლები შევხვდით, ორ ფაშას და ერთ მინისტრს ტრავმა ჰქონდათ მიღებული. ასეთი დანაკლისის პირობებში, ამ შემადგენლობით რა უნდა გვექნა? ამინდმაც ხელი არ შეგვიწყო და ორით ერთი წავაგეთ. *(ჯოშქუნს მიუბრუნდება)* ბატონო ჯოშქუნ!

საადეთ ბეგო*(გაკვირვებული)*: ფაშავ, თქვენს ადიუტანტსაც ჯოშქუნი ჰქვია?

ჯოშქუნი*(საფეთს)*: რატომ ბრაზდები? თანზიმათის[14] ეპოქიდან მოყოლებული განა სულ მარცხს არ განვიცდით?

საფეთი: კი, მაგრამ, ახლახან არ მივაგენით ჭეშმარიტებას?

ჯოშქუნი: ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენ მივაგენით. ბულვარული კომედიებისა და ისტორიული დრამების გარდა განა... *(კარებზე ზარი ირეკება. ჯოშქუნი კარს აღებს. კარებში ჯემილე და მეზობელი ქალი დგანან, ხელში პარკები უჭირავთ).* ვაიმე, ჩემი ცოლი მოვიდა!

ჯემილე *(ჯოშქუნს სახეში უყურებს, უმწეობისაგან ხელებს ჩამოუშვებს)*: ჯოშქუნ, კიდევ რაღაცას მასხარაობთ?

---

[14] ოსმალეთის იმპერიაში 1839 წლიდან დაწყებული დიდი რეფორმებისა და მოდერნიზაციის ხანა

საადეთ ბებო: პოლკოვნიკი ჯოშქუნ ბეიც გვეწვია დღეს ჯემილ ფაშასთან ერთად.

ჯემილე: ამ ქალს სულ გააგიჟებთ. *(საადეთ ბებოსთან მიდის)* დედა, წამო, შიგნით შევიდეთ.

საადეთ ბებო: არავითარ შემთხვევაში. ბატონი ჯოშქუნი ფადიშაჰზე თავდასხმის ამბავს.... *(ჯემილე დედამისს ხელკავს გამოსდებს და დერეფნისკენ მიჰყავს)* არ მინდა, არ მინდა შენთან. პოლკოვნიკო ჯოშქუნ ბეი! მიშველეთ, ფადიშაჰს შეატყობინეთ ჩემი ამბავი... *(ჯემილეს დედა ძალით მიჰყავს).*

საფეთი: მეც წასასვლელი ვარ, შემოწმებაზე მივდივარ..

საადეთ ბებო *(თავს ატრიალებს და შორიდან ყვირის)*: კვლავ მობრძანდით. *(შვილს მიმართავს)* სულ ასე შემოწმებაზე მიდის, შემოწმებიდან მოდის, ჩვენს ქვეყანას გამუდმებით ამოწმებს, ღმერთმა არ მოგვაკლოს მისი თავი. *(ჯემილეს დედა ხელკავით მიჰყავს. დერეფნიდან საადეთ ბებოს ხმა ისმის)* კვლავ გვეწვიეთ, ფაშავ, დიდხანს ნუ დარჩებით შემოწმებაზე. ოღონდ შემდეგ ჯერზე ჩაფხუტით მოდით, ხომ? *(კარის მიხურვის ხმა ისმის).* ყაჩაღებო! რატომ მკეტავთ? პოლიციაში გიჩივლებთ. რა დაგიშავეთ? პოლიცია მომიყვანეთ!

ჯოშქუნი*(დერეფნის ბოლოსკენ მიდის):* გისმენთ, ქალბატონო საადეთ.

საადეთ ბებოს ხმა: ჩემო ფაშავ, ესენი წიგნებს კითხულობენ. ჩემს კარადაში ინახავენ ყველა წიგნს. წიგნები წაიღეთ და მე თავი დამანებეთ.

ჯოშქუნი: ახლავე, ბატონო.

ჯემილეს ხმა: გეყოფა, ჯოშქუნ!

(ჯოშქუნი მისაღებ ოთახში ბრუნდება, ჯემილე დერეფნიდან შემოდის. საფეთი და ჯოშქუნი დამნაშავე ბავშვებივით თავდახრილები დივანზე სხდებიან).

ჯოშქუნი *(თითით საფეთზე ანიშნებს)*: ყველაფერში ეგ არის დამნაშავე, სულ მაგას შევყავარ შეცდომაში.

საფეთი: თავად შეცდა, ბატონო. *(ჯოშქუნის ულვაშებზე უთითებს)* ყველა ამ მასხარაობას ჯოშქუნი იგონებს.

ჯემილე*(დაღლილი ხმით)*: ჯოშქუნ, გთხოვ, წადი, სახე დაიბანე.

(ჯოშქუნი თავს წამოყოფს. მეზობელი ქალი სიცილით ადევნებს თვალს მოვლენებს).

საფეთი*(მეზობელ ქალს)*: თქვენც ხომ არ გნებავთ ჩვენს სპექტაკლში მონაწილეობა?

მეზობელი ქალი *(დარცხვენით)*: ბატონო?

საფეთი: არ გინდათ, ჰულია, თავი დააღწიოთ უფერულ ცხოვრებას? არ გინდათ, ფერად ფილმებში რომ ხდება, აი ისე, ცხოვრების ქარტეხილს გაჰყვეთ და მაღალ, გრძელთმიან გმირთან ერთად გიჟური თავგადასავლები გადაგხდეთ?

მეზობელი ქალი: მაგრამ მე ჰულია არ მქვია.

საფეთი: თქვენ უკვე ჰულია ხართ, აიდანი ხართ, შეიდა ხართ, ყველა კინოგმირი ხართ ერთად აღებული. *(ცალი თვალით ჯემილეს აკვირდება).* უკვე თავისუფალი ხართ საზოგადოების ზეწოლისგან, უკან მოიტოვეთ ღარიბი მომღერლის ცხოვრება. *(პაუზა)* დარწმუნებული ვარ, შესანიშნავი ხმა გაქვთ.

მეზობელი ქალი*(მორიდებით)*: არც თუ ისე.

საფეთი: ჯერ კინომსახიობი უნდა გახდეთ და ხმაც მაშინვე გამოგიკეთდებათ.

(ჯოშქუნი მათ საუბარს დერეფნიდან უსმენს).

ჯოშქუნი*(მეზობელ ქალთან მიდის)*: მუსიკალურ სამყაროში ცნობილ კომპოზიტორს სიგიჟემდე უყვარდებით, სპეციალურად თქვენთვის წერს სიმღერას საბედისწერო ქალზე, მაგრამ თქვენ ერთი შავგვრემანი, ახალგაზრდა მევიოლინე გიყვართ, არა კი არ გიყვართ, გებრალებათ, არა, მისი აღზევება გინდათ. ახალგაზრდაც ყველანაირად ცდილობს, თავი მოგაწონოთ, თქვენი ხათრით კონსერვატორიაშიც კი აბარებს, მაგრამ, რა სამწუხაროა, რომ ნოტებს ვერაფერს უგებს და ყველაფერთან ერთად, ცოლიანია, ცოლი ლოგინად არის ჩავარდნილი. ამასობაში გრძელთმიანი კომპოზიტორი ათასობით სიმღერას გიძღვნით და ფირფიტებს ფეხქვეშ გიგებთ...

საფეთი *(ჯოშქუნს წინ გადაუდგება)*: არა, მას ვერავინ წამართმევს...

ჯოშქუნი*(იღიმის)*: ცხოვრებას თავისი კანონები აქვს, რომელსაც გვერდს ვერ აუქცევ. შავგვრემანი მევიოლინე კი ცხოვრების კანონების ყველა მუხლს არღვევს, სძულს ადამიანები. სიმღერებით უნდა მათი მოწამვლა. დღედაღამ უხეშ და მდარე მუსიკას უსმენს, ბოლოს ყველაზე დამამცირებელ ხმებსა და სიტყვებს პოულობს და ვიოლინოსა და ორღანისთვის მუსიკას წერს. არავინ ეწინააღმდეგება, რადგან ყველა ჩაგრული, ისიც კი, ვინც არ იცის, რატომ ჩაგრავენ, მის გვერდით დგება, ყველა კაფეში, ყველა მანქანაში, გასართობ ადგილებში, ყველგან მისი დამანგრეველი ხმა ისმის. ბოლოს თქვენც მოგაჯადოვებთ, უცებ ყველაფერს ტოვებთ და ამ მომწამვლელ ჯადოსნობას დამორჩილებული მიდიხართ, ტკივილითა და ტანჯვით...

მეზობელი ქალი *(შეშინებული):* არა... არავითარ შემთხვევაში...

ჯოშქუნი *(შეწუხებული დივანზე ჯდება):* მაშინ თქვენი მცირე ხვედრით მოგიწევთ ცხოვრება. პატარა უბნის პატარა სახლში თქვენს ბედს ელოდებით. თქვენს პატარა ოთახში პატარა მზითვს იმზადებთ. აღარც ჰულია გქვიათ, აღარც შეიდა; ახლა თქვენ კადრიე ხართ და

თმაგაცვენილ დილავერს ელოდებით. დილავერი კი პენსიაზე გასვლას ელოდება, რომ მერე თქვენთან მოვიდეს.

მეზობელი ქალი*(მოღუშული):* ამ ორ რაღაცას შორის შუალედი არ არსებობს?

ჯოშქუნი *(გაბრაზებული):* არა! ვინც ბედნიერების ველურ ძახილს ყურს არ ათხოვებს, იძულებულია კადრიე და დილავერი იყოს. ყველა კადრიე იძულებულია დილავერის წინდები კემსოს. *(საწერ მაგიდასთან მიდის, ჯემილეს მოდების ჟურნალს იღებს და თვალიერებას იწყებს).* დილავერი კი, ნაცვლად კადრიესი, რომელიც თანდათან ფერს კარგავს, ბიკინებიან ქალებს უყურებს ჟურნალებში. *(თავს სწევს).* დილავერ! შე უბედურო, არ დალევ და რა ჯანდაბას იზამ!

ჯემილე: ჯოშქუნ, ძალიან შორს წახვედი.

საფეთი*(მოღუშული)*: წავედით, ჯოშქუნ! არცავინ წინასწარმეტყველი შეწყნარებულ არს თვისსა მამულსა შინა.

ჯოშქუნი *(მოღუშული)*: წავიდეთ, ის მომღერალი გოგო ვიპოვოთ და სიმღერა დავუწეროთ.

(ჯოშქუნი და საფეთი დგებიან, მძიმე ნაბიჯით მიდიან სადარბაზოში გასასვლელი კარისკენ და გადიან. ჯემილე დაღლილი სახით უყურებს მათ. სცენა ნელ-ნელა ბნელდება).

(სცენის მეორე ნაწილი ნათდება. პატარა მაგიდა მწავნე გადასაფარებლით. ორი სკამი, წითელი განათება. ჯოშქუნი და ემელი მაგიდასთან გვერდიგვერდ სხედან, წინ ჭიქები უწყვიათ).

ჯოშქუნი*(ჭიქაში დარჩენილ სასმელს ერთბაშად გადაჰკრავს):* აი, ასე. მომღერალი გოგოს საპოვნელად მოვედი.

ემელი*(სიცილით):* და რომელი კომპოზიტორის სახით?

ჯოშქუნი: არ ვიცი. *(დაფიქრდება)* რომელი უფრო სერიოზული იყო? *(ამოიხვნეშებს)* ნახევარ ცხოვრებას ვცხოვრობ, ნახევარს - ვთამაშობ. მგონი შავგვრემანი მევიოლინე უფრო სერიოზული იყო. *(ფიქრობს)* დიახ, მე დაჩაგრულის მხარეს ვარ. *(მღერის)*

ცხოვრება მუქ ფერებში, ბედიც შავი, ჩემი ვიოლინოც შავი,

სასტიკო და საზიზღარო დედაკაცო, შენ მე მომკალი.

ემელი: თუნდაც სასტიკი ვიყო, მაინც შენ გვერდით მიგულე.

ჯოშქუნი: ჩემს ცხოვრებას ვეთამაშები *(ემელის ხელებზე უჭერს),* მაგრამ შემიბრალეთ, მე მჭირდება თამაში. არ ვიცი, რა მჭირს, ბოლომდე ვერაფერი მიმყავს, პიესებს ვერ ვასრულებ, მაგრამ აი, თქვენდამი ჩემი სიყვარული მართლა სრულყოფილია.

ემელი*(წყენით)*: შეგიძლიათ, რომ ეს მაინც თქვათ სერიოზულად?!

ჯოშქუნი: მიყვარხარ, რადგან შენს იქით გზა არ მაქვს.

(ემელი ხელებს გაითავისუფლებს. იღუშება. ჯოშქუნი მხრებზე ხელს ხვევს და გულში უნდა ჩაიკრას. მიმტანი შემოდის და ჯოშქუნი უკან იხევს).

ჯოშქუნი: სმა უნდა გავაგრძელო, სხა არაფერი დამრჩენია. *(მიმტანს ანიშნებს, რომ სასმელი მოიტანოს. მიმტანი გადის. ჯოშქუნი თვალს აყოლებს).* ეს კაცი თითქოს ადრე სადღაც მინახავს. თითქოს ყოველთვის რაღაცაში ხელს მიშლის!

ემელი: რას ამბობდი წეღან?

ჯოშქუნი*(აღელვებული)*: ხო, სად გავჩერდით? დიახ, გეუბნებოდით, რომ მიყვარხართ, რადგან სხვა აღარაფერი დამრჩენია. აი, ნახავთ, ჩემო სატრფოვ, რაებს გავაკეთებ. ამიერიდან ჩემს ცხოვრებას და მომავალს თქვენ გიძღვნით. თქვენთან ერთად აქედან შორს გავიქცევი. *(მიმტანი შემოდის, სასმელი შემოაქვს. ჯოშქუნი ხმას დაუწევს, მისი სიტყვები აღარ იმის).*

(სცენის მეორე - ჯოშქუნის სახლის ნაწილიც ნათდება და საადეთ ბებო გამოჩნდება. მოქმედება ორივე ნაწილში ერთდროულად მიდის).

საადეთ ბებო: ისე მომექცნენ, რომ ამის მერე ამ სახლში ვეღარ დავრჩები. სტუმრების თვალწინ რაც ჩაიდინეს... *(დერეფნისკენ მიდის და თვალს ეფარება).*

(მიმტანი სცენიდან გადის)

ჯოშქუნი: ნუთუ გგონია, რომ მთელ ცხოვრებას იმ სახლში გავატარებ?

უმითის ხმა: საადეთ ბებო, ეს ბოხჩა რად გინდა?

საადეთ ბებოს ხმა: რა ვიცი, ვიფიქრე, ჯემილ ფაშასთან ხომ არ წავიდე-მეთქი.

უმითის ხმა: შენ ნუ შეწუხდები. ჯემილ ფაშას აქ მოგიყვან.

ჯოშქუნი: აი, ნახავ, რას გავუკეთებ ჯემილეს, დიდხანს მოჰყვებიან როგორც ლეგენდას.

ემელი*(სიცილით)*: და რას გაუკეთებ ასეთს?

ჯოშქუნი: პიესას დავწერ მასზე და ყოფას ვუტირებ. მიტოვებული ქალის როლს მოვარგებ.*(შემოდის მიმტ*ანი). ხომ ხედავ, ყველა ჩემ წინააღმდეგაა. *(ხმას დაბლა უწევს).*

(შემოდის საადეთ ბებო. ხელში დიდი ბოხჩა უჭირავს, სასადილო მაგიდაზე დებს და უკან გადის).

ჯოშქუნი: ჩემი არ გჯერა, ხომ? *(მიმტანი მაგიდასთან მოდის და ცარიელ ჭიქას იღებს).*

(სცენაზე საადეთ ბებო შემოდის. ხელში ყველი, ზეთისხილით სავსე ქილა და ორი წყვილი ფეხსაცმელი უჭირავს. ბოხჩაზე დააწყობს და კვლავ გადის).

(მიმტანი სცენიდან გადის და ჯოშქუნი ხმამაღლა იწყებს ლაპარაკს).

ჯოშქუნი: ჯემილე, ამ სახლში ვეღარ დავრჩები. მინდა, რომ მარტომ ვიცხოვრო.

ემელი: ვინმე სხვა ქალი გაიჩინე, ჯოშქუნ?

ჯოშქუნი: არა, ჯემილე. არის რაღაცები, რაც ჩემთვის სიყვარულზე უფრო მნიშვნელოვანია. ამიერიდან ჩემი ხალხისთვის უნდა ვიღვაწო. გუშინ ყველას თვალწინ სიტყვა მივეცი ჩემს საწყალ ხალხს. მისთვის ნამდვილი პიესები უნდა დავწერო.

ემელი: ერთად დავწეროთ, ჯოშქუნ.

ჯოშქუნი: შეუძლებელია. სახლიდან მივდივარ და მთელ ჩემს ქონებას შენ გიტოვებ.

(შემოდის საადეთ ბებო, კაბა, ქილა მურაბა, ორი თავსაფარი, ნახევარი პური და საცვლები უჭირავს. ყველაფერს ბოხჩაზე ყრის და გადის).

ემელი: რომელ ქონებას მიტოვებ, ჯოშქუნ?

ჯოშქუნი: მოიცა, ნუ სულელობ, ემელ, შენ ჩემს მხარეს არ იყავი? *(ხმას უმაღლებს)* ჩვენს ვაჟს გიტოვებ, ჯემილე.

(უმითი ფეხაკრეფით შემოდის, პალტოების საკიდიდან ჩაფხუტს იღებს და გადის. შემოდის საადეთ ბებო. იღლიაში ქაღალდები, კონვერტები, ფოტოსურათები, დანა-ჩანგალი, თეფში, რამდენიმე სენდვიჩი და რვეული აქვს ამოჩრილი, ბოხჩაზე ყრის და გადის).

ემელი: ჩვენს ვაჟს? რა მიგიცია დღემდე მისთვის?

(შემოდის უმითი. სახეზე ულვაში და წვერი დაუხატავს, პალტოების საკიდიდან პიჯაკს ჩამოხსნის და გადის).

ჯოშქუნი: სხვა გზა არ გვაქვს, ჯემილე. ორივემ ჩვენ-ჩვენი ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ. აი, ნახავ, ეს ორივე ჩვენგანისთვის კარგი იქნება. ნახვამდის, ჯემილე.

ემელი: მესმის შენი, ჯოშქუნ, მიუხედავად იმისა, რომ ტირილს ძლივს ვიკავებ, მაინც შემიძლია გაგამართლო. ნახვამდის, ჯოშქუნ.

ჯოშქუნი: მშვიდობით, ჯემილე. მაპატიე, რომ კარგად ვერ მოგიარე, თავს მიხედე.

(შემოდის საადეთ ბებო. ხელში მანტო უჭირავს, მანტოს სავარძელზე დებს. ცდილობს ბოხჩა შეკრას და თან თავის თავს ელაპარაკება. ჯოშქუნი კი აღელვებული ემილეს რაღაცებს უყვება).

საადეთ ბებო: ასეთი ცხოვრების ატანა აღარ შემიძლია, საყვარელო ჯემილ ფაშა. ამ სახლში უკვე საზიზღრად მექცევიან. არაფერს არ მაძლევენ, არაფერს. ციხეში ვცხოვრობ. ციხეში ვარ, პატივცემულო ფაშავ. *(ხმა უკანკალებს).* ჩემი სიცოცხლის უფლებას არ აღიარებენ. *(მანტოს იცვამს).* მაგრამ, მაგათ ვაჩვენებთ სეირს, არა ფაშავ? *(ბოხჩას იღებს და კარებში გადის).*

ემელი: ეჰ, ჯერ სად ვართ, ნახავ, წინ კიდევ რა გველის!

(სცენის მარჯვენა ნაწილი ბნელდება. მარცხენა ნაწილში უმითი შემოდის. თავზე ჩაფხუტი ახურავს, სახეზე წვერ-ულვაში ახატია, მწვანე პიჯაკი აცვია და წელზე ქამარი უკეთია. შარვლის ტოტები წინდებში აქვს ჩატენილი).

უმითი: ქალბატონო საადეთ! მე მოვედი, ჯემილ ფაშა მოვიდა, შენი დიდი მხსნელი და მფარველი მოვიდა. *(აქეთ-იქით იყურება).* ქალბატონო საადეთ, სად ხართ? ვაჰ, სად წავიდა ეს ბებრუცუნა? *(სცენიდან გადის, სცენაზე მხოლოდ მისი ხმა ისმის).* ქალბატონო საადეთ, სად ჯანდაბაში წახვედით? ფრონტიდან მოვედი თქვენს სანახავად. *(სასადილო ოთახში ბრუნდება).* საადეთ ბებო, სად წახვედი? *(ოთახს ათვალიერებს, ჩქარი ნაბიჯით მიდის კარისკენ და სადარბაზოში გადის).*

(სცენა ბნელდება. სცენის მარჯვენა ნაწილი ნათდება. მაგიდა, რამდენიმე სკამი, პოლიციის კომისარი, უმითი და საადეთ ბებო).

კომისარი*(უმითს)*: რა უფლებით დადიხართ კანონსაწინააღმდეგო ჩაცმულობით?

უმითი*(ნერვიულად)*: საადეთ ბებო სახლიდან გაიქცა და ფრონტიდან უცებ მომიწია დაბრუნება...

კომისარი: გიჟების ხელში ჩავცვივდით. შვილო, რაში გჭირდება ეს მასხარაობა? თეატრში ხომ არ ვართ?

უმითი: დიახ... უკაცარვად, არა... ანუ, ერთი მხრივ, კი. საადეთ ბებოს ჯემილ ფაშასთან უნდოდა გაქცევა... ბებია რომ არ წასულიყო, ჯემილ ფაშას ფორმა გადავიცვი.

კომისარი: თეატრშიც კი არ ხდება ასეთი უბედურება. *(საადეთ ბებოს შეხედავს)*. და თანაც ამ ასაკში კაცთან რატომ უნდა გაიქცეს?

უმითი: დიდი ხანია გაქცევა უნდა. ჩვენი სახლის სიტუაცია... *(წინადადებას წყვეტს).* სად იპოვეთ?

საადეთ ბებო*(უმითს უყურებს):* პატივცემულო ფაშავ, თქვენთან მოსასვლელად მთელი სამი პროსპექტი გამოვიარე, ცოტაც და დავეცემოდი. მას შემდეგ, რაც არ მინახავს, ყველაფერი გადასხვაფერებულა. *(კომისარს გადახედავს).* ფაშავ, ეს თქვენი ადიუტანტია?

კომისარი*(ნერვიულად)*: გთხოვთ, მე ამ სპექტაკლში ნუ გამხვევთ.

საადეთ ბეგო*(დგება და უმითის ხელებს გულში იკრავს):* ფაშავ, აღარავინ დამრჩა, მხოლოდ თქვენ იმედად ვარ. რა იქნება, თქვენთან წამიყვანოთ?!

უმითი*(თვალები უწყლიანდება):* ნუ ღელავთ. *(თავს ატრიალებს).* აქ უსაფრთხოდ ხართ.

კომისარი: აქ ყველას თავისი საქმე აქვს, წადით და ეგ სპექტაკლი თქვენს სახლში ითამაშეთ. *(მაგიდიდან ქაღალდს იღებს და უმითს აწვდის).* ამას ხელი მოაწერეთ და ეს ქალი ჩაიბარეთ. *(უმითს შეხედავს).* ქუჩაში ამ ჩაცმულობით სიარული არ შეიძლება. *(ზარს ხელს აჭერს).* მანქანით გაგიშვებთ.

უმითი: ქალბატონო საადეთ, ჩემი ადიუტანტის მანქანით წაგიყვანთ.

კომისარი*(შერბილებული ტონით):* დეიდა, ამის მერე ფაშას დაუჯერეთ, ხომ!

საადეთ ბეგო: არავის სჯეროდა, მაგრამ მე ვიცოდი, მე ვიცოდი, რომ ჯემილ ფაშა წამიყვანდა.

(სცენა ბნელდება. ჯოშქუნის სახლი სუსტად ნათდება. ჟურნალის მაგიდაზე ორი სანთელი ანთია. ჯემილე დივანზე ზის და კერავს, შიგადაშიგ ქვითინებს. სადარბაზოს კარი იღება. შემოდის ჯოშქუნი).

ჯოშქუნი*(მთვრალი):* ჯემილე უნდა ვილაპარაკოთ... *(სასადილო მაგიდას ეჯახება).* უჰ ამის! რატომ ბნელა სახლში? *(ჯემილე უპასუხოდ ტოვებს, ქვითინს აგრძელებს).* შენთან ლაპარაკი...*(ჯემილეს შეხედავს).* რა ხდება, რატომ ტირი?

ჯემილე: რა საქმეებით ხარ სახლის გარეთ დაკავებული, ჯოშქუნ?

ჯოშქუნი*(დამორცხვებული):* რეპეტიცია გვქონდა. *(სანთლებს დაინახავს)* დენი რატომ არ არის?

ჯემილე *(ჯოშქუნს ეჭვიანი მზერით უყურებს):* დღეს რას აკეთებდი? დენის ფული შენ არ უნდა გადაგეხადა?

ჯოშქუნი *(შუბლზე ხელს შემოირტყამს):* უჰ, როგორ დამავიწყდა!

ჯემილე*(დაღონებული):* ამ ბოლო დროს რატომ გავიწყდება ყველაფერი, ჯოშქუნ?

ჯოშქუნი: მაგიტომ ტირი?

ჯემილე*(ყვირილით)*: არა! დედაჩემი სახლიდან გაქცეულა და უმითი საძებნელად გაჰყვა. ვინ იცის, რა უქენი ქალს? *(ტირის).*

ჯოშქუნი: არ მახსოვს, რომ რამე მექნას.

ჯემილე: ყველაფერი გავიწყდება. *(ჯოშქუნს დაჟინებულ მზერას მიაპყრობს).* იქნებ, დღეს თეატრში მისვლაც დაგავიწყდა.

ჯოშქუნი: რისი თქმა გინდა?

ჯემილე: სერვეთმა დარეკა, დღეს თეატრში უნდა მოსულიყოო.

ჯოშქუნი: დიახ... *(საწერ მაგიდასთან მიდის).* პიესას ვწერ და *(მაგიდასთან ჯდება)* ცოტა უნდა წავიმუშაო. *(ერთ სასანთლეს იღებს, მაგიდაზე დებს და წერას იწყებს. დივანზე მჯდომი ჯემილე ქვითინით აგრძელებს კერვას).*

ჯემილე: ჯოშქუნ!

ჯოშქუნი *(თავაღეუბლივ აგრძელებს წერას):* ბატონო.

ჯემილე: შეგიძლია მომისმინო?

ჯოშქუნი: ბატონო?

ჯემილე *(განერვიულებული):* გესმის ჩემი?

ჯოშქუნი*(თავს სწევს და ცოლს უგულისყურო გამომეტყველებით უყურებს):* გისმენ.

ჯემილე*(მტკიცედ):* შენთან სალაპარაკო მაქვს.

ჯოშქუნი*(თითქოს უცებ რაღაც გაახსენდა):* მეც მინდოდა შენთან დალაპარაკება.

ჯემილე *(ჯოშქუნს წაუყრუებს*): მინდა, რომ ამ თეატრის საქმეს შეეშვა. *(ჯოშქუნი განცვიფრებული უყურებს ცოლს).* რა გესაქმება ამ ავანტიურისტებთან, თვითონ რომ არ იციან რას აკეთებენ?! ცხოვრებაში ერთხელ მაინც ხომ უნდა გამოიჩინო გონიერება. *(ჯოშქუნს თვალს თვალში უყრის).* უნდა დაანებო მაგ ხალხს თავი, ჯოშქუნ!

ჯოშქუნი: კი, მაგრამ რანაირად? მელოდებიან, ჩემს პიესებს...

ჯემილე: შენ არავინ გელოდება, ჯოშქუნ.

ჯოშქუნი*(განრისხებული):* როგორ თუ არავინ მელოდება. იქნებ, ყველა მე მელოდება... ადამიანები... ჭეშმარიტება. მე მგონი, რაღაც ჭეშმარიტებას მივაგენი კიდეც. რაღაც მაქვს სათქმელი ხალხისთვის. დიახ, სერიოზულად ვამბობ. ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის...

ჯემილე *(წყნარად):* ჯერ შენს კეთილდღეობაზე იფიქრე... *(მკვახედ)* ხო, წესიერ საქმეს უნდა მოკიდო ხელი.

ჯოშქუნი: არავითარ შემთხვევაში! როგორ შეიძლება? მე სიტყვა მივეცი.

ჯემილე: ყველაფერი შეიძლება. უცებ დაგივიწყებენ. უცებვე იპოვიან სხვა შენნაირ დოყლაპიას. ძალიან კარგად ვიცი, რისი მაქნისებიც არიან ეგეთები.

ჯოშქუნი: კარგი იქნებოდა, რამე ისეთი არსებობდეს, შენ რომ არ იცი *(საკამიდან დგება).* არა, პიესების წერა უნდა გავაგრძელო, გესმის?!

ჯემილე: და რომ ვერ აგრძელებ... როგორც ვხვდები, შუაში გაქვს ყველა მიტოვებული. *(პაუზა).* ჯოშქუნ, მათ უნდა უთხრა, რომ ამ საქმეზე უარს ამბობ. ისე თქმაც არ არის საჭირო, აღარ წახვალ და ყველაფერი თავისით დამთავრდება. *(ფეხზე დგება).* ადამიანებს თეატრისა და თამაშისთვის აღარ სცალიათ. *(ჯოშქუნს უახლოვდება).* ბიძაჩემს ველაპარაკე, მოვიდეს და ეგრევე მოვუძებნით ფირმაში რამე საქმესო.

ჯოშქუნი*(გაცოფებული):* ფირმაში?

ჯემილე: ასე ჭორებსაც მოეღება ბოლო.

ჯოშქუნი: რა ჭორებს?

ჯემილე *(თვალებმოჭუტული უყურებს ჯოშქუნს):* ვიღაც გოგოსთან ერთად უნახიხართ, რეკლამებში რომ იღებენ.

ჯოშქუნი: ღმერთო დიდებულო! *(ხელებს შლის).* ამ სახლში თუ დავრჩი, მართლა დამივიწყებენ.

ჯემილე: რა უფლებით ადანაშაულებ ყველაფერში ამ სახლს...

(უცებ კარი იღება და საადეთ ბებო და უმითი ლაპარაკ-ლაპარაკით შემოდიან).

საადეთ ბებო: ფაშავ, მე თუ მკითხავთ, ეს ჩემი სიძის სახლს უფრო ჰგავს...

(ჯემილე ტირილით გაიქცევა დედამისისკენ და მოეხვევა. საადეთ ბებო უმოძრაოდ და უგრძნობლად დგას).

საადეთ ბებო: პატივცემულო ფაშავ, ვგონებ, მე ამ სახლში ვცხოვრობდი.

ჯემილე*(უმითს მივარდება):* ეს ქალი ისევ შენ გააგიჟე?

საადეთ ბებო: ფაშავ, მე ამ სახლში ცხოვრება აღარ მინდა. ეს ადრეც მოგახსენეთ, მგონი.

უმითი*(დედას):* დედა, ვერ ხედავ, რა უნდა საადეთ ბებოს? რატომ გინდა, რომ ყველას დაუნგრიო ოცნება? *(საადეთ ბებოს ხელკავს გამოსდებს და დედამისს ისე ჩაუვლის გვერდით, თითქოს ვერ ამჩნევს).* საადეთ, აქ დაჯექი, დივანზე.

(საადეთ ბებო ჯდება. უმითი მამამისს რაღაცას ანიშნებს, ჯოშქუნი დერეფნისკენ მიდის. განერვიულებული ჯემილე ხელებგადაჭდობილი ადევნებს მათ თვალს).

უმითი: დღეს ცოტა რთული დღე იყო და ალბათ, დაიღალე, საადეთ. ეს ჩვენი ადიუტანტის სახლია.

(დერეფანში ჯოშქუნი გამოჩნდება იმ ჩაცმულობით, რომლითაც წინა სცენაში ადიუტანტს ასახიერებდა).

ჯოშქუნი *(უმითს სამხედრო სალამს აძლევს):* ჩვენთვის დიდი პატივია თქვენი სტუმრობა, ფაშავ. *(საწერ მაგიდასთან მიდის).*თქვენი ნებართვით. *(ფურცებს შლის და კითხულობს).*

უმითი: ბატონო ჯოშქუნ, პირნათლად ასრულებთ თქვენს მოვალეობებს?

საადეთ ბეგო *(აღელვებული):* ფაშავ, თქვენს ადიუტანტსაც ჯოშქუნი ჰქვია?

უმითი: საადეთ, თქვენ ეს ადრეც იცოდით.

საადეთ ბეგო: ხო, მგონი, ვიცოდი.

უმითი: იწერთ, ბატონო ჯოშქუნ?

საადეთ ბეგო: მეც მყავდა ერთი უხეირო სიძე, ჯოშქუნი, იმას წერდა... პიესას...და თან ვიღაცებისთვის თამაშობდა ამ პიესას.

ჯოშქუნი*(სერიოზულად)*: ჩვენ პიესების სათამაშოდ არ გვცალია, ქალბატონო საადეთ. *(ჯემილეს შეხედავს)* ეს ქალი ვინ არის?

ჯემილე: ამ წარმოდგენაში მე არ ვმონაწილეობ. *(დერეფნისკენ მიდის).*

ჯოშქუნი: ჩვენ სიმართლეს ვწერთ, ქალბატონო საადეთ. ფრონტის მტვერი ჯერ არ ჩამოგვიფერთხავს და ჩვენი საწყალი ხალხისთვის სიმართლის თქმაც უკვე ჩვენ დაგვეკისრა. ჩვენს მოწინააღმდეგეებს თავს ვესხმით. *(ერთ-ორ ნაბიჯს სცენის ნაპირისკენ გადადგამს).* ვხედავ მათ, ფაშავ. შევუტიო?

უმითი: ორი კაცით?

საადეთ ბეგო: მრავალრიცხოვანი მტერი გყავთ?

ჯოშქუნი*(თვალებს სიცარიელეს მიაპყრობს):* მტერი ყველგანაა, ფარული და აშკარა მტერი. *(საადეთ ბეგოს ჯოხს იღებს და ჰაერში იქნევს).* ამ სახლში სულ მტრები არიან. *(ჯოხს ავეჯს, ფარდას ურტყამს).* ფარდის უკანაც კი.

საადეთ ბეგო*(უმითს):* სად იპოვა ამდენი მტერი?

უმითი: მტრები სიმბოლურად, ანუ.

საადეთ ბეგო: უცხო მტერია? *(ჯოშქუნს)* ბატონო ჩემო, ღვთის გულისათვის, უცხო მტერს განსაკუთრებით ერიდეთ. *(უმითს)* მტრებს რომ დაამარცხებს მერე, არ შეიძლება, რომ ჩვენს სიძეს და მის თავგასულ ვაჟსაც გაუსწორდეს?

ჯოშქუნი: ყველას გავუსწორდები, ჯემილესაც კი. *(უკან შეტრიალდება)* აი, ზურგსუკან ერთი მტერი დამალულა, იქიდან მითვათვალებს. *(ჯოხს იღერებს).*

საადეთ ბებო*(აღელვებისგან ფეხზე დგება):* ბატონო ჯოშქუნ, ყურადღებით იყავით. *(უმითი ცდილობს საადეთ ბებო დივანზე დასვას. საადეთ ბებოს ფეხი გაუცურდება და ძირს ეცემა).*

უმითი: რა მოგივიდა, საადეთ ბებო?

საადეთ ბებო: ფეხი, ფეხი, ძალიან მტკივა.

(უმითი და ჯოშქუნი საადეთ ბებოს ხელში აიყვანენ და დივანზე აწვენენ).

ჯოშქუნი: რომელი ფეხი? *(საადეთ ბებო აჩვენებს. ჯოშქუნი მის მიერ ნაჩვენებ ფეხს ეხება, საადეთ ბებო ყვირის).* ვაიმე, დაიჭრა.

(საადეთ ბებოს ყვირილის გაგონებაზე ჯემილე შემოდის).

ჯემილე: აღარ დამთავრდა თქვენი ხმაურიანი წარმოდგენა? *(ჯოშქუნს შეხედავს)* რა მოხდა?

უმითი*(აღელვებული)*: ჯემილ ფაშა ფრონტიდან ახალი დაბრუნებული იყო. *(ჯემილე მკაცრი მზერით შვილს აჩუმებს).*

ჯოშქუნი*(თავჩაქინდრული მონოტონური ხმით საუბრობს):* თქვენ რომ ფრონტზე იყავით, მე ძალიან მაწყენინეს, ფაშავ, უთხრა საადეთმა. *(საადეთ ბებო ბედნიერი უყურებს ჯოშქუნს).* ნუ დარდობ, საადეთ, უთხრეს მას, ამიერიდან ყველაფერი გამოსწორდება. შენს ტანჯვას ბოლო მოეღება. *(საადეთ ბებო ტკივილისგან კვნესის).* ხომ აღარ მიმატოვებთ, ფაშავ, თქვა საადეთმა. რა თქმა უნდა, საადეთ, უთხრეს მას, მაგრამ ახლა რაღაც საქმე მაქვს, ფრონტზე სანამ ვიბრძოდი, ბევრი საბუთი დაგროვდა, მათზე ხელმოწერაა საჭირო. სანამ ფრონტზე ვიბრძოდი, ბევრი მტერი დაგვესია, მათი განადგურებაა საჭირო. მეც თან წამიყვანეთო, შეეხვეწა ქალბატონი საადეთი, აჩრდილივით უკან დაგედევნებითო. რა თქმა უნდა, უთხრა მას ჯემილ ფაშამ. აწი ყველაფერს აგისრულებო. საადეთ ბებოს სურვილი აუსრულა და ორივენი კარისკენ წავიდნენ. ადიუტანტი წინ გაიქცა და კარი გაუღო მათ. წავიდნენ და ჯერ დაგროვებულ საბუთებს ხელი მოაწერეს, მერე შენობიდან გამოვიდნენ და მანქანისკენ გაეშურნენ. ახლა შინაურ მტრებს უნდა გასწორებოდნენ. სამწუხაროდ, ცოტა დააგვიანდათ. მანქანის წინ, ლამპიონის ბოძს უკან ყველაზე აღვირახსნილი მტერი, აქილ ფიქრეთ მეჯაზი, დამალულიყო და როცა მანქანაში სხდებოდნენ, ორჯერ ესროლა მათ. *(საადეთ ბებო კვნესის).* მათზე დამიზნებული რევოლვერის დანახვაზე საადეთ ბებო ერთი წამითაც კი არ დაფიქრებულა, ისე გადაუდგა ტყვიებს. *(საადეთ ბებო ცდილობს, ჯოშქუნს გაუღიმოს).* მამაცი ქალი იყო. *(ჩერდება).* დიახ, ნაღვლიანი დასასრულია, მაგრამ ბედნიერი დასაწყისია. *(საადეთ ბებოს გული მისდის).* და ჯემილ ფაშამ ოთხ ადიუტანტს ერთდროულად უბრძანა: *(უმითს ანიშნებს)* ეს კეთილშობილი ქალბატონი ამ საშინელი სახლის საშინელი სცენიდან გაიყვანეთ და სადმე მაღლა აიყვანეთო.

(ჯოშქუნი და უმითი საადეთ ბებოს ფეხებსა და მკლავებში ხელს კიდებენ და ხელში აჰყავთ).

ჯემილე: ყველანი გაგიჟდით!

ჯოშქუნი: მთელი მსოფლიო გაგიჟდა და ამაზე წერა მე დამეკისრა. *(ხმას იცვლის).* მარჯვნიდან გავდივართ.

(სცენა ბნელდება. მალევე ნათდება სცენის იგივე ნაწილი. ჯოშქუნი საწერ მაგიდასთან ზის და მუშაობს. შემოდიან ჯემილე და ექიმი).

ექიმი (ჯემილეს): ძალიან ყურადღებით უნდა იყოთ. პნევმონიის საშიშროებაა. მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს.

(ჯოშქუნი ექიმს უყურებს. ექიმს იგივე მსახიობი ასახირებს, რომელიც მუსიკის მასწავლებელს და მიმტანს ასახიერებდა. ჯოშქუნი ფეხზე წამოდგება).

ჯოშქუნი*(ექიმს)*: ადრე სადმე ხომ არ შევხვედრივართ?

ექიმი: არ ვიცი.

ჯოშქუნი: ვიღაც ადამიანებს მიგამსგავსეთ, რომლებიც სულ ხელს მიშლიდნენ... რაც არის, არის, ამჯერად მაინც გამიკეთეთ სიკეთე. *(ექიმს უახლოვდება და დაბალ ხმაზე მიმართავს).* ცოტა ხნით სახლიდან უნდა გავიდე, იქნებ, დამეხმაროთ.

ჯემილე*(ცდილობს გაიღიმოს):* ჩემი მეუღლე პიესებს წერს და ....

ჯოშქუნი: გინდ სერიოზულად, გინდ თამაშ-თამაშით, რამე გზა უნდა ვიპოვო, რომ სახლიდან გავიდე, ექიმო.

(ჯოშქუნი ექიმს, რომელიც გაოცებული უყურებს, ხელკავს გამოსდებს და ერთად გადიან სცენიდან. ჯემილე მათ თვალს აყოლებს.

სცენა ბნელდება.

სცენის მარჯვენა ნაწილი ნათდება. თეატრის კულისები. ჯოშქუნს ხელში ფურცლები უჭირავს და ათვალიერებს. შემოდის ემელი).

ემელი: რატომ დააგვიანე? მთელი დილა თეატრში გელოდებოდი. *(აღელვებული).* ელაპარაკე ჯემილეს?

ჯოშქუნი*(მოღუშული):* თვითონ წამოიწყო საუბარი.

ემელი*(გახარებული)*: მართლა? *(პაუზა).* და რაო, რა თქვა?

ჯოშქუნი: თეატრისთვის თავის დანებება მომთხოვა.

ემელი: რაზე ილაპარაკეთ ბოლოს და ბოლოს, ხომ აპირებდი, პირდაპირ გეთქვა ყველაფერი.

ჯოშქუნი*(შეწუხებული)*: გეთაყვა, აი, პიესა რომ დავწერეთ, ამით ხომ ვუთხარით ჯემილეს სათქმელი. თუ გინდა გავაგრძელოთ ეს პიესა: მე სახლს ვტოვებ და შენთან გადმოვდივარ საცხოვრებლად..... იმედია, იმდენად გიყვარვარ, რომ სპექტაკლში მონაწილეობაზე უარს არ იტყვი.

ემელი*(თავს ხრის და ჩურჩულით ამბობს):* უნდა ვაღიარო, რომ მიყვარხარ.

ჯოშქუნი*(აღელვებული):* ესე იგი, მეუბნები, ჯოჯოხეთშიც ჩამომყევიო. რა თქმა უნდა, თუ საჭირო იქნება, იქაც წავალ. მართლა მინდა ჯოჯოხეთში წასვლა, იმ უაზრო ჯოჯოხეთიდან თავის დასაღწევად, ახლა რომ ვცხოვრობ, ყველანაირ ჯოჯოხეთში წასასვლელად მზად ვარ.

ემელი: მაგრამ, საყვარელო, ჩვენს ბედნიერ მომავალს ჯოჯოხეთს რატომ ადარებ?

(შემოდიან სერვეთი და საფეთი)

სერვეთი: შესანიშნავია! ახლავე უნდა შევუდგეთ რეპეტიციას. *(ჯოშქუნი და ემელი ძალებს იკრებენ).* მაოცებთ, ბატონო ჯოშქუნ. რა ხანია გელოდებით. ეტყობა, სერიოზულად არ აღმიქვამთ.

ჯოშქუნი: მგონი, საკუთარ თავსაც არ აღვიქვამ სერიოზულად. რაღაც ინციდენტი მოხდა... ფეხის მოტეხის.

ემელი*(მოღუშული):* და კიდევ გულის გატეხის.

ჯოშქუნი*(სწრაფად აწოდებს ფურცლებს, რომელიც ხელში უჭირავს):* თქვენ როგორც გინდოდათ, ისე დავწერე.

საფეთი *(ჯოშქუნს)*: ახალი სატანჯველი შეგიკვეთეს, ოსტატო?

ჯოშქუნი*(სერვეთს)*: თუ გნებავთ, დაიტოვეთ წასაკითხად.

სერვეთი: რახან ერთხელ დაგიჭირეთ, არას დიდებით აღარ გაგიშვებთ.

საფეთი: კი, ნამდვილად თავისი საქმის ოსტატია.

სერვეთი*(ჯოშქუნს ფურცლებს ართმევს):* თანაც დღესდღეობით თურქულ პიესებზე დიდი გაჭირვება გვაქვს. ნამდვილად კარგ დროს წარგადგენთ მაყურებლის წინაშე.

ემელი: ერთად წავიკითხოთ. ბატონ ჯოშქუნს ეჩქარება, უნდა წავიდეს.

სერვეთი: წასასვლელი ხართ, ბატონო ჯოშქუნ?

ჯოშქუნი: ემელი ხუმრობს. *(იღიმის).* ასე ძალიანაც არ მეჩქარება.

სერვეთი *(პიესას კითხულობს):* მოქმედება ძველ საბერძნეთში ხდება.

საფეთი: სერვეთ დუიგულუს შეკვეთით დაწერილ პიესაში, აბა, სხვაგან სად მოხდება მოქმედება?

სერვეთი*(ფურცლებიდან კითხულობს):* ეს პიესა უცხო ქვეყნებიდან ჩვენს ქვეყანაში შემოტანილ პირქუშ ღმერთებზეა. ქვეყანაში ავისმომასწავებელი სიო უბერავდა. არსებითად, ეს დიდი მღელვარების დასაწყისი იყო. ქვეყნის მაცხოვრებლებს სულ ახლახან დაეწყოთ იმის გააზრება, რომ ადამიანები იყვნენ. ეს იყო რყევა, რომელიც ეროვნული თვითშეგნებით გამოწვეულ მღელვარებას სდევდა თან. ამ მღელვარებას არაფერი ჰქონდა საერთო იმპორტული საქონლით გამოწვეულ კრიზისთან. და, რა სამწუხაროა, რომ ქვეყნის ინტელიგენცია, ქვეყნის თვალისჩინი, ათას გაჭირვებაგამოვლილი, ერთ სულ მოსახლეზე დათვლილ წლიურ შემოსავალზე საგრძნობლად მეტი შემოსავლის მქონე, ნასწავლი საზოგადოება, უცხო, პირქუშ ღმერთს ეთაყვანა და მისი ჯადოსნობის ტყვე გახდა: დაიწყო მოთქმა და წუწუნი, რომ ქვეყნიერების სიკეთე და მადლი მობეზრდა; არადა, ამ სიკეთეებით არც კი უსარგებლია, ისე წარმოიდგინა, რომ უკვე მობეზრდა. რესტორნები და მაღაზიები იმპორტული საქონლით გაივსო..... ჯერ არც კი დავნაყრებულიყავით და უკვე დიდებულ და მშვენიერ ცხოვრებაზე ვოცნებობდით. ჯერ კეთილდღეობა არც კი დამდგარიყო და რა დროს ქვეყნიერების სიკეთეებით მოყირჭება და კრიზისების გადატანა იყო. *(თავს ასწევს).* მოდით ბავშვებო! *(საფეთს და ემელს ანიშნებს).* ახლავე ვიწყებთ რეპეტიციას. *(ფურცლებს მათ გაუწოდებს და ისინი დაბალი ხმით იწყებენ საუბარს).*

ჯოშქუნი*(მათ აკვირდება):* ღმერთო დიდებულო! ნამდვილი თეატრი! ნამდვილი მსახიობები, სადაცაა ნამდვილი რეპეტიციაც დაიწყება!

საფეთი*(თავს აწევს):* მხოლოდ შენ მიერ მიგნებული ჭეშმარიტების ნამდვილობა არ არის ჯერ დამტკიცებული.

სერვეთი*(ფურცლებს ჯოშქუნს აწოდებს):* ინებეთ, ბატონო ჯოშქუნ, ამჟამად მთავარ როლს თქვენ გთავაზობთ.

ჯოშქუნი: გმადლობთ. მთელი ცხოვრება სწორედ ამაზე ვოცნებობდი. *(თამაშს იწყებს).* ეი, ბედისწერავ! რად გამხადე უცხო ცნებების მონა? რად დამაშორე ჩემს ხალხს? წყეულიმც იყავ, ბრმა ბედისწერავ!

(სერვეთის, საფეთისა და ემელისაგან შემდგარი ქორო)

ქორო: ეჰეი, ყრუ სულთანო, ყური დაგვიგდე! რატომ უყრუებდი ხალხის ნება-სურვილს? რატომ დაიმარხე თავი სტრიქონებს შორის? რატომ განუდექი ცხოვრებას, შენი ემირები კი წმინდანებად აქციე და ხალხს დედა უტირე?

ჯოშქუნი: სიცრუეა! მტკნარი ტყუილი! განა მე არ გავუხსენი მათ სკოლები, რომ მესწავლებინა, როგორია უბადრუკი, ძაღლური ცხოვრება? განა მე არ ვიყავი, მათი პირით რომ ვლაპარაკობდი და ხალხური თქმულებების მიბაძვით ტრაგედიებს ვწერდი? ამ ნაწარმოებებში მე არ გადავარჩინე ხალხიდან გამოსული გმირები მტრის ხელში ჩავარდნისგან? ვინ დაღვარა რესტორნებში ზღვა ცრემლი ჩემი ხალხისთვის? რა, განა სტიქიური უბედურებების დროს მე არ ვწერდი აურაცხელ ნეკროლოგს? სწორედ ამის გამო არ დავიწყე სმა? მე არ მიმყავდა ფრონტზე, აზრზე რომ მოსულიყო და არ დავიწყნოდა, ერთ დროს გმირი ნაცია რომ იყო? ყველა უბედურების და ყველა ბედნიერების შემდეგ მე არ მივმართავდი სიტყვით? წარმატების მისალოც და სამძიმრის დეპეშებს არ ვაგზავნიდი, თუ რა? და ბოლოს, ბოროტ საქმეებში რომ არ გახვეულიყო და ტვინი არ არეოდა, განა მე არ ავუკრძალე ჩემი ნაწერების კითხვა?

ქორო: ეი, დაფიქრდი, უჭკუო გმირო! ვერ ხვდები, რომ ასთავიანი ურჩხული ხარ? ყველა ღმერთი შემოიერთე: ცოდნის ღმერთიც შენ ხარ და უვიცობისაც. ყველა ღმერთს სანსლავ, საკუთარ თავებს ყლაპავ. ეი, სიძულვილის ღმერთო და მონობის ღმერთო, ომის ღმერთო და მშვიდობის ღმერთო, მტრობის ღმერთო....

(სერვეთი თავს ასწევს და ჯოშქუნს შეხედავს)

სერვეთი: ერთი წუთით... უფრო ხელმოსაჭიდებელი მაგალითებით ხომ არ სჯობდა მოყოლა?

საფეთი: შეგვიბრალეთ, უფროსო, მგონი რაც არის, ესეც ბევრია.

სერვეთი: რა ვიცი.... მინდოდა მეთქვა, ჩვენი მაყურებლის თვალსაწიერს რომ უფრო მოერგოს. როგორ ვთქვა? პირდაპირ ღმერთებით დაწყება, ცოტა....

საფეთი: კარგი რა, უფროსო, შენ სულ ასეთი პიესები არ გინდოდა, მაღალ მატერიებზე?

სერვეთი: სხვა რამე მინდოდა მეთქვა.

ჯოშქუნი: არ იდარდოთ, ბატონო ჩემო. ამ პიესაში ყველა ტიპის ადამიანი იპოვის რაღაც თავისას.

საფეთი: რაში გვენაღვლება მაყურებელი? ერთმანეთში ვთამაშობთ მხოლოდ. გავაგრძელოთ, გეთაყვა!

ჯოშქუნი *(ფურცლიდან კითხულობს):* ეი, ბედისწერავ!

სერვეთი: ეს ნაწილი ხომ წაიკითხეთ უკვე?

ჯოშქუნი: არა, ეს მეორე ბედისწერაა. ეი, ბედისწერის ღმერთო...

სერვეთი: მე მაინც წინააღმდეგი ვარ ღმერთების ასეთი სიმრავლის.

საფეთი*(სერვეთს)***:** ეი, წინააღმდეგობის ღმერთო! შეჩერდი და გავაგრძელოთ რეპეტიცია.

ჯოშქუნი: ეი, ბედისწერავ! რატომ ააშენე კედელი ჩემსა და ჩემ ხალხს შორის? ეი, კედლის ღმერთო! რატომ დამაშორე ჩემს ხალხს?

ქორო: იმიტომ, რომ ეი, ჯემილ!

სერვეთი*(ქოროს აჩერებს):* ეს ჯემილი უცებ საიდან გაჩნდა?

საფეთი: საიდან და ეი, მეპატრონე ღმერთო! ჩვენი მწერლებისაგან შენ ითხოვდი პიესას ადგილობრივ პრობლემებზე.

სერვეთი: ,,ეი, ჯემილის'' თქმა ბერძნულ ქოროზე მეტად თურქული სიმებიანი საკრავების ორკესტრს ხომ არ ჰგავს?

ჯოშქუნი: მეც სწორედ ეგ ვიფიქრე, რომ ჩვენთვის უფრო ახლობელი იქნებოდა.

საფეთი: იმას ხომ ვერ იტყოდა: ,,ეი, ოიდიპოს, ან ,,ეი კრეონ''!

ჯოშქუნი: თუ გნებავთ ,,ეი, არარაობავ'' ვთქვათ.

საფეთი: არა, არა, როგორც არის, ისე გავაგრძელოთ

ქორო: იმიტომ რომ, ეი, ჯემილ! ხალხისთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობ, რაღაც ახალ სიტყვებს იგონებ. წერა-კითხვის უცოდინართა ქვეყანა წარწერებით გაავსე. ახლაც, ამ ბობოქარ ეპოქაში შენი მარტოობის უდაბნოში ცხოვრობ. შენი თავისთვის თამაშობ და ამით გინდა თავი ინუგეშო.

ჯოშქუნი: რა საბრალო მდგომარეობაში ჩავვარდი. ეი, განგების ღმერთო!

ქორო: აი, ჯემილს კვლავ მხოლოდ საკუთარი თავი ებრალება. არ იცის, რომელ კედელს ეტაკოს. ეი, ჯემილ! ჩვენი ქვეყნის სხვა მოთამაშეების მსგავსად თავი რბილ კედელს მიარტყი, მოერიდე სახიფათო თამაშებს! მოერიდე მაგარ კედლებსა და სიკვდილს! რა სამწუხაროა, რომ აღარავის უგდებს ყურს. იმიტომ, რომ გონების კედლებს გასცდა. იმიტომ, რომ ბნელეთის მზეს მიუტანა მსხვერპლად საკუთარი თავი და ცხელი ზაფხულის მწველი მზე უკვე თავზარს სცემს მას!

ჯოშქუნი: ცოტა დავისვენოთ, თუ გნებავთ, იმიტომ, რომ ამის მერე კიდევ უფრო სევდიანი ნაწილი იწყება.

ემელი: კიდევ უფრო სევდიანი?!

(ჯემილე და უმითი შემოდიან. ჯემილე ტირილით ეშვება სკამზე).

ჯემილე: დედაჩემი... *(იქ მყოფებს შეხედავს)* დედაჩემი გარდაიცვალა. *(ჯოშქუნს დაინახავს)* შენ სად იყავი? რას აკეთებ აქ?

ჯოშქუნი: წარსულს ვთამაშობდით... მომავალს... ყველაფერს...

ჯემილე*(ტირილით)*: დედაჩემი გარდაიცვლა-მეთქი, არ გესმის?

ჯოშქუნი *(ხელს მკერდზე იდებს, ტკივილისგან სახე ემანჭება):* არ მესმის... სიკვდილის არ მესმის. *(შეტორტმანდება, თავს ვერ იკავებს და ძირს ეცემა).*

(სცენა ბნელდება. ჯოშქუნის სახლის ნაწილი ნათდება. ჯოშქუნი, საფეთი, სერვეთი, უმითი, ჯემილე. ჯოშქუნი სავარძელში ზის, ფეხები სკამზე უწყვია და ზედ გადასაფარებელი აფარია).

ჯოშქუნი: მე კი მეგონა, რომ ძალიან მიყვარდა საადეთ ბებო. სიკვდილიც კი იმას ცდილობს, რომ მატყუარა გამომიყვანოს. ვერ ვიგებ. საერთოდ ვერ ვიგებ, სად მთავრდება თამაში და სად იწყება ცხოვრება. *(ჯემილე ქვითინებს).* სად მთავრდება ცხოვრება და სად იწყება სიკვდილი? *(ფანჯრისკენ იხედება)* არ მესმის, რატომ ვაძლევთ უფლებას სიკვდილს, ასე მოგვიახლოვდეს? *(ოთახში მყოფებისკენ შემობრუნდება)* ზომები უნდა მიგვეღო, უნდა შეგვეშალა ხელი სიკვდილისთვის, რომ სწორედ მაშინ არ წამოგვწეოდა, როცა სრულიად მოუმზადებლები ვიყავით. *(თითს იქნევს)* ეს ყველა ჩვენგანის გაფრთხილებაა. *(ნელა წამოდგება. საფეთი ანიშნებს დაჯდეს. ჯოშქუნი ყურადღებას არ აქცევს, ფანჯარასთან მიდის და გარეთ იყურება).* იცით, რატომ ვუყურებ ბაღს? იმიტომ, რომ სიკვდილს ვაკვირდები.

საფეთი*(ჯოშქუნთან მიდის):* გეყოფა, ჯოშქუნ, ხომ იცი, შენთვის დაღლა არ შეიძლება.

ჯოშქუნი *(თითქოს საფეთის სიტყვები ვერ გაიგო):* ძველებურად ცხოვრება აღარ შემიძლია. *(თავს გადააქნევს).* ამიერიდან სიკვდილი ვეღარ უნდა მოგვეპაროს. *(სერვეთს მიუბრუნდება)* იცით თუ არა, რა უმწეო მდგომარეობაში ვვარდებით, როცა ჩვენს ზოგიერთ ტრადიციას ვარღვევთ? *(სერვეთი ისეთი სახით იყურება, რომ აშკარაა ჯოშქუნის ნათქვამი არ ესმის)* აი მაგალითად, სიკვდილთან მხარდამხარ ცხოვრების ტრადიცია რომ დაგვეცვა და დაუდევრობა არ გამოგვეჩინა, ასე ადვილად ვერ მოგვინადირებდა, ალბათ.

სერვეთი *(ვერ იგებს ჯოშქუნის ნათქვამს):* ბატონო?

ჯოშქუნი *(სერიოზული ხმით, თითქოს რაღაცას ყვება):* ძველად ადამიანები სიკვდილთან ერთად ცხოვრობდნენ. უფრო სწორად, სიკვდილთან იყვნენ შერწყმულები. წინათ სიკვდილი პატარა საფლავებით ჩვენს ეზო-ბაღებს ესაზღვრებოდა. ამის მიზეზი ადამიანების გულგრილობა როდი იყო, ისინი ამას განგებ აკეთებდნენ. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, სიკვდილს ახალისებდნენ კიდეც. ყველა ქუჩაზე საიქიოს ფილიალი იყო გახსნილი. ყველაფერი დადგენილი წესით იმართებოდა: დარაბებიანი ფანჯრები, ქვის კედლები, სპეციალურად ამ საქმისთვის გაზრდილი კვიპაროსები.... და ძველი, მშვენიერი საფლავის ქვები, თითოეული იმ ადამიანს რომ ჰგავდა, რომელსაც წარმოადგენდა.... *(თავს გადააქნევს).* არაფერი არ იყო ბედის ანაბარა მიტოვებული.

საფეთი: რაებს ამბობ, ჯოშქუნ?

ჯოშქუნი: განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საფლავებს დამატებითი კონსტრუქციებიც ჰქონდა: აკლდამა, შადრევანი, რაც საიქიოს დაწესებულებებს კიდევ უფრო სერიოზულ იერს სძენდა. ამგვარმა ქცევამ მალევე გამოიღო შედეგი: ადამიანებს, რომლებიც ასე მოწიწებით ექცეოდნენ სიკვდილს, სიცოცხლის აზრიც ჩვენზე უკეთ ესმოდათ. *(ხვნეშის)* ჩვენს ქუჩაზეც რომ ყოფილიყო ასეთი ლამაზი ორგანყოფილებიანი სასაფლაო... და ყოველ დღე სამსახურისკენ მიმავალ გზაზე ... ფეხზე მდგომ საფლავის ქვებს რომ ვესალმებოდეთ .... და ძალზე მოხუცი ქალის დაგვიანებულ სიკვდილს, ასე რომ არ შევეძარით.

ჯემილე *(ცოტა შეშინებული):* რა დაგემართა, ჯოშქუნ?

ჯოშქუნი: სადღაც კუთხე-კუნჭულში ერთი-ორი პატარა სასაფლაო კი შემორჩენილა... აი, ისე როგორც გაზაფხულზე ალაგ-ალაგ მზისგან მივიწყებული თოვლიანი მიწა. მაგრამ ისინიც, როგორ ვთქვა, ისტორიულ ძეგლებად იქცნენ, ჩვენზე ვეღარ ზემოქმედებენ. *(ოთახში მყოფები გაოცებით შესჩერებიან ჯოშქუნს).* ღია ცის ქვეშ გამართულ მუზეუმებს ჰგვანან. ადამიანი უზარმაზარ საფლავის ქვას ჩაუვლის და ზედაც არ უყურებს. დიდ გაურკვევლობაში ვართ. *(ფანჯრიდან გარეთ იყურება).* იცით, რას ვფიქრობ? *(ოთახში მყოფებისკენ შემობრუნდება).* საადეთ ბებო ჩვენს ეზოში უნდა დავკრძალოთ.

ჯემილე*(შეშინებული):* გაგიჟდი შენ?

ჯოშქუნი: დიახ, ნამდვილად ამ ალუბლის ძირში უნდა დავკრძალოთ. თანაც ხე ძალიან დაბერდა, ნაყოფს ვეღარ ისხამს. ჩვენს ბაღში მცირე მასშტაბის ინდმეწარმეობა უნდა წამოვიწყოთ. *(სიყალბენარევი ხმით)* კერძო მეწარმეებს ამ საკითხზე ხმა უნდა მივაწვდინოთ. ყველა ბაღში თითო საფლავი, ყველა გარდაცვლილს თითო სასაფლაო! ამ საქმეს მე უნდა ვუხელმძღვანელო. *(ხმას იმაღლებს).* იმიტომ, რომ მე ერთ დროს ჩემი მეუღლის ქონება ურიცხვ ვალებთან ერთად კერძო მეწარმეობის სასაფლაოზე დავმარხე. გაკოტრების კუბოში ჩავწექი. *(ხმა ურბილდება).* საყვარელო, საადეთ ბებო, ჩვენთან ახლოს უნდა იყო, არანაირი დანაკლისი არ უნდა ვიგრძნოთ, ისევ ძველებურად უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება.

(კარზე ზარი ირეკება, უმითი აღებს. კარებში მუქი ფერის ტანისამოსიანი კაცი დგას. იგივე კაცია, ვინც მიმტანს, მუსიკის მასწავლებელს და ექიმს თამაშობს).

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: ჯოშქუნ ერმიშის სახლია?

უმითი: დიახ, რა გნებავთ?

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: თავად შინ არის?

ჯოშქუნი*(კაცს უახლოვდება):* მე გახლავართ, ბრძანეთ.

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: მე აღსრულების ბიუროს ინსპექტორი ვარ. *(დახედავს ფურცელს, რომელიც ხელში უჭირავს)* ერთ დროს წიგნების მაღაზია რომ გქონდათ, იქიდან

დარჩენილი საგადასახადო დავალიანების გადახდის ბოლო ვადა ამოიწურა და ყადაღის დადების პროცედურის აღსასრულებლად მოვედი.

ჯოშქუნი: ვერ გავიგე, რის გასაკეთებლად მოხვედით?

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: თქვენი კუთვნილი ვალის...

ჯოშქუნი*(სიტყვას აწყვეტინებს)*: მე არავის ვალი არ მაქვს!

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: ერთი წლის წინ ზემოხსენებულის მიერ შესაბამის მისამართზე შეუტყობინებლობის გამო, ლიცენზიის შეჩერების შესახებ...

ჯოშქუნი: თქვენ საიდანღაც გიცნობთ, მგონი. ადრე არასდროს შევხვედრივართ?

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: ოფიციალური უწყების მიუღებლობის გამო...

ჯოშქუნი: მივხვდი! თქვენ მიმტანი ხართ.

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: ძალიან გთხოვთ, ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ წინაშე დგას ოფიციალური პირი, რომელიც უფლებამოსილია შეგატყობინოთ განჩინება.

ჯოშქუნი: მაგრამ რომელი მიმტანი? რესტორნიდან თუ ამერიკული ბარიდან?

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: შურაცხყოფას აყენებთ სახელმწიფო მოხელეს, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობის ასრულებს.

ჯოშქუნი: ხმაზე გიცანით. თქვენ ის მუსიკის მასწავლებელი ხართ, საფეთმა რომ კინწისკვრით გააგდო.

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: გეთაყვა, გონს მოდით! მე სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელი აღსრულების ბიუროს თანამშრომელი ვარ.

ჯოშქუნი: მე კი დიდი დრამატურგი გახლავართ, რომელიც იძულებულია ხალხის წინაშე აღებული მოვალეობა შეასრულოს.

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: ბატონო, რა საჭიროა ახლა ეს სიტყვები?

ჯოშქუნი: პირიქით, ძალიანაც საჭიროა, პირდაპირ კავშირშია თქვენი მოვალეობის შესრულებასთან. *(ხმას იმაღლებს).* კატეგორიულად ვაცხადებ, მე, როგორც დიდი დრამატურგი, დიდი სერიოზულობით ვეკიდები ჩემს შემოქმედებას და ამიტომაც ამ სახლში ვერცერთ ნივთს ვერანაირი ფორმით ვერ შეეხებით. დიახ, თითსაც ვერაფერს დააკარებთ, ვერც წიგნებს, ვერც ნივთებს, ვერც ადამიანებს და ვერც მიცვალებულებს...

საფეთი*(ინსპექტორს გადაულაპარაკებს):* გუშინ დილას დედა გარდაეცვალა და ... იქ ასვენია *(დერეფნისკენ ანიშნებს).*

ჯოშქუნი: ვერაფერსაც ვერ დააყადაღებთ. *(თითს იქნევს).* იმიტომ, რომ, პატივცემულო ბატონო, იძულებული ვარ ჩემი შემოქმედებისთვის ყველაფერი გამოვიყენო. გესმით, ყველაფერი. შეიძლება, თქვენც კი.

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: მაგრამ, ერთი წუთით...

ჯოშქუნი*(ცბიერი ღიმილით):* და, პატივცემულო აღმასრულებელო მოხელევ, ხელოვანის შთაგონების აღსასრულებლად საჭირო ვერცერთი ნივთი ვერ დაყადაღდება. *(აღელვებული ოთახში მიდი-მოდის).* და ამგვარად, ეს პირველი შემთხვევაა, როცა მწერლის პროფესია გმირულად იქნა დაცული!

საფეთი *(ინსპექტორს გადაულაპარაკებს):* დედის სიკვდილმა ძალიან იმოქმედა მასზე. ხვდებით, ალბათ.

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: კი... ბუნებრივია...

ჯოშქუნი: ესე იგი, შევთანხმდით.

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: დიახ, სხვა დღეს მომიწევს მოსვლა...

ჯოშქუნი*(უცებ ფეთქდება):* რას ნიშნავს სხვა დღეს? ჩვენ, ინტელიგენციამ, სულ შიშით უნდა ვიცხოვროთ? სულ საგონებელში უნდა ვიყოთ, ღამით რა დროს დარეკავენ ჩვენს კარზე ზარს?

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი: მაგრამ მე აღმასრულებელი მოხელე ვარ.

საფეთი *(ინსპექტორს ხელკავს გამოსდებს და კუთხეში გაიყვანს):* ვიცი, ბოლოს და ბოლოს თქვენც ადამიანი ხართ. აქ როგორც აღმასრულებელი მოხელე კი არა, როგორც ადამიანი რომ მოსულიყავით, სხვანაირად მოგეპყრობოდით. ჩემი აზრით, ამაზე სადმე უფრო შესაფერის ადგილას უნდა ვიმსჯელოთ.

აღსრულების ბიუროს ინსპექტორი*(ცოტა გაოცებული):* კი, ბატონო. *(ჯოშქუნს ოდნავ მკაცრი გამომეტყველებით გახედავს).* მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ.

საფეთი*(ინსპექტორი კარისკენ მიყავს):* მე ყველაფერი ვიცი. ისიც ვიცი, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, სხვას გამოაგზავნიდნენ. მაგრამ დღეს ზედმეტად დაღლილები ვართ იმისთვის, რომ ვიფილოსოფოსოთ. სხვა დროს შევხვდეთ. *(კარს აღებს).* კარგად ბრძანდებოდეთ. *(ინსპექტორი შემოტრიალდება, თითქოს რაღაცის თქმა უნდა).* ვიცი, ვიცი: ყველანი ჩვენს ქვეყანას ვემსახურებით. *(ჯოშქუნს გახედავს).* მხოლოდ ჩვენი სამსახური ცოტა განსხვავებულია. ნახვამდის.

(ინსპექტორი გადის).

ჯოშქუნი*(გახარებული):* ძალიან კარგი, ძალიან კარგი. ყველაფერი უკვე ჩვენი სურვილისამებრ ვითარდება.

საფეთი *(უკან შემობრუნდება):* რას ამბობ, ჯოშქუნ?

ჯოშქუნი *(თითქოს ვიღაც შორს მყოფ ადამიანს ესაუბრება):* მოვლენები-მეთქი, თანდათან აჩქარდა. ეჰ, ჯერ სად ვართ! (*დაფიქრდება).* ეს სიტყვები ვინ მითხრა? სადმე ამოვიკითხე? *(უცებ გაუხარდება და თითქოს ამ სიხარულის დამალვას ცდილობს, მალევე დასერიოზულდება).* საფეთ!

საფეთი: კიდევ რამე მოხდა?

ჯოშქუნი *(მედიდურად):* საფეთ, მე სადღაც ვარ წასასვლელი. ძალიან გთხოვ, დღევანდელ ცერემონიას შენ მიხედე.

საფეთი*(შეწუხებული ჯემილეს უყურებს):* სად მიდიხარ, ჯოშქუნ?

ჯოშქუნი*(დაჟინებით)*: ხომ არ გგონიათ, მარტო თქვენი საიდუმლოს შენახვა შემიძლია და ჩემსას ასე ადვილად გავცემ. *(საფეთს და სერვეთს უყურებს).*

საფეთი*(იღიმის):* არ წახვიდეთ, ბატონო. თქვენი ჯანმრთელობა საფრთხეშია.

ჯოშქუნი: ჰორაციო, ბედისწერა მიხმობს. აწი ვერავინ შემაჩერებს. *(კარისკენ მიდის).*

(სცენა ბნელდება. სცენის მეორე ნაწილი ნათდება. ემელის სახლი. რამდენიმე სკამი, ერთი სავარძელი და დივანი. ემელი დივანზე ზის და წიგნს კითხულობს. კარზე ზარი ირეკება. შეცბუნებული ემელი კარისკენ მიდის და აღებს, კარებში ჯოშქუნი დგას).

ჯოშქუნი*(დაღლილი ხმით):* ცხოვრებას ჩემს თვალში ქინძისთავისოდენა ფასიც კი აღარ აქვს...

ემელი*(აღელვებული):* ძალიან ვღელავდი შენზე. *(ჯოშქუნს აათვალიერ-ჩაათვალიერებს).* დაღლილი ჩანხარ. ხომ არ სჯობდა, შინ დარჩენილიყავი და დაგესვენა.

ჯოშქუნი*(სავარძელში ეშვება):* მათ ჰგონიათ, რომ დავცინი. ჩემი არ ესმით...

ემელი: ვინ? რა არ ესმით?

ჯოშქუნი*(წყნარად)*: საადეთ ბებოს ჩვენს ბაღში დასაფლავება რომ მინდა.

ემელი: რას ამბობ?!

ჯოშქუნი: ფრთხილად, შენც არ გაიკვირვო! ისეთ ქალს ვეძებდი, ვინც ნამდვილად დაიჯერებდა, რომ მართლა მინდა საადეთ ბებოს ჩვენი ალუბლის ძირას დასაფლავება. და, აი, აქ ამოვყავი თავი. *(აქეთ-იქით იყურება).* ნეტავ, შეცდომით ხომ არ მოვედი? *(ემელი იცინის)* იცი, რას გეტყვი, ცოტა ხნის წინ, ანუ სახლში წამოწოლილი, როგორ ვცდილობდი, არ შევგუებოდი იმ საშინელებას, ორი ოთახის იქით მიცვალებული საადეთ ბებო რომ იწვა, აი, მაშინ რომ გენახე... იმ ადამიანს ვთამაშობდი, რომელიც სიკვდილს დასცინის. ისინი, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ სიგიჟის მორიგი შეტევა მქონდა. *(თავს წინ ხრის).* მე თუ მკითხავ...

ვფიქრობდი, რომ საშინელებათა ჟანრის სპექტაკლს ვუყურებდი, უფრო მეტიც, ეს სპექტაკლი სინამდვილე იყო. *(ჩაფიქრებული).* მერე... არ ვიცი, როგორ მოხდა, ნელ-ნელა თავს ვკარგავდი და ქცევებს ვეღარ ვაკონტროლებდი. მერე უცებ...

(ემელს შეხედავს და ულიმის).

ემელი: მერე?

ჯოშქუნი: უცებ შენი სიტყვები გამახსენდა და ყველაფერი, სიკვდილიც კი უაზრობად მომეჩვენა. უცებ შენ გვერდით მომინდა ყოფნა. მხოლოდ ეს მინდოდა. ჩემთვის ვიფიქრე, უცებ მეც სასიკდილო სენი რომ შემეყაროს, და მე რომ ვიცოდე ამის შესახებ. ამ სასიკვდილო სენის გამო ყველაფერმა რომ აზრი დაკარგოს, ჩემი შიშებისგანაც რომ დავაღწიო თავი... და ყველაფერი რომ სულერთი გახდეს, ახლავე მასთან უნდა წავიდე-მეთქი, ვიფიქრე.

ემელი: მერე?

ჯოშქუნი: და აი, მოვედი. და მიყვარხარ *(ემელს ეხვევა).* სხვა რა ვქნა?

(სცენა ბნელდება. ემელის საძინებელი ოთახი. ჯოშქუნი და ემელი საწოლში წვანან. ემელი პირდაღმა წევს. ჯოშქუნი მისკენაა დახრილი. საწოლის გვერდით ალკოჰოლური სასმელის ბოთლი და ჭიქები დევს).

ემელი: არ მესმის. როგორ შეგიძლია ახლა ადგე, ჩაიცვა და თითქოს არაფერი მომხდარა, ისე დაბრუნდე იმ სახლში. ვერ ვიგებ.

ჯოშქუნი *(ჭიქას იღებს და შიგ ჩარჩენილ სასმელს ბოლომდე სვამს):* ვინც საკუთარ თავს შეიცნობს, დიდ პასუხისმგებლობას იღებს ყოველთვის, მაგალითად, საადეთ ბებოს დაკრძალვის მსგავსს. *(უცებ ლოგინიდან წამოფრინდება).* ღმერთო ჩემო, დავაგვიანე!

ემელი: არ მინდა, რომ წახვიდე! არ მინდა, რომ რიგითი მოვლენების გმირები ვიყოთ. სულ ცოტა ხნის წინ არ ამბობდი, სიკვდილიც კი უმნიშვნელო გახდაო?!

ჯოშქუნი*(ემელს აკვირდება):* ახლა ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ. როცა ადამიანი სიცოცხლეს უბრუნდება, მაშინვე შიშის გრძნობა ეუფლება.

ემელი *(ტირილით):* ნუთუ არ გესმის, რომ ისე მინდა მოიქცე, როგორც გმირი? ჯოშქუნ, მინდა, რომ ხელი მომკიდო და აქედან შორს წამიყვანო. მინდა, რომ ისეთი რამ გადაგვხდეს თავს, რაც დღემდე დედამიწაზე არავის გადახდენია. არ ვიცი, როგორ აგიხსნა, შენგან ისეთ საქციელს ველი, რომელიც მთელ მსოფლიოს შეძრავს. *(ჯოშქუნი ჭიქაში სასმელს ისხამს*). არ ფიქრობ, რომ რაც ახლა ჩვენ თავს ხდება, სპექტაკლს ჰგავს? თუ მოისურვებ, ისეთი ბრწყინვალე პიესის გმირი გახდები, რომლის დაწერას ვერც გაბედავდი. დაფიქრდი, ასეთი შესაძლებლობა ყველას არ ეძლევა!

ჯოშქუნი*(ხვნეშის)*: ახლა ბრწყინვალე პიესებში უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ადამიანების უმწეობას ეთმობა. *(ჭიქა პირთან მიაქვს).* მომცემ ნებას, რომ ნელა-ნელა თავი მოვიკლა?

ემელი: ნუ გეშინია, შენისთანა მშიშრებს არაფერი ემართებათ.

ჯოშქუნი: ესეც ერთხელ უკვე თქვი. *(სვამს).* ახალ პიესებში მშიშრებსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობათ. იქნებ, ერთ დღეს...

ემელი *(ტირის):* მე ერთ დღეს არ მინდა. მე მინდა ახლა და აქ დარჩე. მე ახალი პიესა არ მინდა; ისეთი პიესა მინდა, რომელიც ჩემს ოცნებებს აახდენს.

ჯოშქუნი*(თავს აქნევს):* ქალბატონო, მომიტევეთ, პატივი უნდა მივაგო ხელოვნებას, პატივი უნდა მივაგო ჭეშმარიტ ადამიანურ ბუნებას. *(ჩაცმას იწყებს).* უნდა წავიდე!

ემელი: მე არ მინდა ხელოვნება. *(ტირის)* არ მინდა ხელოვნება, რომელიც ჩემთვის დღემდე უცნობ ტკივილს მაყენებს. *(თითქოს ევედრება)* ნუთუ, ისეთი ხელოვნება არ არსებობს, რომელიც აქ დაგტოვებს?

ჯოშქუნი: სპექტაკლების შეცვლა არ ხელმეწიფება, რადგან მეც ამ სპექტაკლში ვცხოვრობ. *(ჩაცმას ამთავრებს).* ჩემნაირი საწყალი გმირებისთვის შენგან უფრო მეტ შემწყნარებლობას ველი. *(დაიხრება, ემელს უნდა აკოცოს, ემელი გვერდით გაიწევა, მერე კი ჯოშქუნს მოეხვევა. ჯოშქუნი გასწორდება, კარს გახედავს).*

ემელი*(ტირილით):* არ მიყვარხარ!

(ჯოშქუნი კარისკენ მიდის.

სცენა ბნელდება.

ჯოშქუნის სახლი. ჯოშქუნი. ჯემილე დივანზე ზის და კერავს. ჯოშქუნს ხელში ჭიქა უჭირავს, დროდადრო სასმელს წრუპავს და ნერვიული ნაბიჯით ოთახში მიდი-მოდის).

ჯემილე*(თავს არ წევს):* რატომ სვამ? ხომ იცი, რომ შენს ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს?

ჯოშქუნი*(ნერვიულად)*: ამ სახლში რომ ვცხოვრობ, მაგის დასავიწყებლად ვსვამ. *(შეჩერდება, მთელ ძალას მოიკრებს).* მე... მე ამ სახლიდან წასვლა მინდა, ჯემილე.

ჯემილე*(თავაუღებლივ)*: ტყუილად ირჯები, ხომ იცი, რომ ეგ შეუძლებელია.

ჯოშქუნი*(ჭიქას მოიყუდებს და ერთი ყლუპით დაცლის):* რა არის შეუძლებელი? რომ ადამიანი ადგეს და სახლიდან წავიდეს?! *(ჯემილეს ხელიდან საკერავს ართმევს).* გეყოფა, ვიცით, რომ მუშაობ. *(ისევ ავსებს ჭიქას და სვამს).* არ მინდა, რომ ამ სახლიდან საადეთ ბებოსავით გამიყვანონ, არ გესმის? ჩემით მინდა ახლავე წავიდე.

ჯემილე *(ჯოშქუნს ქსოვილს ართმევს):* ეს არ მოხდება.

ჯოშქუნი: ღმერთო, დიდებულო! ,,ჯოშქუნ ეს არ ქნა'' მაინც თქვი. იტირე მაინც, რატომ მტოვებ და მიდიხარო. რანაირად შეგიძლია ციხის ზედამხედველივით ცივსისხლიანი იყო?

ჯემილე *(ხელს თავზე იდებს):* ეს სიტყვებიც შენი რომელიმე პიესიდან ხომ არ არის?

ჯოშქუნი *(დამცინავად):* როგორ უნდა ვიცხოვრო ქალთან, რომელიც ჩემს შემოქმედებას აბუჩად იგდებს? *(სვამს)* ეგ პიესები, შენ რომ არაფრად აგდებ, ჩემთვის სიკდილ-სიცოცხლის საკითხია.

ჯემილე: არადა, ყველამ ვიცით, რომ სწორედ ეგ საკითხი საერთოდ არ გაწუხებს, ჯოშქუნ.

ჯოშქუნი: რას ნიშნავს ,,ვიცით''? როდის დაანებებ თავს ჩემ მაგივრად ფიქრს? *(მოწყურებული ეწაფება სასმელს და ჭიქას ცლის).*

ჯემილე: შენ დაბნეული ხარ, ჯოშქუნ. როგორც ყოველთვის, არ იცი, რას აკეთებ. მერე მადლობას მეტყვი.

ჯოშქუნი *(აღელვებული)*: არა, ახლავე გეტყვი მადლობას თავს თუ დამანებებ. ძალიან დიდი მადლობა. ამიერიდან მარტო მინდა ცხოვრება.

ჯემილე: შენ მაგის ძალა არ გაქვს, ჯოშქუნ, თან ავად ხარ, ვერსად ვერ წახვალ.

ჯოშქუნი*(აღელვებული):* აბა, ნახავ, თუ ვერ წავალ! საკუთარი თვალებით დაინახავ. შენი ცივი თვალებით დაინახავ, ვინმე ჯოშქუნი, ვიღაც სხვის მსგავსად, რაღაც ჩემოდანს როგორ აიღებს და როგორ წავა სახლიდან! *(დერეფნისკენ მიდის)*

ჯემილე*(ზურგსუკან მიაძახებს):* არსადაც არ მიდიხარ, ჯოშქუნ!

ჯოშქუნი*(დერეფნიდან ყვირის):* შენი ხმა არ მესმის, ჯემილე!

(დერეფანში უმითი გამოჩნდება)

უმითი: რა ხდება, დედა?

(ჯოშქუნი ოთახში შემოდის, ხელში ჩემოდანი უჭირავს. ცარიელ ჩემოდანს აღებს და სასადილო მაგიდაზე დებს. ისე იქცევა, თითქოს ცოლს და შვილს ვერ ამჩნევს. მექანიკურად მოქმედებს, დერეფნისკენ მიდის, უკან ბრუნდება, საწერი მაგიდიდან და თაროებიდან ფურცლებს და წიგნებს იღებს, ჩემოდანში დებს და სცენიდან გადის. უმითი და ჯემილე თვალს აყოლებენ. ცოტა ხანში შემოდის, ხელში საცვლები და პერანგები უჭირავს და ჩემოდანში ალაგებს).

უმითი: მამა, რას აკეთებ?

ჯოშქუნი *(თითქოს ვერ გაიგო უმითის ნათქვამი):* ცოტა ადგილი კიდევ დარჩა. *(თაროებს გახედავს. იქიდან წიგნებს იღებს და ჩემოდანში დებს).* წინდები და ცხვირსახოცები დამავიწყდა. *(სცენიდან გადის).*

(წინდებით და ცხვირსახოცებით ბრუნდება, უმითს აწვდის, თავად კი კვლავ თაროებისკენ მიდის).

ჯოშქუნი: კიდევ შეიძლება რაღაც წიგნების წაღება *(თაროებიდან რამდენიმე წიგნს იღებს).*

უმითი: რა ხდება, მამა?

(ჯოშქუნი არ პასუხობს, წიგნებს ჩემოდანში აწყობს. უმითს წინდებს და ცხვირსახოცებს ართმევს და წიგნებს ზემოდან ადებს. დაფიქრდება).

ჯოშქუნი: საპარსი დამავიწყდა *(სწრაფად გადის სცენიდან, საპარსი გამოაქვს და ჩემოდანში დებს).* მალე გაივსო. *(ფიქრობს).* ორი წყვილი ფეხსაცმელიც უნდა წავიღო. *(ფეხსაცმელების ტუმბოდან ორ წყვილ ფეხსაცმელს გამოიღებს და გაზეთში ახვევს).*

(ჯემილე ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს და წყნარად უყუროს ჯოშქუნს, რომელიც ჩემოდანს კეტავს. ჯოშქუნი პალტოების საკიდიდან ლაბადასა და პალტოს ჩამოხსნის, ლაბადას იცვამს, პალტოს კი ხელზე გადაიკიდებს, ფეხსაცმელებსაც იმავე ხელში იჭერს. მეორე ხელით კი ჩემოდანს იღებს და კარისკენ მიდის. ჯემილე და უმითი უკან მიჰყვებიან. კარებთან მისული ჯოშქუნი შემობრუნდება და უმითს შეხედავს. უმითი გაოცებისგან ადგილზე შეშდება. ჯემილე დაჟინებული მზერით უყურებს თვალებში. უმითი მამას კარს უღებს. გარედან სინათლე შემოდის. ჯოშქუნი სადარბაზოში გადის. კარი ღია რჩება. ჯემილე და უმითი კარებში დგანან და ჯოშქუნს თვალს აყოლებენ).

ჯემილე *(ჯოშქუნს უკნიდან მიაძახებს):* ჯოშქუნ, შენ არსადაც არ წახვალ!

(შორიდან ჯოშქუნის ფეხის ხმა ისმის, იგი კიბეებზე ჩადის. ჯემილე კარებში თავს გაყოფს).

ჯემილე*(გასძახის):* ტყუილად ირჯები, ჯოშქუნ, ვიცით, რომ ვერსად ვერ წახვალ!

(კიბეებზე ჩამავალი ჯოშქუნის ფეხის ხმა გრძელდება, უცებ მკვეთრი ხმა ისმის, ჯოშქუნის ძირს დაცემის ხმა. უმითი დედას გზიდან ჩამოიშორებს და კიბეებისკენ გარბის.

სცენა ბნელდება.

ჯოშქუნის სახლი. საგარეოდ ჩაცმული ჯოშქუნი დივანზე წევს და გადასაფარებელი აფარია. ოთახის ერთ კუთხეში ჩემოდანი დევს, ჩემოდანზე ლაბადაა გადაკიდებული, იქვე გაზეთში გახვეული ფეხსაცმელები აწყვია. საფეთი ჯოშქუნს გვერდით მიუჯდება).

ჯოშქუნი *(სისუსტისგან ძლივს ლაპარაკობს):* როგორ ჩაირა დაკრძალვის ცერემონიამ?

საფეთი *(მოჩვენებითი სიხარულით):* ძალიან კარგად. საადეთ ბებოს რომ შეძლებოდა დანახვა, ძალიან კმაყოფილი დარჩებოდა. *(შემოდის უმითი, ცდილობს, მამას არ შეხედოს, წიგნს იღებს და გადის. საფეთი უკნიდან თვალს აყოლებს).* ჯემილ ფაშაც კი მოვიდა გასვენებაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟანდარმერიის განყოფილებაც მოვიდა საპატიო ყარაულში ჩასადგომად. თურმე საადეთ ბებო მათ შორის იყო, ვინც პირადად იცავდა თუმრუს დასახლებას მტრის თავდასხმისგან. ცერემონიაზე ორი გმირობის ამბავი გავიხსენეთ... *(ამჩნევს, რომ ჯოშქუნი არ უსმენს).* ვეღარ გაცინებ, როგორც ჩანს. *(ჯოშქუნი თავის ჩემოდანს უყურებს).* აღარ ვარგივარ, ეტყობა, მსახიობად. *(ჯოშქუნი უარყოფის ნიშნად თავს გააქნევს).* წავალ, სერვეთს დავემშვიდობები. იქნებ, ამ შემთხვევით ვისარგებლო და დაგროვილი სახელფასო დავალიანება მივიღო.

(შემოდის ჯემილე. საფეთს მკაცრი მზერით შეხედავს).

ჯემილე: მისმენ, ჯოშქუნ? *(საფეთს შეხედავს)*

საფეთი*(გამოერკვევა):* ჯობია, მე წავიდე, ჯოშქუნ. დღის სპექტაკლი გვაქვს.

ჯოშქუნი *(ჩემოდანს თვალს აშორებს):* დიდი მადლობა. ჩემ მაგივრად ყველას ბოდიში მოუხადე, რა.

საფეთი: ბოდიშს რატომ იხდი?

ჯოშქუნი: არ გახსოვს, წინათ სპექტაკლის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე ,,თუ რამე გაწყენინეთ, გვაპატიეთო'', რომ ამბობდნენ? აი, მაგიტომ.

საფეთი*(გახარებული)*: რა კარგია, ესე იგი ყველაფერი ძველებურადაა. *(ჯოშქუნს უახლოვდება და ხმადაბლა ეუბნება)* ეჰ, ჯერ სად ვართ!

ჯოშქუნი*(იღიმის)*: სად ეწერა ეს? ჰამლეტში?

(საფეთი იღიმის, ხელის დაქნევით ემშვიდობება ჯოშქუნს და მიდის).

ჯემილე*(შერბილებული ტონით):* მე შიგნით ვიქნები, ვკერავ, თუ რამე დაგჭირდება, დამიძახე.

ჯოშქუნი *(გულგრილად):* კარგი.

ჯემილე *(აღელვებული):* შენი ხმა რომ ვერ გავიგო? *(დაფიქრდება)* მოიცა, მოვალ ახლავე. *(ოთახიდან გადის).*

(ჯოშქუნი თვალს არ აშორებს ჩემოდანს. შემოდის ჯემილე, ხელში პატარა ზარი უჭირავს).

ჯოშქუნი*(თავს ჯემილესკენ აბრუნებს):* რა გიჭირავს ხელში?

ჯემილე*(ზარს ახმაურებს):* ამით დამიძახე. *(ზარს ჯოშქუნს გვერდით უდებს და გადის).*

(ჯოშქუნი შეშფოთებული აყოლებს თვალს დერეფანში მიმავალ მეუღლეს. უკანა ოთახიდან საკერავი მანქანის ხმა ისმის. ჯოშქუნი დგება, რის ვაი-ვაგლახით ჩემოდანთან მიდის, ეჭვით ათვალიერებს ოთახს. მერე პალტოს იცვამს, ჩემოდანს და ფეხსაცმელების შეკვრას იღებს. ჟურნალის მაგიდასთან მიდის, მასზე დალაგებულ წამლებს დახედავს, ხელს გაიწვდის მათ ასაღებად, მაგრამ გადაიფიქრებს. შემდეგ ზარს დაინახავს და ჯიბეში ჩაიდებს. სადარბაზოში გამავალ კარებთან რომ მივა, ფეხებზე დაიხედავს, აღმოაჩენს, რომ ფლოსტები აცვია, თავს გადააქნევს და გზას აგრძელებს. სადარბაზოში გადის და კარებს ღიას ტოვებს. უკანა ოთახიდან გამომავალი საკერავი მანქანის ხმები წყდება და ჯემილეს ხმა ისმის).

ჯემილეს ხმა: წამლის დალევის დროა. დალიე?

(ჯემილე დერეფნიდან შემოდის. დივანს შეხედავს და შეცბება).

ჯემილე: ჯოშქუნ! *(დერეფნისკენ მიდის და უკან ბრუნდება)* ჯოშქუნ! *(სადარბაზოში გამავალ ღია კარს დაინახავს).* ჯოშქუნ, ხომ გითხარი, ვერსად ვერ წახვალ-მეთქი!

(ოთახში უმითი შემოდის)

უმითი: რა ხდება, დედა?

ჯემილე*(კარებს უყურებს):* ხომ გითხარი, ჯოშქუნ, ტყუილად ცდილობ-მეთქი.

უმითი: სად წავიდა მამაჩემი?

ჯემილე*(უმითის ხმა არ ესმის):* არაფერი გამოგივა, ჯოშქუნ!

უმითი: დედა, წავიდეთ, მოვძებნოთ! მამა ავად არის *(კარისკენ მიდის).*

ჯემილე*(უმითს მკლავში ხელს წაავლებს და აჩერებს):* ჯოშქუნი ვერსადაც ვერ წავა. ეს თავადაც იცის. იმიტომ რომ, მე ვუთხარი, ჯოშქუნ, შენ არსადაც არ წახვალ-მეთქი. ეს ბევრჯერ ვუთხარი, ჯოშქუნ, ვერსადაც ვერ წახვალ-მეთქი. *(უმითი შიშით შესჩერებია დედის სახეს).* ვიცი, ჯოშქუნ, რომ ვერ წახვალ...

(სცენა ბნელდება.

ემელის სახლის კართან ჯოშქუნი ჩემოდანზე ჩამომჯდარა და იცდის. ხელები ჯიბეებში უწყვია და ფიქრობს. სცენაზე ემელი შემოდის. ჯოშქუნი მის დანახვაზე ხელებს ჯიბეებიდან ამოიღებს, თან ზარს ამოაყოლებს და აახმაურებს).

ჯოშქუნი: მე მოვედი. *(ემელს შეხედავს).* შენს ცდაში რაღაც ოინი მოვიფიქრე, მაგრამ ეტყობა არ გამომივიდა.

ემელი: აქ რას აკეთებ?

ჯოშქუნი: ჩემს დაკარგულ ახალგაზრდობას ვეძებ.

ემელი *(აღელვებული):* საფეთმა თქვა, რომ ძალიან ავად ხარ. რატომ ადექი?

ჯოშქუნი*(ჩაფიქრებული):* ხომ შევთანხმდით, რომ თუ სასიკვდილო სენი შემეყრებოდა, შენთან უნდა მოვსულიყავი.

ემელი: ნუ ბოდავ რაღაცას. სასაიკვდილო არაფერი შეგყრია, მაგრამ უნდა იწვე.

ჯოშქუნი: არა, შენ ახლავე უნდა წაგიყვანო აქედან შორს. სიტყვა მაქვს მოცემული.

ემელი: კარგად ხარ, ჯოშქუნ?

ჯოშქუნი*(მთელ ძალას მოიკრებს და ფეხზე დგება):* კარგად ვარ, ძალიან კარგად. *(კარებს შეხედავს).* არ შემიშვებ?

ემელი: რა თქმა უნდა, არც მიფიქრია, რომ... (დერეფნისკენ იყურება). აქ დარჩენა შეიძლება ცოტა გაგიჭირდეს. *(დაფიქრდება).* იქნებ, გამოკეთებამდე საავადმყოფოში დაწვე... ხომ იცი, მე ყოველ წუთს შენ გვერდით ვერ ვიქნები.

ჯოშქუნი: ხომ იცი, ბევრი დრო არ დამრჩენია.

ემელი*(დაღონებული):* ჯოშქუნ, ასე რატომ მტკენ გულს? აი, ნახავ ყველაფერს მოვაგვარებ. ცოტა დრო მომეცი ოღონდ. აი, ნახავ...

ჯოშქუნი*(ემელის სიტყვებს დაასრულებს)*: ეჰ, ჯერ სად ვართ!.

ემელი*(იღიმის)*: კარგი. კარგი. *(ჩანთიდან გასაღებს ამოიღებს).* შენ ეს გასაღები გამომართვი, მე ცოტა ხანში მოვალ.

(სწრაფად გადის სცენიდან. ჯოშქუნი ერთხანს უკნიდან მისჩერებია, შემდეგ მზერა გასაღებზე გადააქვს. კარებს უახლოვდება, დაფიქრდება, მერე ზარს აახმაურებს, ნელი მოძრაობით ჩემოდანს და ფეხსაცმელების შეკვრას აიღებს და სცენიდან გადის. სცენა ბნელდება.

თეატრის საგრიმიორო. საფეთი სარკის წინ გრიმს და მიწებებულ წვერს იშორებს, ამ დროს კარი იღება და ჯოშქუნი შემოდის, ჩემოდანს ძირს დებს და ზედ ჯდება).

ჯოშქუნი: არა, ეს მე არ ვარ.

საფეთი *(წამოხტება)*: რატომ ადექი საწოლიდან, ჯოშქუნ?

ჯოშქუნი*(ჩემოდანს შეხედავს):* რატომ გაიქეცი სახლიდან, ჯოშქუნ?

საფეთი: შენ სულ გაგიჟებულხარ.

ჯოშქუნი*(საფეთს სახეში მისჩერებია):* დამთავრდა სპექტაკლი?

საფეთი: საღამოსაც გვაქვს სპექტაკლი. მაგრამ შენი სიარული ამ მდგომარეობაში არ შეიძლება.

ჯოშქუნი: ხომ ხედავ, ვზივარ. სიარულის თავი აღარც მაქვს.

საფეთი*(შეწუხებული):* რატომ არ წევხარ? რატომ ადექი და აქ რატომ მოხვედი?

ჯოშქუნი: სხვა წასასვლელი ადგილი აღარ მაქვს და იმიტომ. არცერთმა სახლმა არ მიმიღო. გარეთ დამტოვეს როგორც ქორწინებით მოპოვებულმა, ასევე ქორწინების გარეშე მოპოვებულმა სახლებმა.

საფეთი*(აღელვებული):* ახლავე უნდა წახვიდე და დაწვე! ამხელა ჩემოდნით სიარული შენთვის იცი, რას ნიშნავს?

ჯოშქუნი: ვიცი. გამოდის, რომ ოფიციალურად ქუჩაში დავრჩენილვარ.

საფეთი *(იღიმის):* ჯოშქუნ, წაგიყვანო სახლში?

ჯოშქუნი *(უარყოფის ნიშნად თავს გადააქნევს):* არავითარ შემთხვევაში! შენც ძალიან კარგად იცი, რომ ჩემი აღსასრული მოახლოვდა. დასაწყისი კი დიდი ხანია დამავიწყდა. და ამიტომაც, პატივცემულო საფეთ სოილემეზოღლუ, ყველა დიდი თეატრის ხელოვანის მსგავსად, მეც სცენაზე მინდა სიკვდილი. *(ხელს გულზე იტაცებს, ტკივილისგან სახე ემანჭება).*

საფეთი: არა, გეყოფა.

ჯოშქუნი: სიკვდილი ჩვენს სურვილზე არ დადის, ბატონო საფეთ. ვიცი, სხვანაირი აღსასრული გსურდა ჩემთვის, მაგრამ ცხოვრება სასტიკია. ყოველწლიურად გაუარესებული საცხოვრებელი პირობებისა და საკვების გამო *(გულზე უფრო მაგრად იჭერს ხელს)...ათასობით...* (ძლივს სუნთქავს).

საფეთი: რაღაც უნდა მოვახერხოთ. შენნაირი...

ჯოშქუნი*(საფეთის სიტყვებს ძალდატანებით აგრძელებს):* დიდი გულის მქონენი ძალიან სუსტები არიან. *(საფეთი ჯოშქუნს მხარში ამოუდგება და სავარძელში ჩ*ასვამს). ნუ დარდობ. იმაზე იფიქრე, რომ სხვა თუ არაფერი, ამ მხრივ მოლიერს მაინც მივბაძავ. ბოლო მწარეც რომ ჰქონდეს, მაინც ნაღდი სპექტაკლი გამოვა.

საფეთი: არა, არ მინდა, ასეთი სპექტაკლი არ მინდა.

ჯოშქუნი*(ძალაგამოლეული):* მე კი მინდოდა დიადი მიზნებისთვის მიმეძღვნა ჩემი ცხოვრება. არ მინდოდა ამ ქვეყნიდან პატარ-პატარა დარდებით დაფლეთილი წავსულიყავი. გარდა ამისა, რაღაცების, მაგალითად ჩემი საწყალი ხალხის პრობლემების გააზრებაც დავიწყე. *(ცდილობს გაიღიმოს).* ეჰ, მეც რომ ძველი დროების პიესის გმირი ვყოფილიყავი და თანამედროვე წარმოდგენის თანამედროვე გმირივით უფერული ცხოვრებით არ მეცხოვრა! *(შეჩერდება, რომ ჩაისუნთქოს).* იქნებ, თავიდანვე შეცდომით ავირჩიე საქმიანობა. მგონი, ვიოლინოს სწავლა უნდა გამეგრძელებინა. ჩემთვის ზედმეტად დიდ საქმეს შევები. იმის

შიშით, რომ დასაცინი არ გავმხდარიყავი, ჩემი ჭკუით სერიოზულ საქმეს მოვეკიდე. სხვა თუ არაფერი, გამბედაობა მაინც გამოვიჩინე, არა, საფეთ? *(საფეთს თვალები უცრემლდება).* ტირი? არა, მეგობარო. *(უკანასკნელ ძალებს იკრებს).* ეს ჩემზე უკეთ თქვენ იცით, აბა მითხარი, რომელი უფრო რთულია, ვინმეს ატირება თუ გაცინება? *(იღიმის).* დამაგვიანდა, არა, ამ კითხვის დასმა? რას ვიზამთ! ბოლო კოზირს ვათამაშებ, ძვირფასო მეგობარო, და რაც არ უნდა ძვირად დამიჯდეს, ერთი ადამიანის ატირებას მაინც შევძლებ. *(ველარ სუნთქავს).* მართალია, მე ცოტა.... იაფად შემიძინეს... არაფერი გადაუხდიათ ჩემთვის. *(საფეთს მკერდზე ადებს თავს).* არ ვიცი, რას იტყვით, შევძელი კაცობრიობისთვის.... რაიმეს.... დატოვება... შევასრულე ჩემი მისია? ... *(კვდება).*

საფეთი *(თითქოს როლს თამაშობს)*: დიდი გული აღარ ფეთქავს. ჩვენი ახალგაზრდა ჯოშქუნი გარდაიცვალა. და მას ისეთი დიდი სპექტაკლით გავაცილებთ, როგორც თავად უნდოდა.

(შემოდის სერვეთი)

სერვეთი: ღმერთო დიდებულო! რა მოხდა? *(ჯოშქუნს შეხედავს).* რა, მოკვდა?

საფეთი*(თამაშს აგრძელებს):* არა, იგი არ მომკვდარა.

სერვეთი*(ვერ იგებს):* მაშ, რა ხდება?

საფეთი: ერთი ძველი სპექტაკლის რეპეტიციას გადიოდა. ყველას მოეხსენება, როგორ აზვიადებდა სპექტაკლის მნიშვნელობას, საჭიროზე მეტი სერიოზულობით ეკიდებოდა.

სერვეთი *(ჯოშქუნთან მიდის, ყურადღებით ათვალიერებს და უკან იწევს):* და რა სჭირს?

საფეთი: მას გული ჰქონდა. *(თამაშს აგრძელებს).* დიახ, იძულებული ვარ სიმართლე გითხრათ: ჯოშქუნ ერმიში, იმიტომ რომ გული ჰქონდა, გარდაიცვალა. აწ განსვენებული, რომელიც ცხოვრებისეულ თამაშებს საჭიროზე მეტი სერიოზულობით ეკიდებოდა, სიკვდილსაც ასეთივე სერიოზულობით შეეგება. ვინმე სხვა, ნაკლებად სერიოზული, ალბათ, მხოლოდ გულის წასვლას იკმარებდა. ჯოშქუნი კი გარდაიცვალა. იმიტომ, რომ პიესები მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო. სხვაგვარად არ ძალუძდა: იძულებული იყო, თავისი ცხოვრებაც და სიკვდილიც გაეზვიადებინა. და ჩვენც ახლა იძულებულნი ვართ, იგი სერიოზულად მივიღოთ. იმიტომ, რომ აწ განსვენებულს ერთნაირად უყვარდა ადამიანების გაცინებაც და ატირებაც.

სერვეთი*(საფეთს ეჭვიანი მზერით უყურებს):* მართლა გარდაიცვალა? *(საფეთი თანხმობის ნიშნად თავს აქნევს. თავზარდაცემული სერვეთი საფეთს შესჩერებია).* და ახლა რა უნდა ვქნათ?

საფეთი: სპექტაკლი დასრულდა, მაყურებელს უნდა დავემშვიდობოთ. *(ერთი ნაბიჯით წინ მოდის და მაყურებელს თავს უკრავს. გაოგნებული სერვეთიც იმავეს აკეთებს. ჯოშქუნს თავი წინ უვარდება, თითქოს ისიც თავს უკრავს მაყურებელს).*